

ପ୍ରଦୀପ କାନ୍ତିମାଳା



ମୁଖ ଶବ୍ଦାଳ୍ପଣୀ

ପୃସାଦ

ବ୍ୟାକାଳେ ପରମାଣୁ

ଏ. ବ. ପ୍ରଦୀପମାଳାରାମ

ପ୍ରମୋଦିତ—1936

35. ასათიანი

ბევრობის მიზანი

13

საქართველოს

რ 23
1a

წ. 2019-12259

სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოცემა

ტფილისი—1936.



821.161.1(082 გორგონა, ლ) + 94(423.225 ყრდ.)

კორექტორი: ვ. ფერაძე. შეკვ. № 9. ტირაჟი 2100. მთავ. № დ-88
ზომა: 5×8 კმ.

ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტაბილი
უნივერსიტეტის ქ. აზ. 1.

I

რუსულ ლიტერატურაში კავკასიის ცხოვრება და ოე-
მატიკა ჯერ კიდევ მე-18 საუკუნეში პიოულობს თვალსა-
ჩინო გამოხატულებას. რუსეთის ცნობილი მწერალი კა-
რაშვილი, ოცნებობდა — „დაემსახურებია შავთვალწარბა
წარმტაც ჩერქეზი ქალის ყურადღება“. დერჯავინსა და
ეჭკოვსკის განხრახული პერიოდი ახლო გაცნობოდენ
„შორეულ, ლამაზ, თბილ სამხრეთს“ და გაეხადათ იგი-
თავის შემოქმედების ობიექტად ¹

მე-19 საუკუნის დასაწყისიდან რუსულ ლიტერატურა-
ში კავკასიისადმი ინტერესი თანდათანობით ისრდება.
განსაკუთრებით ამ დროიდან, მეფის რუსეთის აგრესიული
პოლიტიკა კატკასიის დასაპყრობად აშკარა გახდა; რის
შედეგად კავკასია თანდათანობით მეფის რუსეთის კო-
ლონიად იქცა: კავკასიის დაპყრობის პროცესმა რამდენი-
მე ათეული წელი გასტანა: კავკასიის მცხოვრებნი ხან-
გრძლივსა და დიდ წინააღმდეგობას უწევდენ მთაში ცე-
ცხლითა და მახვილით შემოჭრილ კოლონიზატორებს. მე-
ფის რუსეთის მაშინდელი ეკონომიკური და პოლიტიკური
ინტერესები კი დაუინებით მოითხოვდა კავკასიის საბო-
ლოოდ დაპყრობას. ბუნებრივია, რომ მე-19 საუკ. პირვე-
ლი ნახევრის რუსულ პრესაში კავკასიის ამბებს თვალსაჩი-
ნო ადგილი დაომობოდა. მართველ პოლიტიკურ წრეებში

¹ Андрей Розов-Голстой на Кавказе, „Жур. на Кавказе“ 1909 г. № 1 Екатеринодар.

კავკასიის ამბეჭით დაინტერესება ძალზე დიდი იყო. აშავე
დროს სამხედრო მოქმედების ცენტრალურ პუნქტად გა-
დაქცეული შორეული კავკასია მიჩნეული იყო თავისუფლად
მოაზროვნე ლიბერალურ ინტელიგენციის გადასახლების
ადგილად.

ცნობილია, რომ დეკაბრისტების მთელი პლეადა კავ-
კასიაში იყო გადმოსახლებული. ამავე მოტივებით მოუხე-
დათ კავკასიაში ყოფნა პუშკინსა და ლერმონტოვს. რო-
მანტიკულად განწყობილმა პოეტებმა თავის შემოქმედების
პრიზმაში გაატარეს კავკასია. ლერმონტოვი და ბესტუ-
შევ-მარლინსკი თავისებურად აიდეალებდენ მარად ყი-
ნულოვან მოებს, ხელუსლებელ ბუნებას, წარმტაც ქალებ-
სა და რაინდ მამაკაცებს.

რომანტიკულ პოეზიაში კავკასია შორეულ ოცნებისა
და უფრო კი ეგზოტიკის საგნად გადაიქცა, კავკასიის
დასაპყრობად წარმოებული ომებიც რომანტიკულ სამო-
სელში გაეხვია და ამით საქმის რეალური ვითარება მი-
იჩქმდა. ასეთი შეხედულება კავკასიაზე საკმაო ღრმად
იყო განმტკიცებული რუსულ ლიტერატურაში მე-60 წლე-
ბამდის მაინც.

ეს გარემოება უთუოდ მხედველობაშია მისაღები. ლ
ტოლსტოის კავკასიაში გამომგხავრების ასახსნელად.

ცნობილია, რომ უნივერსიტეტიდან გამოსვლის შემ-
დეგ, ლ. ტოლსტოი, მაშინდელ შეძლებულ თავადა-აზნაუ-
რულ არისტოკრატების მსგავსად, ეწეოდა თავაშვებულ
და ალვირახსნილ ცხოვრებას. 1848—50 წლებში ლ. ტოლ-
სტოი ხან პეტერბურვში, ხან მოსკოვში და ხან თავის
სოფელ იასნაია პოლიანაში ატარებს დროს.

გამულმებული ქეიფი, ბალები, მდიდარი და ლამაზი
საცოლეს ქებნა-აი ამ ლროინდელი ტოლსტოის იდეალე-
ბი. ნიკოლოზ I-ის სამხედრო ფეოდალური სასტკი რე-
ჟიმი გამანადგურებელ გავლენას ახდენდა, ლიბერალურ-

არისტოკრატიაშე. ასეთი უშემცი მღვრმარეობიდან გაპო-
სელა ლ. ტოლსტოის რამდენჯერმე უცდია.

იგი შეეცადა თავი დაელწია გარეუნილ წრეს და პი-
როვნებისათვის დამამცირებელ ატმოსფეროს: იასნაია პო-
ლიანაში ის ხელს კიდებს მეურნეობის მოწესრიგებას, სურს
გლეხებს შეუმსუბუქოს პირობები, მაგრამ არაუერი გა-
მოდის. ფიქრობს რადიკალურად შესცვალოს ცხოვრება
და სწორედ ამ დროს იჭრება მის წინაშე კავკასიისაკენ
გამომგზავრების საყითხი. არ შეიძლება ითქვას, რომ ლ.
ტოლსტოიმ კავკასია თავის გარდაქმნისათვის სრულიად
შემთხვევით აირჩია — როგორც ამას ლ. ტოლსტოის ცნო-
ბილი ბიოგრაფი პ. ბირიუკოვი ფიქრობს. ¹

ლ. ტოლსტოის მაშინდელი სულიერი განწყობილება,
სატახტო ქალაქებამდე მოღწეული ხმები მთიულებთან
უჩემდებო ბრძოლის შესახებ, კავკასიის წარმტაცი ბუნები-
სა და ხალხის სურათები წინა-თაობის მშერალთა თხზუ-
ლებებში, უთუოდ ხელს უწყობდენ, რომ ლ. ტოლსტოის
არჩევანი კავკასიაშე შეჩერებულიყო.

1851 წ. აპრილში კავკასიიდან რუსეთს ჩავიდა ლ.
ტოლსტოის უფროსი ძმა ნიკოლოზი, რომელიც ოფიცი-
რად მსახურობდა კავკასიის არმიაში. ნიკოლოზი მაღა-
დაბრუნდა უკანვე და 23 წლის ლ. ტოლსტოიც მას გა-
მოჰყენა კავკასიისაკენ. ეს გზა ლ. ტოლსტოისათვის მრა-
ვალი ფიქრისა და აზრის, ხშირად ბუნდოვანისა და ერთ-
მანეთის საწინააღმდეგოს აღმძვრელი იყო.

თავის უახლოეს ნათესავს ტ. ერგოლოსკაიას ასტრა-
ხანიდან ლ. ტოლსტოი სწერდა: „ჯერ-ჯერობით ძალშე
კმაყოფილი ვარ ჩემი მოგზაურობით. მრავალი საგანი
მაქვს საფიქრებლად და ამას გარდა თვით აღგილის გა-

¹ П. Бирюков-Биография Л. Толстого. Вт. издание.—1911 г.
83. 179—181.



ଶ୍ରୀ ପଟ୍ଟନାୟକ ରାଜ ଶ୍ରୀ ପଟ୍ଟନାୟକ 1851 ଫ.

შოცვლა ჩემთვის სასიამოვნოა¹. ასტრახანიდან ყიშლა-
რში გაილით ძმები სტაროგლადოვსკაიას სტანიცაში გა-
დავიდნ, სადაც ნიკოლოზ ტოლსტოი მსახურობდა. აქ
მოუხდა ლ. ტოლსტოის დიდხანს ცხოვრება და აქვე ეყ-
რება საფუძველი მომავალი დიდი მწერლის მონუმენტა-
ლურ მხატვრულ ტილოებს.

სატახტო ქალაქების გახრწნილ არისტოკრატიული
წრიდან მოწყვეტილი, ახალგაზრდა ნიჭიერი ლ. ტოლ-
სტოი, ღრმად აკვირდება და სწავლობს ცხოვრებას.

ბუნებრივია, რომ პირველ ხანებში ლ. ტოლსტოიმ
მარტოობა და მოწყვენილობა იგრძნო. მასზე ცუდი შთა-
ბეჭდილება მოახდინეს. აგრეთვე კავკასიაში შეოტმა რუ-
სის ოფიციელება. თავის ასეთი შთაბეჭდილებების შესახებ
ლ. ტოლსტოი ძველი იურტიდან სწერდა იმავე ტ. ერ-
გოლსკაიას. „აქაური ცხოვრების სახე არაა მიმხილველი,
როგორც მე პირველად მეჩვენა, იმიტომ, რომ თვით მხა-
რე, რომელიც მე ძალზე ლამაზად მესახებოდა, სრუ-
ლებით არაა ამგვარი“. მაგრამ იმავე წერილში ლ. ტოლს-
ტოი აღნიშნავს, რომ „საათობით ვდგევარ და ვიხიბლები
ბუნების პეიზაჟებით“—ო. აქვე ლ. ტოლსტოი მხატვრის
კალმით იძლევა კავკასიის ბუნების რამდენიმე სურათს.

ლ. ტოლსტოი ცდილობს მალე დააღწიოს თავი უსა-
ქმურსა და უმიზნო ცხოვრებას. თავის ერთერთს, კავკა-
სიური პერიოდის, ნაწარმოებში ლ. ტოლსტოი იძლევა,
ამ განწყობილების რამდენიმე შტრიხს. „ოლენინმა იგრძნო
მთები. ამ წუთიდან ყველაფერი, რასაც კი ის ხედავდა,
რასაც კი ის გრძნობდა, მისთვის ლებულობდა ახალ უ-
ღრესად დიდებულ ხასიათს. მოსკოვში მიღებული მაელი
აღზრდა, სირცხვილი და სინანული, ყოველგვარი ქვენა

¹ Л. Н. Толстой—Письма. Книга I, из. Саблина, 1911 г.
от. 14.

რცხებები კავკასიის შესახებ. გაჭქრენ და არ დამტრიუშულან არასოდეს. „ახლა დაიწყო“ — თითქოს ჩასხახა მას რაღაც სახეიმო ხმამ“. ¹ ოლენინში ლ. ტოლსტოი უთუოდ თავის თავს დაუახლოვდა. ამ განშეყობილებაში იგრძნობა ახლის შეიბისა და მაზნობრივი ცხოვრების დასაწყისის სურვალი.

ლ. ტოლსტოის შემოქმედებითი ძიება; პირველ ხანებში მაინც, თვითანალიზის გზით მიღის. რუსულ კრიტიკაში, ნ. ჩერნიშევსკისა და ნ. დობროლიუბოვიდან დაწყებული, მრავალჯერ აღნიშნულა ლ. ტოლსტოის პირველი პერიოდის ნაწარმოებთა ავტობიოგრაფიული განხრა, ცხადია, იმ გულშრფელობის დამაჯერებლობისა და ზომიერების დაცვით, რომელიც ლ. ტოლსტოის შეატვრული ნაწარმოებებისათვის დამახასიათებელი იყო. მწერლის შემოქმედების ამ თავისებურებაზე ნაწილობრივი გავლენა შაინც უთუოდ კავკასიამ მოახდინა.

პირველად სერიოზულად აქ დაუფიქრდა მწერალი თავის წარსულს და მომავალ დანიშნულებას საზოგადოებრივ ცხოვრებაში, აქვე ჩამოსცილდა ეგზოტიკის სამოსელი კავკასიის და სულ სხვა გვარად წარმოუდგა იგი რეალისტ მხატვარს. ამ გარემოებაზე გაკვრით ლ. ტოლსტოი მიუთიობს ტ. ერგოლსკაიასადმი მიწერილ წერილებში.

თავის ნათესავის, ილია ტოლსტოის, მეშვეობით ლევ ტოლსტოი გაეცნო კავკასიის ჯარების მთავარ-სარდალ თავად ა. ბარიატინსკის, რომელმაც ურჩია მომავალ მწერალს სამხედრო სამსახურში შესულიყო.

ლ. ტოლსტოიმ მიიღო ეს რჩევა. ამ ამბავთანაა დაკავშირებული ლ. ტოლსტოის ტფილისში ჩამოსვლა.

ტფილისში ლ. ტოლსტოი 1851 წლის 1 ნოემბერს ჩამოვიდა; ტფილის ლ. ტოლსტოის სასიამოვნო შთაბეჭდილება მოუხდენია.

¹ ლ. ტოლსტოი—„კაზახები“;

ამავე წლის, 12 ნოემბრის თარიღით გაცნავნილ წერილში ის ტ. ერგოლსკაიას სწერს: „ტფილისი ძალზე ცივილიზებული ქალაქია, ძალიან პბაძავს პეტერბურგს და კინევაც აღწევს მიზანს. მასში საქმაოდ მრავალრიცხოვანი და რჩეული საზოგადოებაა. არის რუსული თეატრი და იტალიური ოპერა, რომლითაც მე ვსარგებლობ იმდენად, რამდენადაც ამის საშუალებას ჩემი მცირე სახსრები მაღლევს“¹. იმ დროიდან, როდესაც ლ. ტოლსტოის ტფილისში ყოვნა მოუხდა, ტფილისი მართლაც ეპროპიულ ქალაქს ემსგავსება. მთავარმართებელ მ. ვორონცოვის პოლიტიკამ საგრძნობლად შეუწყო ხელი ტფილისში კულტურული ცხოვრების თავისებურ ფორმებში აღორძინებას. ეტყობა, რომ ტფილისის რუსულ თეატრსა და იტალიურ თანამდებობის კარგი შთაბეჭდულება მოუხდენია სატახტო ქალაქის კულტურაზე აღზრდილ ტოლსტოისათვის.

ტფილისში ლ. ტოლსტოი გერმანელების კოლონიაში დასახლებულა. „მე ვცხოვრიობ გერმანელების კოლონიაში, ეს ქალაქის გარეუბანია, მაგრამ მას ჩემთვის ორგანი სარგებლობა მოაქვს. ერთი, რომ ეს მშვენიერი ადგილია, ბალებითია და ვენახებით გარშემორტყმული, ასე, რომ აქ თავს ვკრძნობ უფრო სიცილიად, ვინემ ქალაქში, (აქ ჯერ დამსჭრეთაგანი:

1. Л. Н. Толстой—письма I т. стр. 21.

იტალიური ოპერის სეზონის განსაკუთრებული ტფილისში 1851 წ. 9 ნოემბრის მოხდა. ამ დროს ტოლსტოი სწორედ ტფილისში იყო. „თეატრი სავსე იყო ხალხით; შთაბეჭდილება კი შესანიშნავი. ჩვენ, რუსებს, თანამდებობის გვაგონებს პეტერბურგსა და ოდესას“ წერდა ერთი დამსჭრეთაგანი:

„Кавказ“ № 87—1851 წ.

ბილეთები იტალიურ თანამდებობებს დასასწრებლად, როგორც მფიციალური ცნობებიდან ჩანს, მართლაც ძალზე ძირი ყოფილა.

„Ложки верхнего яруса 50 р., нижнего яруса 40 р., кресла 3-х рядов 15 р. кресла от 4-го ряда 10 р. (Театр в Тифлисе с 1854—1856 г. Тифлис, 1888 г.)

ქიდევ ძალიან სიცხეებია და მზიანი დღეები, აქამდის არ ყოფილა არც თოვლა და არც ყინვა); მეორე უპირატესობა ისაა, რომ აქ ორ საკმაოდ დიდ ოთახში ვიხდი თვეში ი მანეთს ვერცხლით, მაშინ, როდესაც ქალაქში ასეთი ბინის დაჭირავება 40 მანეთზე ნაკლებად არ შეიძლება. გარდა ამისა, გერმანული ენის უფასო პრაქტიკაც მაქვს, მაქვს წიგნები, სამეცადინო საქმეც და მოცლაც, რადგან არავინ არ შოდის ჩემთან შესაწუხებლად, ასე, რომ საერთოდ მე მოწყენილი არ ვარ”¹.

ტფილისიდან მიწერილ ამავე წერილში ლ. ტოლსტოი პირველად ამჟღავნებს თავის ლიტერატურულ მუშაობას. მართალია, ლ. ტოლსტოის „სიყმაწვრლის დღიურებში“ ვხვდებით შენიშვნებს მისი ლიტერატურული ცდების შესახებ, მაგრამ ამ მუშაობას უფრო წინასწარი ვარჯიშის ხასიათი პქონდა, ვინემ სერიოზული ლიტერატურული მუშაობისა. ამ წერილში კი ლ. ტოლსტოი ტ. ერგოლსკაიას სწერდა: — „გახსოვთ, კეთილო მამიდა, ურთხელ თქვენ მირჩიეთ მეწერა რომანები. აი, მე მივდევ თქვენს რჩევას, და ჩემი მეცადინეობაც, რის შესახებაც გწერდით, ლიტერატურაში გამოიხტება. მე ჯერ არ ვიცი, გამოქვეყნდება თუ არა ოდესმე ის, რასაც მე ვწერ; მაგრამ ეს ისეთი სამუშაოა, რომელიც მე მართობს და რომელმაც მე ისე გამიტაცა, რომ თავს ვერ დავანებებ“².

ტფილისში ტოლსტოის ნაცნობთა წრე შეზღუდული იყო. ტფილისელ ნაცნობთა შესახებ ლ. ტოლსტოი თავის ძმას, სერგეის სწერდა: „აქ. ტფილისში მე სამ კაც ს ვიცნობ. მეტი ნაცნობი ვერ შევიძინე, ერთი იმიტომ, რომ არ მსურდა, მეორეც იმიტომ, რომ არ მქონდა ამის შემთხვევა,— მე თითქმის სულ ავადვყოფობდი და მხოლოდ ერთი კვირა, რაც კარში გამოვდიგარ. პირველი

¹ იქვე, გვერდი 21.

² Л. Толстой—Письма—1 ч. стр. 21—22.

ჩეში ნაცნობი — ბაგრატიონია, პეტერბურგელი, (ფერზენის ამხანაგი). მეორე — თავადი ბარიატინსკი. მე მას გავეკანი მტერზე თავდასხმის დროს, რომელშიაც ვმონაწილეობდი მისი მმრძანებლობის ქვეშ, და მასთან ერთად გავატარე ერთი დღე ერთ გამაგრებულ ადგილას ილია ტოლსტოის-თან ერთად, რომელსაც მე აქ შევხვდი. უმცველია, ეს ნაცნობობა მე დიდად ვერ გამართობს, — იმიტომ რომ შენ თვითონ მიხვდები, როგორი ნაცნობობა შეიძლება იყოს იუნკერსა და გენერალს შორის. მესამე ჩემი ნაცნობი მეაფთიაქის თანაშემწერა — პატივაყრილი პოლონელი, ძალიან შემქუვი ქმილება.

მე დარწმუნებული ვარ, რომ თავადი ბარიატინსკი ვერასოდეს ვერ წარმოიდგენდა, რომ რომელსამე სიაში მეაფთიაქის თანაშემწესთან ერთად მოხვდებოდა” — ირონიულად შენიშნავს ლ. ტოლსტიო. ამ წერილში ლ. ტოლსტიო თავის უახლოესი ნაცნობების შესახებ ლაპარაკობს. უნდა ვითიქროთ, რომ ტფილისის მთელი საზოგადოების ცნობა ლ. ტოლსტიოსათვის სამი კაცით არ ამოიწურებოდა. დაკვირვებული და მკვირცხლი გონების მქონე ტოლსტიო $2\frac{1}{2}$ თვის განმავლობაში ბეგრი რამის შესწავლასა და თვალის გადავლებას მოასწრებდა¹. ამას გვათიქრებიებს ტ. ერგოლსკაიასადმი მიწერილი წერილი 1851 წ. 12 ნოემბრის თარიოთ, განსაკუთრებით კი — ლ. ტოლსტიოს ცნობილი ნაწარმოები „პაჭი-მურატი“.

„პაჭი-მურატი“ არ ეკუთვნის კავკასიაში ყოფნის დროს დაწერილ ნაწარმოებთა რიცხვს: ეს თემა არც მოფიქრე-ბული და გააზრებული ყოფილა ამ დროს.

¹ კავკასიისა და საქართველოს სხვადასხვა მხრივ შესწავლით ლ. ტოლსტიო საკმაოდ დაინტერესებული იყო. მაგ. 1853 წ. 14 დეკემბერს ლ. ტოლსტიო თავის⁺ დღიურში აღნიშნავს: „შესწავლა — მისიონერთა მუშაობისა ჩრდილო ასეთსა და საქართველოში“ (A. T. T. 46. გვ. 177).

„ჰაჯი-მურატის“ წერდა ლ. ტოლსტიომ 1896 წლიდან
დაიწყო და 1904 წ. დაამთავრა. „ჰაჯი მურატი“ ლ. ტოლ-
სტიომ უმთავრესად ლიტერატურული და საარქივო მასა-
ლებით და აგრეთვე დაკითხვებით და ჩვენებებით დაამუ-
შავა, მაგრამ პირადი დაკვირვებით, ტფილისში გაგონილი
და შეტყობილი ამბებითაც უთუოდ უნდა ესარგებლა ავ-
ტორს. აյი ავტორი „ჰაჯი-მურატის“ წინასიტყვაობაში
წერს: „და მომაგონდა ერთი ძეელის ძველი კავკასიური
ამბავი, რომლის ნაწილი მე თვითონ ვნახე, ნაწილი მომ-
სწრეთაგან გავიგონე“¹.

შამილის განთქმული ნაიბი ჰაჯი-მურატი სწორედ
1851 წელს ნოემბრის თვეში სხვადასხვა მოსაზრებით
შეურიგდა მეფის რუსეთის მთავრობას.

8 დეკემბერს ის თავისი მიურიდებით ტფილისში ჩა-
მოიყვანეს მთავარმართებელ მ. ვორონცოვთან მოსალაპა-
რაკებლად. ამ დროს ლ. ტოლსტიო სწორედ ტფილისში
იმყოფებოდა; ჰაჯი მურატი, შამილის ნაიბთა შორის ყვე-
ლაზე უფრო განთქმული იყო თვის გმირობითა და გაუ-
კაცობით. მისი მამაცური და გმირული ბრძოლები რუსე-
თის ჯარების წინააღმდეგ მთაში ცნობილი იყო უმაღლეს
მმართველ წრეებშიაც კი. ამიტომ ბუნებრივია—ტფილი-
სის იმდროინდელი მოელი საზოგადოებრიობის უურად-
ღება ჰაჯი-მურატისაკენ იყო მიმართული², ეჭვს გარეშეა
ლ. ტოლსტიოც უნდა დაინტერესებულიყო ამ ამბებით.

1 ჰაჯი-მურატი 13 გვ. სახელ. გამოცემლობა 1929 წ.

2 გან. „კავკაზი“—ტფილისში საპერო სეზონის გახსნის მიმო-
ნილებასთან დაკავშირებით წერდა: „მაყურებელთა შორის განსაკუთ-
რებით საყურადღებო იყდნენ სპარსეთის პრინცი ბერძენ მირზა და
განთქმული მეომარი შამილის ექსნაიბი ჰაჯი-მურატი. მურატი და
იტალიური ოპერა ტფილისში—როგორი დაახლოვება! მოსწრებუ-
ლად შენიშვნავდა განეთი „კავკაზი“ 1852 წ. № 12.

საფიქრებელია, რომ ლ. ტოლსტიო რამდენჯერმე პირადად შე-
სცდა ჰაჯი-მურატს.

და სწორედ ამის შესახებ და ტოლსტიო თავის ძმას — სერგეის სწერდა; „თუ გინდა თავი ისახელო ქავკასიის ამპეპით, შეგიძლია უამბო სხვებს, რომ მეორე პირი შამილის შემდეგ; ვიღაც ჰაჯი-მურატია, ამ დღეებში რუსეთის შთავრობას ჩაბარდა. ეს იყო პირველი გმირი და ვაჟკაცი მთელ სახაჩნოში; ჩაიჭინა კი სისაძგლე“¹.

„ჰაჯი-მურატში“ ლ. ტოლსტიო ზედმიწევნით სიზუსტითა და სისწორით აღწერს მთავარმართებელ ვ. ვორონცოვთან დაახლოებულ წრეს: ამ წრეში ჯეროვან ადგილს იჭერს ქართველი არისტოკრატიაც. ლ. ტოლსტიო იშვიათ ნიშნობრივ შტრიხებს იჭერს ვორონცოვთან გამართული სადიღის აღწერისას. „ვორონცოვი შემოვიდა აჩქარებული ნაბიჯით, ბოლიში მოიხადა ქალების წინაშე დაგვიანებისათვის, მიესალმა მამაკაცებს და მიუახლოვდა ქართველ კაცინა მანანა ორბელიანს, აღმოსავლური იერის მეონე 45 წლის მსუქან და მაღალ ქალს და გაუწოდა ხელი, რომ სუფრისკენ წაეყვანა“.

აქვე ლ. ტოლსტიო ყურადღებას აქცევს ერთ საყურადღებო დეტალს: — მანანა ორბელიანის დასახასიათებლად. სადიღობის დროს ჰაჯი-მურატის საგმირო ამბების თხრობასთან დაკავშირებით ერთმა გენერალმა ლაპარაკი ჩამოაგდო დარგოზე ლაშქრობის შესახებ. ეს ლაშქრობა კი რუსეთის მხედრობისათვის სასტიკი დამარცხებით დამთავრდა, და რაღაც მისი ხელმძღვანელი ვორონცოვი იყო, მას ყოველთვის ეჯავრებოდა ამ ლაშქრობაზე ლაპარაკი. უტაქტო გენერალმა ანგარიში ვერ გაუწია ამ გარემოებას, რითაც უხერხულ მღვიმარეობაში ჩააყენა იქ დამსწრენი, სწორედ აქ გამოჩნდა მანანა ორბელიანის თავისებური ტაქტი: „გენერალმა ვერ მოასწრო ამბის გათავუბა, რაღვან მანანა ორბელიანმა, რომელიც მიხვდა

საქმის კითარებას, გააწყვეტინა სიტყვა გენურალს და დაუწყო გამოკითხეა, თუ პოვორ არის მოწყობილი ახალ ბინაზე ტფილისში”¹.

„ჰაჯი-მურატში“ ჩამდენიმე დეტალით მოცემულია ეროვნი ქართველი მლიქენელი თავადის სახე. დახასიათება იმდენად არსებითია, რომ ის მეფისნაცვლის ქარზე დაახლოვებული პირების ნიშნობრივ სახეს იძლევა.

მანანა ორბელიანის ჩარევამ ვერ შესცვალა დარგოზე სამარცხვინო ლაშქრობის გახსენებით გამოწვეული უხერხული ატმოსფერო, „ყველამ უხერხულად იგრძნო თავი, მდგომარეობის უხერხულობა გამოასწორა ქართველმა თავადმა, ძალზე სულელმა, მაგრამ მეტად ცბიერმა და გამოქნილმა კარისკაცმა, რომელიც ვორონცოვის კნეინის მეორე მხარეს იჯდა. მან, თითქო ვერაფერს ამჩნევს, ხმამაღლა დაწყო თხრობა, თუ როგორ მოიტაცა ჰაჯი-მურატმა მეხტულელი ახმეტ-ხანის ქვრივი“.

აქვე ვხვდებით ანალოგიურ ადგილს იძაცე თავადის დასახასიათებლად; იგივე თავადი ჰაჯი-მურატზე ამბობს:

„ის რომ ევროპაში დაბადებულიყო, შეიძლება ახალი ნაპოლეონი გამხდარიყო, თქვა სულელმა ქართველმა თავადმა, რომელსაც ცბიერების დიდი ნიჭი ჰქონდა.

ქართველმა თავადმა კარგათ იცოდა, შენიშნავს მწერალი, რომ ნაპოლეონის ყოველი ხსენება, რომლის დამარცხებისათვის ვორონცოვი თეთრ ჯვარს ატარებდა უზლზე, მისთვის სასიამოვნო იქნებოდა“.

უნდა ითქვას, რომ ლ. ტოლსტოიმ ამ ორ დეტალში მოგვეცა იშვიათი დახასიათება მთელი მაშინდელი ქართველი თავად-აზნაურობისა, რომელიც ანგარების მიზნით ყველაფერს ჩაიდენდა. პატივით და ჯვარ-მენდლებით გატაცებული თავად-აზნაურობა, მლიქენელობით მოელის ვო-

¹ ლ. ტოლსტოი—ჰაჯი-მურატი 124—25 გვ. (ქართ. გამოც.)

რონცოდის ყუჩადღებას და აქი იმსახურებს კიდეც. ქალალდის თამაშში ქართველი თავადი ვორონცოდის მუდმივი პარტინიორი და გამრთობია. დაკვირვებული ლ. ტოლსტიო უფრო შორს მიდის. ვორონცოდის მისალებოთახში ის ამჩნევს გაკოტრებულ ქართველ თავადს, რომელსაც ბრწყინვალება, მხოლოდ ტანისამოსში შერჩენია: „აქ იყო გაკოტრებული ქართველი თავადი დიდებული ქართულ ტანისამოსით, რომელმაც იდავიდარაბა და ხელთ იგდო გაუქმებული ჭაეკლესიო მამული“.

სურათი იძდენად რეალურია და ტიპიური, რომ გიკვირთ, როგორ შესძლო მწერალმა ასე გაკერით აღნიშნულ ამბებში სინამდვილის სიზუსტით მოცემა.

როგორც აღნიშნა — „ჰაჯი-მურატი“, ლ. ტოლსტიოს კავკასიაში ყოფნის 50 წლის შემდეგაა დაწერილი. მწერალი უმთავრესად ლიტერატურულ წყაროებზე ემყარებოდა, მაგრამ ნახულისა და გაგონილის აღდგენას. საქმაო ადგილი აქვს ტათმობილი ნაწარმოებებში. ლ. მიშკოვსკაიას ზედმიწევნით სიზუსტით და დოუმენტალურად დადგენილი აქვს ის წყაროები, რომლითაც სარგებლობდა ლ. ტოლსტიო „ჰაჯი-მურატის“ შექმნის დროს¹. როგორც ლ. მიშკოვსკაია სამართლიანად აღნიშნავს ვორონცოვის სადარბაზო სცენების აღწერისათვის, რომლებიც ამჟამად ჩვენ განსაკუთრებით გვაინტერესებს, ტოლსტიო სარგებლობდა ზისერმანის მოგონებით „25 лет на Кавказе“.

ზისერმანის აღნიშნულ მოგონებაში ვორონცოვთან ახლო მდგომ პირთა შორის, მართლაც, ვხვდებით მარიამ ორბელიანის, ელენე ერისთავის, მანანა ორბელიანისა და სხვა ქართველი თავადი ქალებისა და მამაკაცების სახელებს. მაგრამ ის, რაც ნიშნეულია აღწერილი სცენებისა-

¹ Л. Мышковская—Работа Толстого над произведением. Создание „Хаджи-Мурата“—1928 г.

თვის, ის ძირითადი, რაც ლ. ტოლსტიომ თვის. ნაწარმოებში აღნიშნა, ზისერმანს მოხსენებული არ აქვს. მთავარი ის არაა; რომ ლ. ტოლსტოიც აღნიშნავს მანანა ორბელიანის სილამაზეს, ან ქართველი თავადების კორონცუოვთან საღარბაზოდ სიარულს. ძირითადი ისაა, რომ ლ. ტოლსტოი იძლევა ამ თავად-აზნაურის წრის ნიშნეულ დახასიათებას, რაც განსაკუთრებით საგულისხმოა და რაც ზისერმანს არ მოეპოება. ცხადია, ლ. ტოლსტოი არ ემყარებოდა მარტო საარქივო მასალას, არამედ იმ შთაბეჭდილებებსაც, რაც მან მიიღო ტფილისში ყოფნის დროს. საფრანგებელია, რომ ლ. ტოლსტოი ტფილისში რამდენჯერმე სტუმრადაც იყო მ. კორონცუოვთან, როგორც ამას პ. მიშკოვსკაია შენიშნავს¹.

ტფილისში ლ. ტოლსტოი ოფიციალური სამხედრო პირი შეიქნა; მანამდის კი ის კერძო მოქალაქედ ითვლებოდა. 1851 წ. 3 იანვარს კავკასიის არტილერიის ბრიგადის შტაბთან ლ. ტოლსტოი აბარებს საიუნკრო გამოცდებს, ლებულობს მე-4 კლასის ფეირვერკერის ჩინს ფა მიწერილობას თავის ბრიგადაში წასახლელად; 13 თებერვალს კი ტოლსტოის სამხედრო მდგომარეობა საბოლოოდ გაფორმებულია: ამ რიცხვით დაიწერა ბრძანება მისი სამხედრო სამსახურში ჩარიცხვის შესახებ საბატარეო მე-4 კლასის ფეირვერკად, მე-20 საარტილერიო ბრიგადის მე-4 ბატარეიაში².

იანვრის შეარიცხვილან ლ. ტოლსტოი სამხედრო მოქმედების ხაზზე ბრუნდება საჩარინოში და, როგორც ოფიცერი, მონაშილეობას ლებულობს ბრძოლებში.

¹ პ. მიშკოვსკაიას დასახელებული წიგნი გვ. 49.

² В. П. Федоров—„Лев Николаевич Толстой на военной службе „Братская помощь“ 1910 г. № 12, стр. 37—42.

1852 წ. 12 იანვარს, ტფილისიდან ახლად გაშომუქრა-
ცრებული ლ. ტოლსტიო საყურადღებო წერილს სწერს
ტროლსკაიას თავის სულიერი განწყობილების შესახებ.

ამ წერილში ის ხაზგასმით აღნიშნავს თავის საგრძნო-
ბლად შეკვლას. და ამას კავკასიის გავლენას მიაწერს.
„მე ძალზე შევიცვალე ზნეობრივად... ერთი წლის წინათ მე
ვეძებდი ბელინიერებას და სიამოვნებას მოძრაობაში, ახლა
კი, პირიქით, ფიზიკური და მორალური დასვენება ისაა,
რასაც მე ვნატრობ. მე მკონია, რომ აზრი, კავკასიაში
გამომგზავრების შესახებ, ზენამ შთამაგონა... მე ვგრძნობ,
რომ აქ უკეთესი შევიქენი (ეს კიდევ ცოტაა, რაღან მე
ძალზე ცუდი ვიყავი) და ღრმად დარწმუნებული ვარ, რომ
ის, რაც მე აქ შემემთხვევა, ჩემთვის უკეთესი იქნება,
რაღან ღმერთს ასე სურს“¹. ამ აღსარებას რომ მისტი-

კური სამოსელი ჩამოვაცილოთ, დავრწმუნდებით, რომ
ლ. ტოლსტიომ მართლაც გარდატეხა მოხდა. სამხელო
საქმიანობაში უთუოდ ხელი შეუწყო ცხოვრებასთან ახლო
მისვლას. სატახტო ქაღაქებში ლ. ტოლსტიო მაღალ სა-
ლონურ არის ჭოკრატიულ წრებში ტრიალებდა. მისი შე-
ხედულება ძალზე შეწლუდული იყო, ის გალადებული
არისტოკრატის თვალით უცქეროდა. ცხოვრებას. კავკა-
სიაში კი ლ. ტოლსტიო ხალხს შეეჯახა, მასონ ახლოს
მისვლა მო უხდა. ლ. ტოლსტიო კერ კიდევ ლიბერალი
გრაფის თვალით უყურებდა კავკასიის ამბებს. კოშმარუ-
ლი აზრები და არისტოკრატიული სიზანტე ხშირად ეწვე-
ოდა ლევ ნიკოლოზის ძეს, თავის „სიყმაშვილის დღიურ-
ში“ 1851 წ. 11 ივნისს ლ. ტოლსტიო წერს: „ბანაკი,
ლაშეა უკვე ხუთი დღეა, რაც აქ ვცხოვრობ და შეპყრო-
ბილი ვარ ჩემგან უკვე დიღი ხნით დავიწყებული სისა-
რმაცით. დღიური სრულიად გადავაგდე შენები, რომელ-

1. Л. Толстой, Письма, I т. 33. 33—34.

2. ტოლსტიო.



ზედაც მე ყველაზე მეტ იმედებს ვამყარებდი კავკასიისა—
კენ გამომგზავრების განხრახევის დროს, არ წარმოადგენს
არაფერს წარმტაცს. სისარმაცე, რომელიც, მეგონა, აქ
საცხებით გაქრებოდა, ისევ მიპყრობს“¹ მაგრამ ასეთი
გადაწყვეტილება კავკასიაში მყოფ ლ. ტოლსტოისათვის
დამახასიათებელი არაა. ის მხოლოდ ზოგჯერ შეთყრობს
მომავალ დიდ მშერალს. ცხადია, მოაზროვნე დაკვირვე-
ბულ რეალისტ მშერლის გატაცება კავკასიის ბუნებას ისე
არ შეეძლო, როგორც ის წინა თაობის დიდი პოეტების
თხზულებებშია წარმოდგენილი. რასი მშერლებიდან ლ.
ტოლსტოი პირველია, რომელიც კავკასიას რომანტიკული
ფანტასტიკისა და ეგზოტიკის თვალით არ უყურებს.

24 წლის ლ. ტოლსტოი თავის პირველ კავკასიის
ცხოვრებიდან დაწერილ — ნაწარმოებში („Надея“. დაწე-
რილია 1852 წ.) იშვიათი ოსტატობით გვიხატავს იმ რუს-
ოფიცერთა ტიპებს, რომლებიც კავკასიას თავის შექცე-
ვისა და ეგზოტური რომანტიკის საგნად სთვლიან; ვის
დაავიწყდება პორუჩიკ როშენკრანცის კომიზმამდე მისუ-
ლი, ნიღაბ აფარებული მედიდურება „Надея“-ში. პო-
რუჩიკი იაფეთსიანი პოპულარობის მოსახვეჭად მთიულე-
ბში, გარეგნულ იერს იცვლის. მთიულის ტალავარს ლე-
ბულობს და რამდენიმე ადგილობრივ სიტყვასაც სწავ-
ლობს.

„თავის ტანისამოსით, ცხენზე ჯდომათ, ქცევის მანე-
რითა და საერთოდ მთელდ მოქრაობით ეტყობოდა რომ
ის ცდილობდა ოურქს დამსგავსებოდა. ის ჩვენივის გაუ-
გებარ ენაზე კიდევ ელაპარაკებოდა ოურქებს, რომლე-
ბიც მასთან ერთად ცხენებით შიდიოდენ; მაგრამ მათმა
გაოცებულმა დამცინავმა ცქერამ, მე დამარწმუნა, რომ

¹ Л. Н. Толстой—Дневник молодости, т. I. 1847—1851. Москва, 1917 г.

შათ ამ თეუიცერის არაცერი ესპონდათ. ეს იყო ერთ-ერთი
ჩვენი ოფიცერთაგანი, გულადი, მეომარი ლერმონტოვისა
და მარლინსკის შიხედვით. ეს ხალხი კავკასიას ჩვენი დრო-
ის გმირებს თვალით უყურებს მულა ნურებისა და სხვათა
მსგავსად, და თავის მოქმედებაში ხელმძღვანელობს არა
თავის მისწრაფებებით, არამედ ამ ნიმუშების მსგავსად.¹

ლ. ტოლსტოი საქმიო მოხდენილად ამათრახებს ამ
ოფიცერს, ამელავნებს მის თეატრალურ პოზას და იმ გან-
შეკობილებას, რომელიც ამ ოფიცერსა და მთიულებს შო-
რის შეიძლება ნამდვილად არსებობს. გარეგნული იერი
ვერ ცვლის საქმის ვითარებას; მტერთან მეგობრობაც
ფიქტურია. ტოლსტოის მოყავს ერთი ეპიზოდი ამ ოფი-
ცერის მთიელებთან მეგობრობიდან, რომელიც აშკარად
ადასტურებს, რომ მთიულებმა კარგად იციან ტანისამოს-
შეცვლილი მტრის ნამდვილი სახე და არც დაინდობენ
მას. „ერთხელ, ღამით ერთ-ერთი ექსპედიციის დროს,
ის მეგობრებით (კუნაკებით) მოდიოდა, გზაში ტყვიით
დასჭრა ერთი ჩაჩანი და ტყვედ წამოიყვანა. ამის შემდეგ
ეს ჩაჩანი შვიდ კვირას პორუჩიკთან ცხოვრობდა; პორუ-
ჩიკი, როგორც თავის უახლოეს მეგობარს, ისე უვლიდა
და წამლობდა მას. როდესაც ავაღმყოფი განიკურნა, პო-
რუჩიკმა საჩუქრებით. გამოისტუმრა ის. რამდენიმე ხნის
შემდეგ, ერთერთი ექსპედიციის დროს, როდესაც პორუ-
ჩიკი უკან იხვდა ალყით, რომელსაც მოწინააღმდეგები
ტყვიას უშენდენ, მას მტრების ბანაკში მისი სახელი მო-
ესმა: მისი დაჭრილი მეგობარი ცხენით წინ წამოვიდა და
პორუჩიკსაც ანიშნა ასე მოქცეულიყო; პორუჩიკი მივიდა
თავის მეგობართან და ხელი გაუწოდა. მთიელები მოშო-
რებით იდგნენ და არ ისროდენ: მაგრამ როგორც კი
პორუჩიკმა ცხენი უკან გააბრუნა, რამდენიმე კაცმა პო-

¹ Л. Н. Толстой—Пол. соб. Соч. (юб. изд.) т. 3. 83. 22.

რუჩიკეს ტყვია დაუშინა, ერთი ტყვერა შას კიდეც მოხვდა”¹. ✓

მეტაზ საყურადღებო და საპიროვნებლივ ეპიზოდია ასეთ ოფიციალურ მთიელების განწყობილების გასარკვევად. მეგობარმაც კი არ დაინდო რუსის ოფიცერი. პიროვნული მეგობრობის გრძნობა საზოგადოებრივმა მოქალაქობამ დაარღვია. მარლინსკისა და ლერმონტოვის ლექსებზე აღზრდილ ოფიცერებს ვერ უშეველა მთიულებთან დაახლოების ცდამ. ლ. ტოლსტოი არ აანალიზებს ამ ფაქტს. შეიძლება ვიფაქტოთ-ის ყოველგვარი კომპროსებისა და სანტიმენტარული განწყობილების წინააღმდეგი იყო „ველურ“ მთიელებთან. მაგრამ მკითხველს ობიექტურად სულ სხვაგვარი დასკვნა გამოჰყავს. ფარდა ეხდება რუსეთის ცარიზმის კოლონიალურ პოლიტიკას. შეფარდებული იძრულია იჩრდილება და შიშველი ვერაგობის, ბრძოლისა და მთიულების დაპყრობის სურათი იჭრება წინ. ლ. ტოლსტოი თავის გმირების პირით მრავალჯერ ესხმის თავს კავკასიის მისტიფიკატორებს.

კავკასიაში მისი ყოფნის დროს დაწერილ მერჩე წარმოებში „ტყის ჭრაში“ („Рубка леса“) საყურადღებო დიალოგი იმართება კავკასიის ხაზზე მოქმედ სამხედრო პირებს შორის. ავტორი ძალზე მოხერხებულად სვამის საკითხს რუსეთის მხედრობის კავკასიაში „მოღვაწეობის“ შესახებ, კარიურის და ჩინ-მენდლების სურვილი ძროითადი მამოძრავებელია რუსეთის ოფიცერებისა და მემკვიდრეობის მებრძობის მინისტრის მინისტრის კავკასიის ომებში. ობიექტი კი მთიელების დაპყრობაა, თუმცა რომანტიკის ჩრდილი თან სდევს ამ საქმიანობას.

ერთ-ერთი ოფიცერი ელაპარაკება ავტორს: „რუსეთში კავკასიას რაღაც ღიღებულებით სახავენ, მუღმებე ხელუხლებელი ყინულებით, სწრაფი ჩანჩქერებით, ხანჭლებით,

¹ იქვე გვ. 23.

საპდეტით, ჩერქეზი ქალებით უყელაფერი ეს რაღაც საშინელებაა, სინამდვილეში კი ამაში არაფერი სასიხარულო არა“.

ავტორი ეთანხმება მოსაუბრეს, რომ რუსეთში სულ სხვაგვარად უყურებენ კავკასიას, ვინემ აქ...

მოსაუბრე აწყვეტინებს ავტორს სიტყვას და შენიშვნას, რომ მას საშინლად არ მოსწონს კავკასია.

— არა, კავკასია ჩემთვის ახლაც კარგია, მაგრამ სხვაგვარად — შენიშვნას ავტორი. ლ. ტოლსტიო არ ამთავრებს აზრს. თითქოს გაურკვეველია, როგორ სხვაგვარად მოსწონდა მშერალს კავკასია. მაგრამ ერთი რამ უდაოა, რომ ლ. ტოლსტიო კავკასიას რომანტიკოსების თვალით არ უყურებდა და კავკასიაში ხალხის რეალური ცხოვრებით დაინტერესდა.¹

ლ. ტოლსტიო „Надеж“-ში (1852 წ.) საქმაო მოხდენილად ახასიათებს კავკასიის მაშინდელ არმიის შთაგარ სარდალს, და შემდეგ მთავარმართებელს ბარიატინსკის. გენერლის სახე იძღვნად უახლოვდება თავი. ბარიატინსკის რომ „სოვერემენიკში“ „Надеж“-ის დაბეჭდვის შემდეგ, ლ. ტოლსტიო დღიურში წერს: „მე ძალიან მაშტოთებს, რომ ბარიატინსკი თავის თავს იცნობს მოთხოვთაში („Надеж“).“

როგორ უყურებს „ეს განათლებული“ მომავალი მთავარმართებელი კავკასიის ამზებს. „Надеж“-ში ლ. ტოლსტიოს აწერილი აქვთ ლაშქრობის ერთი ეპიზოდი მთიელების წინააღმდეგ. გააფორმებული ბრძოლისა და სისხლის ლვრის მაყურებელი ბარიატინსკი აღტაცებით ამბობს:

¹ 1852 წ. 29 მაისს ლევ ტოლსტიო თავის დღიურში პრიშნას: „მთელ დილას ვოცნებობდი კავკასიის დაბურობაზე“, (ტ. 49, გვ. 119) უმდა ვიფიქროთ, რომ ეს საკითხი ლევ ტოლსტიოს საკმაოდ აღელვებდა.

„როგორი მშვენიერი სანახაობაა“.

„განსაცვალებელია, ჭეშმარიტად დამატებობელია — სპერმოლო ისეთ ლამაზ მხარეში“, უდასტურებს მისი თან-შელებელი მაიორი.

— „განსაცვალებით კარგ კამპანიასთან ერთად“ — უმა-ტებს გენერალი სასიამოვნო გაღიმებით“.

ლ. ტოლსტოის ყურადღება სხვა მხრივაა მიმართული. ის კარგად ამჩნევს, რომ ომი თეატრული სილამაზე არაა და ხალხი უბრალო მანეკენი.

„უკანა მხარეს მომესმა დაჭრილის კვნესა. ეს კვნესა საოცრად მალელვებს და ომის სურათი უეცრად ჰქარგავს მოფლ თავის მშვენიერებას. მაგრამ არავინ, ჩემ გარდა, თითქოს ამას არ ამჩნევს: მაიორი იცინის, როგორც ემ-ჩჩნევა დიდი გატაცებით; მეორე ოფიცერი სავსებით წყნა-რად აგრძელებს დაწყებულ სიტყვას; გენერალი მოწინაა-ლმდევეთა მხარისაკენ. იცქირება და მეტად წყნარი ღი-მილით ფრანგულ ენაზე ლაპარაკობს რალაცას შესახებ“¹.

ჩანს თავ. ბარიატინსკის ლ. ტოლსტოი საქმაო კარ-გად იცნობს. საყურადღებოა, რომ 24 წლის ლ. ტოლ-სტოი სავსებით სწორად აღნიშნავს იმ განდიდებისა და ანგარების წყურვილს, რომელიც ბარიატინსკის კავკასია-ში ამოქმედებდა. მეფის სასახლის ამბების მცოდნე და მაღალი წრის პირების ახლო მეგობარი პეტრე დოლგო-რუკოვი — თავის „Петербургские очерки“-ში საქმაო სი-ცხადით არკვევს ალ. ბარიატინსკის კავკასიაში “გამგზავ-რების მიზანს. პეტერბურგში ძალზე განცვითურებული იყ-ვნენ, როდესაც ბარიატინსკის განზრახვა შეიტყვეს. „მხოლოდ ზოგიერთი მიხვდა — რაში იყო საქმე; ეშმაკი მოცუცი ერმოლოვი, ერთ კაცს, რომელიც გაკეირვებას გაშოთქვამდა ბარიატინსკის პეტერბურგიდან გამგზავრე-

¹ Т. 3. გვ. 33 (ინ. ივა.)

ბის გამო, უპასუხებდა „კავკასიაში ხომ დიდი მთებია, პეტერბურგში კი საფლობი ჭაობია, ჭაობში კი იმდენად არ შეიძლება განძრევა, რამდენად მთებში მწვერვალებზე ასევლაა მოსახერხებელი“¹.

„კავკასიაში ბარიატინსკი ეწეოდა იშვიათად ნებიერ ცხოვრებას“ შენიშნავს იგივე პ. დოლგორუკოვი. ვანდრდების მანია ალ. ბარიატინსკის დამახასიათებელი თვისება იყო. თავის სამხედრო ხასიათის მოხსენებებში ის საკმაო მოხერხებულად აღწერს მისი ხელმძღვანელობით წარმოებულ „გრანდიოზულ“ ბრძოლის სურათებს, წერილმანებს აბუმბერაზებს და აფერადებს. ბარიატინსკი ამ ხერხებით ცნობილი ცბიერი დიპლომატის მიხ. ვორონცოვის დახმარებით კიდეც აღწევდა მიზანს და ჩინებს ჩინებზე ღებულობდა².

თავის მემუარებში პ. დოლგორუკოვი სამართლიანად აღნიშნავს ბარიატინსკის თვითხებურსა და დესპოტურ პოლიტიკას კავკასიაში, ბარიატინსკის თავის თავი შეუზღუდველ მოწარქად ეხატებოდა; ყველა თავის იხრიდა გონებრივად მეტის მეტად შეზღუდულ და აფექტების მოყვარე მთავარმართებლის წინაშე³. ალ. ბარიატინსკონ ახლო მდგომი ვრიგოლ ორბელიანი, ჩერნი თანამემამულე პოეტი, სარდალი აღტაცებული იყო ბარიატინსკის საქართველოში ჩამოსვლით. „მოდის ოქვენკენ მთავარ-მართებელი კნიაზი ბარიატინსკი, კაცი ლვოსაგან დალოცილი, სრული ჟყოფლისფრით, გულით, გონებით, კეთილ-განზრავებით, მოდის დიდის სიყვარულით, დიდი სურვილით საქართველოს გამუიდრებისათვის. ღმერთმან შის-ცეს შემწეობა თვისი და სიცოცხლე აღსრულებისათვის“

¹ Петр. Вл. Долгоруков. Петербургские очерки. Москва, 1934 г. №№. 210—211.

² იქვე—გვ. 213.

³ იქვე გვ. 222.

ყოფლისა შეს, რაიც მიაშმო თავის: პლანებიდან. ხელმწიფებრივი და თვით ღმერთსა ჰყაურებია საქართველო, რომეს კაცი გამოვზეონ აქა მთავარ-მართველიად. ამა რაც შეგეძლოსთ, მხიარულებით მოეგდებით: ზურნით, ნალარით, ცხენის ჭრებით, ყიუინით, ყვირილით, ვინც როვორ იციდეთ, ისე მიეგებენით, სულ ბაირალებით...¹ პათეტიურად სწერდა გრ. ორბელიანი და ლესტნიდან ტფილისში. ყაფლან ორბელიანს, გ. ორბელიანი ალტაცებული იყო ბარიატინსკის მთავარმართებლად დანიშნულით. პოეტი სარდალი საქართველოს ქეთილდღეობას თავის და მისი გერის წევრთა კარიერის ზრდით ხომავდა; და მართლაც ბარიატინსკის მთავარმართველობის დროს გ. ორბელიანმა ლიდ წარმატებებს მიაღწია, და, როვორც სამხრეთლიანად შენიშნავს პ. ლოლკორუკივი, ბარიატინსკიმ ფაქტიურაზ „კავკასიის მთავარმართველობა ჩიანდო გენერალ-ადიუტანტს თავისდ გრიგორ დიმიტრის-ძე ორბელიანს“².

¹ „ცხოვრიება და ღვაწლი გრ. ორბელიანისა“ — ი. მეუნარება „მოამბე“ 1904 წ. № 4. გვ. 17.

² ქერბერ. ივერკი ვვ. 222.

უკვევლისა, რომ მთიულების ცნობილი ამკლებისა და განთქმული სარდალის გრიგორ ორბელიანის შესახებ ლევ ტოლსტოის საკმარის ბევრი ცნობები პქნდა, მით უფრო რომ გრიგორ ორბელიანი ძალაშე დაახლოვებული იყო მთავარ სარდალ ა. ბარიატინსკისაან, რომელსაც ლევ ტოლსტოი ხშირად ხვდებოდა და ახლოს იცნობდა.

1853 წელს 22 ოქტომბერს ლევ ტოლსტოი დღიურში წერს: „საჭილის შემდეგ ვიყავი გრიგორანთან, რომელთანაც მოვიდა სამყრელის პილების ღვიცერი და მოკუთხრო მრავალი შესაქცევი ამბავი ზაქათალას შესახებ“ (ტომი 46, ვვ. 179). როგორც სჩანს ეს ამბავი ეხება შამილის ლაშქრობას ზაქათალაზე, სადაც იმ ხანებში გრიგორ ორბელიანი სამხედრო და სამოქალაქო საქეცების უფროსად ითვლებოდა. გ. ორბელიანი ზაქათალას ვიწრო ხეობაში დაუხვდა შამილს და სასტიკი ბრძოლა გაუმართა მას, რის გამო შამილი იძულებული იყო უკან დაეხდა. ზაქათალის ბრძოლების და გამარჯვებების

ადგისანიშნავია, რომ გ. ვოლოინცოვისა და ალ. შარიატისკის ცბიერი და კოლონბიზატორული პოლიტიკა ის დროინდელ ძწერალთა მიერ თითქოს შეუმჩნეველი დარჩა. პირიქით, თავადაზნაურულ ოფიციალურ ლიტერატურასა და კერძო მიმოწერაშიაც კი მეფის რუსების ეს სატრაპეზი ქება-დიდებით იხსენიებიან. ოუ რამდენად ძლიური იყო ეს ტენდენცია ქართულ ლიტერატურაში, ამას აკაკის პოემა „ეორონცოვიც“ ადასტურებს. ჯერ კიდევ ჭაბუკი ლ. ტოლსტოი ააშკარავებს ამ მოხელეების მმართველობის ნამდვილ ბუნებას და მათს დამოკიდებულებას ადგილობრივ მცხოვრებთან. არ შეიძლება ითქვას, რომ ლ. ტოლსტოიმ თანამიმდევრად გარდავიშალა რუსეთის ბიუროკრატიული მმართველობის ნამდვილი სახე კავკასიაში და კერძოდ საქართველოში, მაგრამ ორიოდე დამახასიათებელი ხაზით მოგვცა მეტი, ვინებ იმ დროის რომელიმე მწერალმა.

თავის პირველსავე შოთხრობებში ლ. ტოლსტოი ამჟღავნებს, ომშესალმი უარყოფით დამოკიდებულებას: „ნუოუ ძნელია ცხოვრება ადამიანებისათვის ამ ლამას ქვეყანაში, ამ თვალუწვდენელ ცის ქვეშ. ნუთუ ამ მომხიბლავ ბუნების გარემოცვაში ადამიანის სულში შეიძლება დაისადგუროს, ბოროტების გრძნობამ; შურისძიებამ ან მისწრაფებამ თავის მსგავსი ადამიანის განადგურების შესაბებ“¹.

საკმაოდ შეფერადებული ამბავი უშუალოდ გ. ორბელიანის სახელთან იყო დაკავშირებული (იხ. ჩავხაასკი ციირნიკ, თ. XI გვ. 499—523).

ამიტომ ბუნებრივია თუგინდ ამ ამბავთან დაკავშირებით ლ. ტოლსტოის სცენდნიჭა გრიგოლ ორბელიანის ვინაობა:

როგორც გრ. ორბელიანის წერილიდან (1851 წლის 9 ივლისის თარიღით იღია ორბელიანისადმი) სჩანს თემიორხანშტანში ღვევტოლსტოი პირადად. შეხვედრია გრიგოლ ორბელიანს. (უკანასკნელი ცნობა მომაწოდა აკ. გაწერელიამ).

¹ ლ. თოლსტოი თ. 3. (იხ. ივ.) გვ. 29.

როგორც სამხედრო პირი ლ. ტოლსტიანი ტფილისიდან
დალესტანში ამოსვლის შემდეგ, ლაშქრობებში მონაწილე-
ობას ღებულობდა. ამ ლაშქრობის ერთერთი აქტიური
ხელმძღვანელი იანუჭი თავის მოგონებებში „Восем-
надцать лет боевой и мирной жизни 20-й Арти-
ллериейской бригады“ (Тифлис, 1887 г. т. II) აღ-
წერს იმ სამხედრო ნაწილების მოქმედებას, სადაც ლ.
ტოლსტიო ღებულობდა მონაწილეობას.

„1852 წელს, წერს იანუჭი, საფუძველი დაედო
მტკიცე გალაწყვეტილებას საბოლოოდ დაპყრობილი ყო-
ფილიყო ჩახნეთი.

ამ წელს მარცხენა ნაწილის მთავარ-სარდალმა თავად
ბარიატინსკიმ დაიწყო ის, რაც დაამთავრა და განამტკი-
ცა საბოლოოდ შეიდი წლის შემდეგ. მაშინ როდესაც
ის ბრწყინვადა მთავარმართებლისა და მეფის ნაცვლის
დიდ პოსტზე კავკასიაში“. როგორც ირკვევა, მარცხენა
ფლანგზე მოქმედებდა 20 ბრიგადაც, რომელშიაც მონა-
წილეობას ღებულობდა — „ორი ოცეული ბატარეისა და
მსუბუქი ქვემენების № 4 ბატარეია“ კაპიტან ხილკოვის
მეთაურობით და დივიზიონი № 5 მსუბუქი ბატარიისა,
კაპიტან ტვერიტანოვის ხელმძღვანელობით... აქვე იყო
ბაკლანოვის კოლონეა“. პოლკოვნიკ ბაკლანოვის კოლო-
ნა შედგებოდა ათი როტისა და ხუთი ასეული მწყობრი-
საგან, ამავე კოლონაში მუშაობდენ პორუჩიკი მაკალინსკი
და პოდპორუჩიკი ლადოებნიკი. „В одном из орудий
главного отряда батареи № 4 батареи унос-
ным фейрверком был граф Лев Толстой, ბოლოს
ავტორი უკვდავ თხზულებათა: „Рубка леса“, Война
и Мир“ და სხვა: მთავარ არტილერიის რაზმის უფრო-
სი იყო 20 ბრიგადის კომანდირი პოლკოვნიკი. ლევინი¹.

¹ იანუჭის დასახელებული მოგონება გვ. 94—95

მე-20 ბრიგადის იმ ნაწილში, საღაც ლ. ტოლსტოი მსახურობდა, საქმაოდ ბევრი ქართველი ითვლებოდა სამხედრო სამსახურში. საყურადღებოა ამ მხრივ ცნობილი მწერლის რევაზ ერისთავის გამოქვეყნებული „დღიურები“. ეს დღიურები მრავალ მხრივაა საინტერესო: რ. ერისთავი ასე თუ ისე ლიტერატურული ფიცურაა, მართალია, ილია ჭავჭავაძის ბასრი კალმის შემდეგ, რევაზ ერისთავი მავიწყებას მიეცა და ის მხოლოდ ამ ცნობილი პოლემიკის გახსენების დროს თუ ცოცხლდება მკითხველის მეხსიერებაში, მაგრამ რევ. ერისთავი, როგორც პირველი სალიტერატურო ჟურნალის „ცისკრის“ მოკალმე, ანგარიშგასაწევი ფიცურაა და უთუოდ გამომხატველია იმ დროინდელი თავად-აზნაურული ინტელიგენციის. განწყობილებისა; აშას თუ გინდ ის გარემოებაც ამტკიცებს, რომ რევ. ერისთავს ბევრი დამცველი აღმოუჩნდა „ცისკრის“ ფურცლებზე.

„წელსა 1853-ს იანვრის 27-ს ძლიერ დაყიძარით გროვნიდან დიდის გზიდამ, მარცნივ მოვბრუნდით და მთა-მთა უგზო-უკლოთ ნოვოიურტში მოვედით. იმ დღეს, ორ საათის შემდეგ მოსვლისა, ბარონ-ჩოზინი მოვიდა და მოგვილოცა ბარიატინსკის ლენინალ აღიუტანტობა, რომელსაც ჩვენც ერთობ. სათითოოთ მიულოცეთ, მაშინვე შამპანსკი გახსნეს, ჯერ თითონ დალია ხელმწიფის სადღეგრძელო და შემდეგ ჩვენ ბარიატინსკის სადღერგძელო დავლიეთ და ურა შევძახეთ. დიდათ მხიარული იყო კნიაზი; სწორე გითხრა მეც გულით მიამა, ეს ახეთი კაცია, რაც მისცემ, ყველა შეშვენის. ამავე დროს ზინოვიევსაც პოლკოვნიკობა მიულოცეთ. შემდეგ ყველანი თავთავის ბინაზე წავედით. იმ ლამეს კონსტანტინე დადიანი, შიხეილ, სვიმონ თუმანოვი და ალექსანდრე დადიანი ერთად ვიდექით, ვახშამი ძალიან მხიარულად გავატარეთ. სვიმონმა ბევრი გვაცინა“¹.

¹ რევ. შალვას ძე ერისთავის გამოუქვეყნებელი დღიურები. რვ. 3.

ბაქლანოვის „ატრიადი“-ს ამბები, სადაც ლ. ტოლსტოი ირიცხებოდა, რევაზ ერისთავს თავის დღიურებში ზედმიწევნით ზუსტად აქვს აღწერილი. ამ. დღიურებში რ. ერისთავი, თანამიმდევრობით და დიდი აღტაცებით მოგვითხრობს მთიელების აწიოკებასა და აოხრების აძებს. ბუნებრივია, რომ რევ. ერისთავი და დღიურებში აღნიშნული ქართველი ოფიცერი ხშირად შეხვდებოდენ ლ. ტოლსტოის სამხედრო ოპერაციებისა და დასვენების დროს. რ. ერისთავი თავის. „დღიურებ“-ში არ აღნიშნავს ამ. შეხვედრებს, რადგან ლ. ტოლსტოი მაშინ უბრალო ფეიერვერკერი იყო. ლ. ტოლსტოისათვისაც ასეთივე უნდა ყოფილიყო რ. ერისთავი და მისი თანამებრძოლი ქართველი ოფიცერები. ზემომოყვანილი ამონაშერი. და საერთოდ რევ. ერისთავის „დღიურები“ საყურადღებოა სხვა მხრივაც. როგორ ამართლებდა პრიველეგიური წოდება თავის მოქმედებას დალესტანში. ჩანს მათ ამოძრავებდა იგივე განდიდების. და სახელის მოხვეჭვის გრძნობა, რაც ამოქმედებდა რუსეთის სამხედრო მოხელეებს ვორონცოვიდან და ბარიატინსკიდან დაწყებული უბრალო ოფიცერებამდის, და რაც ასე მოხდენილად გამოხატა ტოლსტოი იმ თავის კავკასიურ მოიახრობებში. თვითონ ლ. ტოლსტოიც პერიოდში ხშირად ოცნებობდა სამხედრო კარიერაზე. განსაკუთრებით აწუხებდა მას რუსეთში „უჩინოდ“ დაბრუნება¹.

ბარიატინსკის ჭარბატებით აღფრთოვანებული რ. ერისთავი გრ. ორბელიანის აღნიშნული განწყობილების მონაწილე და გამომუღავნებულია.

¹ Л. Толстой. Т. 46. Дневник. № 158—159.

საყურადღებოა, რომ 1853 წლის ოებერვლისა და მარტის თვეის დღიურებში ლევტოლსტოი და რევაზ ერისთავი აგვიშერენ ერთსა-ლაიმავე სამხედრო ნაწილების და პუნქტების მოქმედებას (შეად. ლ. ტოლსტოი Дневник (46) № 156—158 და რევ. ერისთავის დღიურები. 4—5 გვ.).



Mr. George Webster 1854 A.

ლ. ტოლსტოი — „Набег“-სა და „Рубка леса“-ში იძლევა მისი მონაწილეობით გამართულ ლაშქრობის სურათებს და ზოგიერთ სახეებს. საყურადღებოა, რომ „Набег“-ის პირვენდელ რედაქციებში ახალგაზრდა ოფიცერს ალადინს ლ. ტოლსტოი „ქართველ თავადს“ უწოდებს¹. შეიძლება კიფიქროთ, რომ ამ ქართველ თავადის პროტოტიპად ჩ. ერისთავის მერ დასახელებული ერთერთი ქართველი თავადი ყოფილიყო.

კავკასიაში ყოფნის დროს ლ. ტოლსტოის უთუოდ საკმაო ცნობები ჰქონდა დევრადირებულ ქართველი თავად-აზნაურების შესახებ.

დადასტურებულია, რომ განსაკუთრებით გასული საუკუნის 40-იანი წლებიდან ეკონომიურად დაქვეითებული პრივილეგიური წოდების წარმომადგენლები ავაზაკობასა და მძარცველობასაც კი არ ერიდებოდენ ფულების მოსახვეჭად. გაქნილი თავადები ამ ყაჩალობის ხლართში ხშირად ითრევდენ და ზოგჯერ უდანაშაულოდაც ხვევდენ ზოგიერთ პირებს. ასეთი ფაქტები იმდენად ხშირი და საყურადღებო იყო 50 იან წლებში, რომ ლევ ტოლსტოიმაც მიაქცია ამ გარემოებას ყურადღება.

1853 წლის ნოემბრის პირველ რიცხვებში ასეთ ამბავთან დაკავშირებით დასჯილმა სამხედრო პირმა ალ. სტასიულევიჩმა² უამბო ლ. ტოლსტოის მეტად საყურადღებო ეპიზოდი ფოსტის ვაძარცვიდან, რომლის ინიციატორები იყვნენ ქართველი თავადები ივანე აზილახვარი და ოქრო ერისთავი. 1853 წლის 4 ნოემბრის თარიღით ლ. ტოლსტოის თავის დღიურში შეაქვს სტასიულევიჩის ნაამბობი:

¹ История писания Набега иб. изд. т. 3. № 289.

² ალ. სტასიულევიჩი გუსკოვის პროტოტიპად არის მიჩნეული (მოთხრობა რავჯალოვაშვილი).

„შეტეხის ციხეში დაპატიმრებული იყვნენ ქართველი თავადები ამილახვარი და ერისთავი და სამი ჯარისკაცი მეცნიელობისა და ფოსტის გაძარცვის გამო: მათთან ერთად დატუსალებული იყო რამოდენიმე იმერელი, რომელთაც ამ საქმეში მონაწილეობა ბრალდებოდა. ციხეში ჯარისკაცები ახერხებდენ ამილახვართან შეხვედრას და აცნობეს შას, რომ ქალაქში შენახული აქვთ 25.000 მანერი ვერცხლით. ჯარისკაცები პირდებოდენ ამილახვარს ამ ფულის მოტანას თუ მას ციხიდან გაუშვებდენ. ამილახვარმა მიმართა ყარაულის ოფიცერს ზაგობელს და დაპირდა ჯარის-კაცებისათვის გაეყოლებია თავის იმერლები (რომლებიც განთქმული არიან თავის დაპირებათა შესრულებით); იმერლები იგალდებულებდენ უკანვე დაებრუნებიათ ჯარის-კაცები ცოცხალი ან მკვდარი.

ზაგობელი დაეთანხმა; ჩეცის პატიმარი გამოუშვეს სამით, პატიმრებმა გაძარცვეს და მოკლეს გამვლელები, მოიტანეს 500 მანერი და გაინაწილეს ამილახვართან და ზაგობელთან ერთად. ჯარისკაცებმა განაცხადეს, რომ მათ ვერ მოახერხეს შენახული ფულის მოტანა. ზაგობელმა შემდეგშიდაც გაუშვა ის პატიმრები და სხვათაშორის იმდღესაც, როდესაც ყარაულის უფროსობა ჩაიბარა სტასიულერიჩა“. ამილახვარის ინიციატივით ეს პატიმრები ხშირად ძარცვავდენ და იკლებდენ ტფილისის მცხოვრებლებს. ბოროტომექმედება გახსნილი იქნა, რამაც ყარაულის უფროსის სტასიულევიჩის დაპატიმრებაც გამოიწვია. სტასიულევიჩი არწმუნებდა ყველას, რომ ის უდანაშაულო იყო ამ საქმეში. ლევ ტოლსტოი თავის დღიურში შენიშნავს: „დამნაშავეა თუ არა ის? ლმერთმა თუ იცის, მაგრამ, როდესაც მან თავის გაჭირვება მიამბო, მე ცრემლები ქლივს შევიკავე“¹. ამ იმბავს ლევ ტოლსტოიზე დიდი შთა-

¹ Л. Толстой, т. 46. გვ. 195.

ჩეჭდილება შოუსდენია, რადგან 4 ნოემბრის დღიურში
ცენტრალურ საკითხად მას „სტასიულევიჩის ისტორია“
აქვს აღნიშნული. სჩანს ლ. ტოლსტიო ძალზე დაინტერე-
სებულა ამ „ისტორიითა“ და ძისი ინიციატივებით. შთა-
ვრობის ოფიციალურ ცნობაში ამ ისტორიის შესახებ
ვკითხულობთ:

„1849 წელი აგვისტოს 13, ღამის პირველ საათზე
გაძარცულია ფოსტა, რომელიც მიდიოდა. ღართის-კარი-
ლან ქსნის საჯგურში (ვორის გზით) და წალებულია
18,209 მან. და 52 კაპ., გაძარცვის მთავარი ხელმძღვა-
ნელი და მომწყობი თავად ივანე ამილახვარი, თავადისა და
აზნაურის ყველა ლირსების უფლების და მთელი ქონების
ჩამორთმევის შემდეგ, გადასახლებულია ორენბურგის სა-
პატიმრო როტაში 10 წლით. ამ ვადის დამთავრების შემ-
დეგ კი ციმბირში სამუდამოდ საცხოვრებლად. მასთან
ერთად საპატიმრო როტაში გაიგზავნა ოქრო ერისთავი
აზნაურისა და თავადის. ყველა უფლებების ჩამორთმევის
შემდეგ, აზნაური ჩხეიძე—ერთეოთ შიდა გუბერნიაში
(ტულისა) პოლიციის მეთვალყურეობის ქვეშ. აზნაურები
კურცხელია, ქარუმიძე და კლიმიაშვილი საპატიმრო
როტაში 10 წლით და შემდეგ ციმბირში სამუდამო სა-
ცხოვრებლად. გლეხ გაბრიელ მორბედაძეს კი, რომელიც
ჩაბმული იყო ბოროტმოქმედებაში თავის მებატონის
ბრძანებით გულწრფელი მონანიებისა და ბოროტმოქმე-
დების გახსნის ხელისშეწყობისათვის თავად ვორონცოვის
შუამდგომლობით ყოვლად უმოწყალესი განკარგულებით
ეპატია დანაშაული და ოჯახით განთავისუფლდა ბატონ-
ყმურ დამოკიდებულებისაგან“¹. ეს ოფიციალური ცნობა
მრავალმხრივა საინტერესო. ინიციატორები იმ ძარცვა-
ავაზაკობის, რომელსაც ლევ ტოლსტიომ განსაკუთრებუ-

¹ Акты. т. X. გვ. 831.

ლი ყურადღება მიაქცია ქართველი თავად-ასწაურობაა, მებატონეთა ბრძანებით ამ საქმიანობაში გლეხვაცობაცაა ჩათრებული, მავრამ როგორც ამ ცნობიდანაც სჩანს გლეხი თავის მებატონებს საკმაო „ერთგულებას“ ვერ უშევს და თავის ანტაგონისტურ დამოკიდებულებას ამჟღავნებს მებამულისადმი. ამ ფოსტის გაძარცვის ინიციატორებიდან ზოგიერთი მნიშვნელოვანი ფიგურაც ერია. ერთი მათგანი, ოქრო ერისთავი, ჩვენს მწერლობაში საკმაოდ ცნობილი ფიგურაა.

ოქრო (იგივე ივანე ერისთავი) ცნობილ პოეტ დრამატურგის გ. ერისთავის ძმაა. 1837 წელს გიორგი ერისთავი გრ. ორბელიანს ოქროს^{*} შესახებ წერს: „ჩემი ძმა მოვიდა ჩემთან შობას, იმ ვისტილ მენა სვიე ლოვკისთეთი¹. წერილში გ. ერისთავი განსაკუთრებულ ხაზს უსვამს თავის ძმის „გაევროპიელებას“, ცეკვაში დახელოვნებას და არისტოკრატიულ სალონებში იშვიათი ყურადღების დამსახურებას. ამავე წელს გ. ერისთავმა ლექსიც კი უძღვნა ოქრო ერისთავს „ჩემს ძმას ივანეს“².

პოლონეთში გადასახლებული მწერალი თავის გულისნადებისა და სულიერი განცდების ახლო თანამოწიარედ ოქრო ერისთავს თვლის.

და ვიქმენ სოფელს დაობლებული...
მაგრამ დავცხრები ჰსჯობს დუმილება,
მებრალვის შენი მე გრძნობილება-

ოქრო ერისთავი ფართო ლიტერატურული საზოგადოების ყურადღებასაც იმსახურებდა — გადასახლებიდან ახლად დაბრუნებულ ოქროს, 50-იანი წლების ქართული

¹ გიორგი ერისთავის გამოუქვეყნებელი წერილიდან (პირველად იბეჭდება გ. ერისთავის აკადემიურ გამოცემაში).

² იხ. გ. ერისთავის თხულებანი. 1884 წ.

თეატრის შსახიობმა პოეტმა და დრამატურგმა გილოვანი დფანაძემ ლექსი უძღვნა — „ოქრო დავითის ძე ერისთავს“.

ბედმა გიმუხთლა თუმცა მუხთალმა,
უბედურების წამოპერა ქარმა,
გაგტყორცნა სადღაც უცხოსა მხარეს,
მიგცა რუსეთის ცივს ყინვა-ჰაერს,
თორმეტი წელი გტანვა გაკვენესა,
ყოვლი ბოროტი შემწე დათესა,
მას არ გაჯერა თუ ის არ გაკმარა,
რომ არი არედ სად არ გატარა,
სულ შემოგცარცვა რაც გყვანდა, კარგი
ველარა ნახე შენი გიორგი,
შენსა ლოდინში ამოხდა სული,
ველარ გისილა დაბრუნებული¹...

ლექსი დაწერილია 1865 წელს გ. ერისთავის გარდა-
ცვალების ერთი წლის შემდეგ. თვითონ ოქრო ერისთავიც
ეწეოდა ლიტერატურულ მუშაობას. გიორგისთან ერთად
მან თარგმნა ბესტუევ-მარლინსკის „მოლა-ნური“ და
„ამალი-ბეგი“ 1852 წელს უურნალ „ცისკრის“ ოქტომ-
რის ნომერში დაბეჭდილია მოთხოვნა უცნობი ავტო-
რისა — თარგმნილი „ფრანციულიდან“ ოქრო ერისთა-
ვის მოერ. ამდავვარად სტასილოვიჩის ისტორიის ორგანი-
ზატორები, რომელმაც ასე ააღელვა ლევ ტოლსტოი, სა-
კმაოდ გამოჩენილი პირები იკვნენ ქართულ თავად-აზნა-
ურულ წრეებში. ლევ ტოლსტოის გაყვრით მაინც უნდა
სცოდნოდა ეს ამბავი, როდესაც ქართული პრივილეგიური
წოდების შესახებ ასეთი უარყოფითი აზრი გამოუმუშავდა.

როგორც აღინიშნა, სერიოზული ლიტერატურული მუ-
შაობა ლ. ტოლსტოიმ კავკასიაში დაიწყო. მისი ყოფნის
დროსვე ქვეყნდება ლ. ტოლსტოის პირველი ნაწარმოები

¹ გ. დვანიძის გამოუქვეყნებელი ლექსი. (პირველად იბეჭდება გ. ერისთავის აკად. გამოცემაში).

„ბაგშობა“. ტფილისში ის სწორეთ ამ ნაწარმოებზე მუშაობდა. 1852 წელს 20 მარტის თარიღით ტოლსტოი თავის დღიურებში წერს:

„ტფილისში ერთი თვე გავატარე მერყეობაში, რა მეკეთებია.... ნოემბრის თვიდან მე ვმკურნალობდი, ვიჯერ მთელი ორი თვე შინ, ე. ი. ახალ წლამდის. ეს დრო თუმცა მოსაწყენი მაგრამ წყნარი და სასარგებლო იყო მთლიანად დავწერე პირველი ნაწილი“. ლ. ტოლსტოი ტფილისში დაწერილ თავებს უკითხავს თავის ძმის ნიკოლოზს, რომელსაც, როგორც ტოლსტოის დღიურიდან ჩანს, არ მოსწონებია ძმის ნაწარმოები და ურჩევია შესწორება. საბოლოოდ ეს ნაწარმოები ლ. ტოლსტოის 1852 წლ. იქნისში დაუმთავრებია¹ 3 ივლისს ლ. ტოლსტოიმ ხელნაწერი უურნალ „სოვერემიონიკის“ რედაქტორს 6. ჩეკასოვს გაუგზავნა მსჯავრის დასადებად. ფრთხილი მწერალი მხოლოდ ინიციალებს აწერს ნაწარმოებს და პასუხს თავის ძმის საშუალებით ლებულობს. ნიჭირმა პოეტმა და გამოცდილმა რედაქტორმა 6. ნეკრისოვმა მაშინვე იგრძნო დიდი ტალანტი და წამაქეზებელი წერილით აცნობა თანხმობა დაბეჭდის შესახებ, ვიღაც ლ. ტ—ს. სტაროგლაზოვსკის სტანიცაში. თუმცა ძალზე უხეიროდ, ცენზურისაგან დამახინჯებულად, მაგრამ მაინც დაჩქარებით დაიბეჭდა ლ. ტოლსტოის „ბაგშობა“, რასაც მკითხველი საზოგადოება აღტაცებით შესვდა. წარმატებით წაქეზებული მწერალი იწყებს მოთხრობების წერას კავკასიაში

¹ ლევ ტოლსტოი დიდხანს ყოყმანობდა სალიტერატურო დებიუტზე. 1852 წლის 7 აპრილის დღიურში წერს: „გავგზავნი თუ არა ამ ნაწარმოებს? მე არ გადამიშევეტია, ნიკოლინკას. (ძმის) აზრი გადაწყვეტს ამ საკითხს. ეს საქმე ძლიერ შაღელვებს... ძალიან მიწლოდა ქამეწყო პატარა კავკასიური ამბავი, მაგრამ ნებას არ მივცემ თავს ეს ჩაგიდინო დაწყებული შრომის დაუმთავრებლად“. (Дневник ტ. 46, გვ. 107).

წარმოებული ომების შესახებ და თანდათანობით დიდი მწერლის სახელს იხვევს. იმ დროინდელ პრესაში კრიტიკოსები აღნიშნავდნენ, რომ ლ. ტოლსტიო ომის სურათების უბადლო გამომხატველია და მას რუსეთის გამოჩენილი კლასიკოსების გვერდით აყენებდნენ, მაგრამ ლ. ტოლსტიო სოციალური ყოფის უფრო ღრმად შესწავლას ცდილობდა. სამხედრო თემატიკა მისთვის იმ თავითვე იდეალური არ იყო. დღიურში შეტანილი ერთი ცნობა გვაფიქრებინებს რომ ლ. ტოლსტიოს კავკასიის ცხოვრებიდან იმდენად სამხედრო ამბები არ „ხიბლავდა“ „არაფერი არ დამიწერია, მე ვფიქრობ, რომ აქ კავკასიაში არ შეიძლება აღწერო გლეხთა ყოფა. ეს მაღელვებს მე“.

უთუოდ ნაყოფიერი იყო ლ. ტოლსტოისათვის კავკასიაში ყოფნა. აქ დაიწყო მან სერიოზული ლიტერატურული მუშაობა, აქვე აგროვებს დიდი მწერალი მრავალ მასალას უკვდავი მხატვრული თხზულებისათვის. „ომისა და ზავის“ რამოდენიმე დეტალიც კავკასიაშია მოხაზული¹.

კავკასიამ ტოლსტოიზე, როგორც მწერალი შემდეგში თვითონვე აღიარებდა, წარუშლელი კვალი დასტოეა. ამიატომ ბუნებრივია, რომ ის ასე ქმაყოფილებით იგონებდა თავისი ცხოვრების კავკასიურ პერიოდს.

სხვადასხვა გარემოებამ და ამბავმა ლ. ტოლსტიო შემდეგშიაც მრავალჯერ დაუკავშირა კავკასიასა და კურძოდ საქართველოს,

II

გასულ საუკუნის 70-წლებიდან ლ. ტოლსტიო უდიდეს და საყურადღებო ფიგურად იქცა არა მარტო რუსულ, არამედ შეოფლიო ლიტერატურაში. მონუმენტალური მხატვრული თხზულებებით ლ. ტოლსტიო არამც თუ დადგა

¹ ლ. ტოლსტი, რ. 46. გვ. 185, 209,

ცნობილ მუერალთა რიგში, არამედ მრავალ შემთხვევაში დაჩრდილა ისინი. დიდი მხატვარი და ღრმა მოაზროვნე თან.. დათანობით ტიტანურ ფიგურად გადაიქცა და უალრე-სად პოპულარული გახდა მთელს მსოფლიოში. ლენინი თავის წერილებში ლ. ტოლსტოის შესახებ, გენიალურ ანა-ლიზს იძლევა იმ პირობების ასახსნელად, რომელთაც ხელი-შეუწყვეს უდიდესი მხატვრის ჩამოყალიბებას. ერთის მხრივ სიძულვილი არსებული წყობილებისადმი და თვითმყრობე-ლობის მკაცრი კრიტიკა, მეორე მხრივ პოლიტიკური მოუმშადებლობა, სისუსტე და ბოროტების წინააღმდეგობის გაუწევლობის ქადაგება — რომელიც ლ. ტოლსტოიმ პა-ტრიარქალური გლეხობიდან შეითვისა, — განსაკუთრებით 80-წლებიდან ლ. ტოლსტოის შეხელულებისათვის დამა-ხასიათებელი ხდება.

ლ. ტოლსტოი ამ პერიოდში ცხოვრების მასშავლებლად გვევლინება. მას განსაკუთრებით აწესებს და აღელვებს ფილოსოფიურ-რელიგიური საკითხები, ადამიანის რაობისა და დანიშნულების, სიკედილისა და სიცოცხლის და სხ. შესახებ. საერთო დაქსაქსულობის და უიმედობის დროს პატრიარქალურ გლეხობასა და წვრილ ბურჯუაზიულ ინ-ტელიგენციაში ლ. ტოლსტოის მოძღვრებას საქმაო მიმდევ-რები უჩნდება. ლ. ტოლსტოი ცხოვრების უდიდესი მო-ძღვრის შარავანდებით იმოსება და რჩევა-ზარიგების მო-ციქულად ხდება.

ლ. ტოლსტოის გამოჩენილ ბიოგრაფის ბირიუკოვის ჩვენებით, ჯერ კიდევ 70-წლებიდან ლ. ტოლსტოი მრა-ვალ წერილებს ღებულობდა, რომელშიაც სხვადასხვა პირი ლ. ტოლსტოის სთხოვდა რჩევა დარიგებას ამა თუ იმ საკითხის შესახებ. ეს წერილები განსაკუთრებით 80-წლე-ბიდან გახშირდა. ერთ ერთი ასეთი შეკითხვა 1887 წელს ტფილისიდანაც გაუგზავნიათ უცნობ ქალიშვილებს. ტფი-ლისელ ქალიშვილებს შეკითხვაზე ლ. ტოლსტოიმ წერი-

ლით უპასუხა, რომელიც 1887 წ. 12 მარტს დაიბეჭდა ტფილისში გაზეთ „ჩივიე ინიციატივის“-ში. რედაქტირამ ლ. ტოლსტოის ეს წერილი გაზეთის პარველ გვერდზე მოათვასა და ასეთი შენიშვნა წარუმდგარა: „რამდენიმე ახალგაზრდა ქალის აქეტან გაგზავნილ შეკითხვაზე გრაფ ლევ ნიკოლოზის-ძე ტოლსტოისთან — რა საქმე შეეძლო ერჩია მას იმათვის, ცნობილმა მწერალმა უპასუხა შემდეგი წერილით“.

წერილის შესავალში ლ. ტოლსტოი ზოგად დარჩებებს აძლევს ტფილისელ ქალიშვილებს. „თქვენ თხოულობთ საქმეს: გარდა საერთო ჩვენი საქმისა — ვიზრუნოთ იმ შრომის შესამცირებლად, რომელიც იხარჯება სხვების მიერ ჩვენ საცხოვრებლად, შევკვეცოთ ჩვენი მოთხოვნილებანი და გავაკეთოთ ჩვენივე ხელებით ის, რის გაკეთებაც შეიძლება ჩვენთვისა და სხვისთვის — მცოდნე ხალხს. აქვს კიდევ სხვა საქმე. გავუზიაროთ ეს ცოდნა სხვებს. დაუუბრუნოთ ის უკანვე იმ ხალხს, რომელმაც ჩვენ აღგვზარდა“. ამ შესავალში შეაფიც ისმის ლ. ტოლსტოის უტოპიურ-ქრისტიანული მოძღვრება. შეამცირე შენი მოთხოვნილებანი და იშრომე და ქრისტეს მოძღვრების საფუძველზე ემსახურე ხალხს. შემდეგ ტოლსტოი კონკრეტულად მიუთითებს ტფილისელ ქალიშვილებს საქმეზე. მოსკოვში არსებობს სახალხო წიგნების გამომცემლობა, სწერს ლ. ტოლსტოი, რომელიც ცემს ანბანს, არითმეტიკის, ისტორიის წიგნებს, და აგრეთვე კალენდრებს, სურათებს და მოთხოვნებს. ლ. ტოლსტოი ურჩევს შემკითხველებს: აიღეთ ერთ ერთი ასეთი გამოცემა გადაიკითხეთ — შეასწორეთ ან სავსებით გადააკეთეთ ის. შემდეგ ლ. ტოლსტოი უფრო კონკრეტულ მითითებებს იძლევა. რას უნდა ეხებოდეს შესწორება და გადაკეთება და ბოლოს დასძენს: „ამგვარად, თუ ეს მუშაობა თქვენ მოგწონთ, აირჩიეთ ის დარგი, რომელიც თქვენი ფიქრით უკეთ შეგიძლიათ

იმუშაოთ, და შომწერეთ შე. მე თქვენ გამოვიყავნით რამდენიმე წიგნს. ძალიან მინდოდა, რომ თქვენ დათანხმებულიყავით ჩემ წინადაღებაზე. სამუშაო, უთუოდ სასარეცხვოა. სარგებლიანობის ხარისხი დამოკიდებული იქნება იმ სიყვარულზე, რომლითაც თქვენ ამ საქმეს მოეპყრობით“.

თქვენი ლიც ტოლსტოი.

ამ წერილის კვალი შემდეგ იყარება. არა დარჩენილი ცნობა, დაეთანხმენ თუ არა ლ. ტოლსტოის ტფილისელი ქალიშვილები ამ წინადაღებაზე ან როგორი კავშირი დამყარდა დიდ მწერალსა და ტფილისელ შემქითხველებს შორის. წერილი საყურადღებოა იმ მხრივ, რომ რჩევა-დარიგებისთვის ტფილისიდან ახალგაზრდობის ერთმა ნაშილმა ლ. ტოლსტოის მიმართა და დიდმა მწერალმაც ასე თუ ისე კონკრეტული დარიგება მისცა შემქითხველებს. საყურადღებოა, რომ ამ წერილში ლ. ტოლსტოი არ შლის მისთვის დამახასიათებელ აბსტრაქტულ გეგმებს ღვდის მაძიებლობისა და ცხოვრების აზრის ძიების შესახებ. მწერალი მცირე საქმეების რჩევით იზლუდება და არც საზოგადოებრივი საქმიანობის გევჭებს უსახავს შათ.

მე 90 წლებიდან ლ. ტოლსტოი უფრო უახლოვდება ამიერკავკასიასა და კერძოდ საქართველოს.

ჯერ კიდევ გასული საუკუნის 40-წლებში ა/კავკასიაში რუსეთიდან გადმოსახლებული იყვნენ თავისებური რელიგიური სექტის ერთი ჯგუფი—დუხობორები. დუხობორთა სექტანტური მოძრაობა არსებითად უმწერა და სტიქიური პროცესტი იყო მეფის მთავრობის ძალზატანების წინააღმდეგ სოფლის მოსახლეობის მეძლებულ ნაშილზე. მე-90 წლებში კავკასიის დუხობორები უახლოვდებიან, კავკასიაში გაღმოსახლებულ ტოლსტოველებს. მეორე მხრივ ლ. ტოლსტოის ხელმძღვანელობით მოწყობილი გამომცურავის სახლში გადმოსახლებულ ტოლსტოველებს. მეორე მხრივ

შლობის „Посредник“-ის წიგნაკებმა სათანადო გამოხმა-
 ურება. პპოვეს დუხობორებში. ასე, რომ მე 90-წლების
 დასაწყისიდან კავკასიის დუხობორებში საგრძნობი სტი-
 ქიური მოძრაობა დაიწყო მთავრობის ზოგიერთი კანონის
 წინააღმდეგ. კავკასიის დუხობორები უარს აცხადებდენ
 სამხედრო სამსახურზე. არ ემორჩილებოდენ ადგილობრივ
 ადმინისტრაციის განკარგულებებს და სხვ. 1895 წლის
 ზაფხულში დაიწყო მასიური რელიგიური მოძრაობა კავ-
 კასიის დუხობორობა შორის. მათი ხელმძღვანელის პეტრე
 ვერიგინის ჩატვით, დუხობორებმა ვადაწყვიტეს იარაღის
 განადგურება და 1895 წლ. 28-29 ივნისს რელიგიური
 რიტვალით საზემოდ კიდეც მოახერხეს სამ ადგილას
 იარაღის დაწვა, ¹ მთავრობამ სასტიკი ზომები მიიღო
 მეამბოხე სექტანტების წინააღმდევ. ურჩი დუხობორები
 4000 კაცამდის გამორეკეს თავისი ბინებიდან და გადასახლეს
 საქართველოს მთან ადგილებში. დუხობორობა ხელმძღვა-
 ნელები კი დააპატიმრეს. დუხობორობა ამ მოძრაობამ
 უდიდესი გავლენა მოახდინა ლ. ტოლსტოიზე. ლ. ტოლ-
 სტოი უთუოდ კარგად ამჩნევდა, რომ დუხობორების მო-
 ძრაობაზე მის მოძღვრებას მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდა.
 ლ. ტოლსტოის მოძღვრება კი — არა წინააღმდევ
 ტებას, — აშკარა შეუსაბამო იყო ამ სისხლის ღვრისაფვის,
 ლ. ტოლსტოი ცდილობს როგორმე შეუმსუბუქოს მწარე
 ხვედრი თავის თანამოაზრებს. იწყებს წერილების წერას
 გავლენიან პირებთან, აგროვებს ფულებს დუხობორების
 სასარგებლოდ და სხვ. სწორედ ამ პერიოდში ეცნობა ის
 უფრო ახლოს, ა/კავკასიას, კერძოდ საქართველოს და მჩა-
 ვალ ქართველს. ამ დროს ტოლსტოველები, რომლის გა-
 ვლენითა და დახმარებით მოქმედებდენ დუხობორები სა-
 ქართველოში ბლობად იყვნენ. მაგალითად კავკასიაში ამ

¹ იხ. II. შ. Бирюков — Л. Н. Толстой — Биография т. III. (ბერ-
ლინის გამოცემა 1921 წ. გვ. 428.).

დროს გადმოსახლებული იყო ცნობილი ტოლსტოველი —
 თავადი დიმიტრი ხილკოვი, რომელიც სისტემატურად
 აწევდიდა ლ. ტოლსტოს ცნობებს დუხობორთა შევიწრო-
 ების და დარბევის შესახებ.¹ თავისუფალ რელიგიურ იდეა-
 ბისათვის აქვე იყო გადმოსახლებული ტოლსტოველი,
 ალექსანდრე მიხეილის-ძე ბოლიანსკი, რომელმაც 1890
 წ. უარი განაცხადა მიწის კერძო საჯუორებაზე. ალექსა-
 ნდრე ბოლიანსკი ერთხანს ცხოვრობდა ქუთაისშიაც.² სა-
 ქართველოშივე გადმოსახლებული იყო 1890 წლის დასას-
 ჩულს ფიოდორ უშაკოვი, რომელსაც ლ. ტოლსტოის
 თანამოსახრების გამო აკრძალა სატანტო ქალაქებში
 ცხოვრება. უშაკოვი გადმოსახლდა კავკასიაში და სამუდა-
 მოდ დამკვიდრდა ბათომში. 1895 წელს კავკასიაში ჩამოვი-
 დენ ცნობილი ტოლსტოველები პ. ბირიუკოვი და ინგლი-
 სელი — არტურ სინჯონი. ტოლსტოველებს საქმაო თანა-
 მოაზრები ყავდათ წერილ-ბურჟუაზიულ ინტელიგენტურ
 წრებში. მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია ილია
 პეტრეს-ძე ნაკაშიძე. ილია ნაკაშიძე ლევ ტოლსტოის ეცნო-
 ბა სწორედ დუხობორების მოძრაობასთან დაკავშირებით.
 თავის მოვონებაში „როგორ გავიცანი ლევ ტოლსტოი“
 (სახელგამი — 1928 წ.). ილია ნაკაშიძე აღნიშნავს როგორ
 აინტერესებდა ლ. ტოლსტოის დუხობორების ბედი და
 ვინ აწვდიდა მათ შესახებ ცნობებს დიდ მშერალს. „დუ-
 ხობორების შესახებ სწერდენ ლეონ ნიკოლოზის-ძეს აგრე-
 თვე ადგილობრივი მცხოვრებლები, რომლებიც მონაში-
 ლეობას იღებდენ დუხობორების საქმეში და იმათ მოძრა-
 ობას თანაუგრძნობდენ. უკანასკნელთა რიცხვს ვეკუთვნოდი
 შეც — წერს ილია ნაკაშიძე, ამ სტრიქონების დამწერი.

¹ იბილეთ — II. ნიკოლოზის დასახელებული წიგნი გვ. 429—431.
 დ. ხილკოვი ახალგაზრდობაში ქუთაისში მსახურობდა ოფიცრად.
 (იხ. არ. ჯორჯაძე — წიგ. III გვ. 104).

² Л. Толстой — Поп. соб. соч. (юр. изд.) т. 72. გვ. 52.



ლ. ტოლსტიო, ვ. ჩერტკოვი და პ. ბირიუკოვი 1897 წ.

მე ვცხოვრობდი ტფილისში და სშირად ვხვდებოდი დუხობორებს: ისინი დრო გამოშვებით ჩამოიდიოდენ ქალაქში თავის საქმეების გამო, ხშირად მეწვეოდენ ხოლმე და მიზიარებდენ თავიანთ შორის რელიგიურ მოძრაობის ამბებს“. (გვ. 6). 1896 წელს, ილია ნაკაშიძემ პირველად ინახულა ლ. ტოლსტოი და უამბო კავკასიის დუხობორების უმშეო მდგომარეობის ამბები.

ლ. ტოლსტოიმ ილია ნაკაშიძეს გამოატანა ცნობილი წერილი „К Кавказским духоборам“, საღაც ლ. ტოლსტოი წერდა: „Ткъвѣніо ѣмъ о. პ. б. (ილია პეტრეს-ძე ნაკაშიძე—ვ. ა.) გავლით შემოვიდა ჩემთან, და მე მომესურვა მომეწერა თქვენთვის ის, რაც მე კი არა მარტო, არამედ მრავალმა სხვამ ჩვენში და საზღვარგარეთ იცის და ფიქრობს. გადმომცა მე ილია პეტრესძემ თუ როგორ მოექცა თქვენი ახალგაზრდობა თავის არხანაგებს, რომლებმაც ციხე ვერ აიტანეს და სამხედრო სამსახურზე თანხმობა გამოაცხადეს. თუ თქვენ, თქვენი რწმენისათვის ტანჯულნი და დევნილნი, პატიებას სთხოვთ იმ ძმებს, რომლებიც თქვენმა შაგალითმა გაიტაცა, რა უდიდესი პატიება უნდა კითხოვო მე, ლევ ტოლსტოიმ, ყოველგვარი დევნისაგან თავისუფალმა, იმ ადამიანუბისაგან, რომლებსაც ჩემი ნაწერები უპოვნეს და ამის გამო სდევნიან და სჩაგრავენ“.¹ ამ წერილში, რომელიც ილია ნაკაშიძის ცნობების საფუძველზე მოწერა ლ. ტოლსტოიმ კავკასიის დუხობორებს, მოჩანს ლ. ტოლსტოის მოძღვრების მაელი სიუძლურე და უმშეობა. „ამის შემდეგ ლ. ნ. დაწვრილებით და დიდის ყურადღებით გამომკითხა ჩემი საკუთარი ამჰავი,—წერს ილია ნაკაშიძე, როგორ

¹ Полное соб. соч. Льва Толстого т. XXII. гг. 185. (ბირიუჟ. გამ.) აგრეთვე ნ. ნაკაშიძის მოგონების 8 გვ.

უკროვრობ, რა საქმეს გადგივარ და სხვა". ტფილისში დაბრუნების შემდეგ ილია ნაკაშიძე აქტიურად ეწეოდა ტოლსტოის იდეების პროპაგანდას, რის გამო ის კავკასიიდან გააძვევს 5 წლით. მოსკოვში ილია ნაკაშიძე კიდევ უფრო დაუახლოვდა ლ. ტოლსტოის¹. დუხობორების კანადაში გამგზავრებასთან დაკავშირებით ლ. 5. სწერდა ი. ნაკაშიძეს: „მივიღე წერილი კანადიდან. მე არავინ არ მყავს კავკასიაში. არ შეგიძლიათ გაიგოთ, სადაა ეს ლარიონ მახრ-რტოვი – სურს თუ არა მას წასელა. თუ სურს, მე ვფიქრობ, რომ მისთვის ჩეცულებრივად უნდა ავიღოთ საზღვარგარეთის: პასპორტი და მოუქებნოთ ადგილი გემზე". ასეთ დავალებებს, როგორც ტოლსტოის მახლობელი კაცი, ხშირად ღებულობდა ი. ნაკაშიძე. მეტად საყურადღებოა ი. ნაკაშიძის მოგონება ლ. ტოლსტოის შეხედულებათა შესახებ საქართველოზე.

„ყოველთვის გულშრფელი, ცხოველი სიყვარულით მოიგონებდა ხოლმე ლეონ ნიკოლოზის-ძე: კავკასიას და ოავის საკუთარ ცხოვრებას მთებში". „იგი გამოუტყდა მეგობრებს, რომ ზოგჯერ მას ძალიან იტაცებს იქით წასელის სურვილი". სიცოცხლე ისე მოკლეა, — მითხრა ლეონ ნიკოლოზის-ძემ, რომ საეჭვოა, როდისმე კიდევ მოძრხდეს ყოფნა თქვენს მშვენიერს სამშობლოში. მაგრამ რო-

¹ ლ. ტოლსტოის ახრებს იმ ხანებში იზიარებდა ილია ნაკაშიძის მეულლე — ნინო ნაკაშიძეც (ცნობილი საბავშვო მწერალი და რედაქტორი) ქმართან ერთად ის რამდენიმეჯერ შეხვედრია ლ. ტოლსტოის. ი. ნაკაშიძისადმი მიწერილ წერილებში ლ. ტოლსტოი ყოველთვის განსაკუთრებული პატივისცემით იხსენიებს ნ. ნაკაშიძეს.

ლ. ტოლსტოის მეულლეც სოფო ანდრეის ასული, თავის დღიურებში რამდენიმეჯერ აღნიშნავს ნაკაშიძეების სტუმრობას, მაგრამ საქრთოდ როგორც ტოლსტოველებს, „მოსაწყენ“ ხალხად ახასიათებს მათ. (იხ. Дневники С. А. Толстой. 1897—1909. გვ. 36, 44, 66, 78).

ცა მეორედ დავისადები,—დაუშატა ლეონ ნიკოლოზის-ქეშ და იუმორმა, ლიმმორეულმა აზრმა გააშუქა თვისი მხიარული სხივით სიცოცხლით სავსე სახე ძვირფასი მოხუცისა,—მე უფუოდ გამოვისეირნებ თქვენსკენ კავკასიაში ველოსიპედით”¹.

ი. ნაკაშიძის გადმოცემით ლ. ტოლსტოი საქმაო ბევრ ქართველ სტუდენტებს იცნობდა: „ოთხმოციან წლებში ლეონ ნიკოლოზის-ძე გაეცნო ქართველ მოსწავლე ახალგაზრდობას, მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდენტებს—ალექსანდრე დიასამიძეს, ფახტანგ ლაშპაშიძეს და სხვა ჩვენებურ სტუდენტებს, რომელიც ეწვეოდენ ხოლმე მას სხვადასხვა ღრმოს მოსკოვსა და იასნაია პოლიანაში. იგი ხვდებოდა ქართველ სტუდენტებს ერთი მისი ახლობელი მეგობრის ა. ნ. დუნაევის ოჯახში. ამ ნაცნობობამ და იმ ცნობებმა, რომელიც მან გაიგო ქართველი ცხოვრების, მდგომარეობის, ჩვეულებებისა და ხასიათის შესახებ, განსაკუთრებით 1905 წლამდე და შემდეგაც, აიძულეს იგი შეეცვალა თავის აზრი ჩვენზე“.

„იმ აუარებელ წერილს შორის, რომელიც ყოველ მხრიდან მოდიოდა ლეონ ნიკოლოზის-ძეს (საშუალოდ დღეში ოცდათი ბარათი) იყო ბარათები ქართველებისა და სომხებისაგანაც. ამ წერილებში გამოთქმული იყო ლრმა სიყვარული და პატივისცემა დიდი მწერლის აღმი, და განსაკუთრებით, რაც ყველაზე უფრო ახარებდა ლეონ ნიკოლოზის-ძეს, ლრმა შეგნება და თანაგრძნობა იშისა, რაც ლრმად აღძრავდა, აღელვებდა და იზიდავდა მას მის სიცოცხლის უკანასკნელ ღრმოს“.

უნდა შევნიშნოთ, რომ ლ. ტოლსტოის ქართველი ხალხის შესახებ არასოდეს ცუდი აზრი არ გამოუთქვამს და თუ თვისი მოთხრობებში ანგარებით და ჩინმენდლე-

¹ ილია ნაკაშიძის მოგონებანი, გვ. 23.

ბით გატაცებული მლიქვნელი ქართველი თავადები გაკაწრია, ისინი საშართლიანად იმსახურებდენ ამ მათრასს და ქართველები საერთოდ აქ არაფერ შუაშია. ერთი კი უთუმოდ ცხადია, რომ ლ. ტოლსტოი მე-90-წლებიდან უფრო ახლოს იცნობდა ქართველებსა და საქართველოს. ილია ნაკაშიძის გარდა ლ. ტოლსტოის სხვა თვალსაჩინო მიმდევრებიც ყავდა საქართველოში. ერთი ასეთთაგანი იყო თავადი გიორგი ალექსანდრეს-ძე დადიანი. გიორგი დადიანი სამეგრელოს მფლობელი თავად დადიანის შეილისშვილი იყო. ის მონაშილეობას ღებულობდა რუსეთ-თურქეთის ომში და პოლკოვნიკის ჩინამდე მიაღწია. კავკასიაში გადასახლებული ტოლსტოველის დ. ხილკოვის გვლენით შეითვისა ლ. ტოლსტოის იდეები, თავი დააწება სამხედრო სამსახურს და სხვა თანამოაზრებთან ერთად ოჯახით დასახლდა ნალჩიკის მახლობლად მდ. ლესკენას ნაპირას. ცოლი იშიდარებდა ქმრის მსოფლმხედველობას. ცოლ-ქმარს საკმაო ბევრი გაჭირვება გადაუტანიათ ამ ნიადაგზე. გ. დადიანის სიღვედრს ხელისუფლების დახმარებით მოუნდომებია ბავშვები წაერთმია „ურწმუნო“ მშობლებისათვის. ამ მდგომარეობიდან თავის დასახწევად დადიანი ცოლშვილით გაპარულა ოჯახიდან და სკენებულ აღვილას დასახლებულა.

მის თანამოაზრე და მეზობელ ვ. სკორობოდოვთან ერთად გ. დადიანი ხილის გასასყიდლად გაემგზავრა საღ. პროხლადნაიასკენ, გზაში მოულოდნელად ავად გახდა და გადაიცვალა, ვ. სკოროხოდოვმა მისი ცხედარი ხუტორში მოასვენა. გ. დადიანი დაასაფლავეს თავის ბაღში. ქრმის დაკარგვას ძალზე შეუწუხებ: ა გიორგი დადიანის ცოლი ნადევდა, და გაუმწვავებია მისი გამოკიდებულება მეზობლებთან¹. ლ. ტოლსტოი შორიდან იცნობდა გ. დადი-

¹ Л. Толстой-юб. изд. т. 72 502—503 და В. Р. „Князь Георгий А.Л. Дадиани“, поср. 1905. А. Михайлов—В Толстовской колонии В. Евр. 1908 г. № 10.

ანს, როგორც მის ერთგულ მიმდევარს. 1900 წ. 8 აპ-
რილს მოსკოვიდან ვ. სკოროხოდოვისადმი წერილში ლ.
ნ. განსაკუთრებულ სალამს უძღვნის გ. დადიანს. ხოლო
ამავე წლის 7 ნოემბერს ლ. ტოლსტოი ს. კორობიოვს
სწერს: „როგორ შებრალება დადიანი. ვფიქრობ მისი სი-
კვდილი ძალზე ცუდად იმოქმედებს ლეშკენის მცხოვრე-
ბზე“¹. თუ ამდენად ლრმა შთაბეჭდილება დასტოვა ლ.
ტოლსტოიზე ვ. დადიანის სიკვდილმა ამას ადასტურებს
1900 წ. 7 ნოემბრის თარიღით გაგზავნილი წერილი
დადიანის ქვრივისადმი.

„დეირფასო დაო, სწერდა ტოლსტოი, მე არასოდეს
არ მინახეხარ არც თქვენ არც თქვენი განსვენებული ქმა-
რი, მაგრამ მას შემდეგ რაც მე თქვენი ამბავი შევიტყვე,
განუწყვეტლივ მიყვარდით თქვენ და თქვენი ლამაზი ცხო-
ვრება... „ისეთი ძლიერი და საჭირო კაცის დაკარგვა,
როგორც თქვენი ქმარი იყო, სამწუხაროა ჩემთვის, თქვენ-
თვის კი ეს იქნება უაღრესად სამძიმო“. შემდეგ ლ. ტო-
ლსტოი ანუგეშებს აღრესატს ლვთის ნებით და მისტიკუ-
რი დაპირებებით.

„ის რაც მე გამიგონია და შემიტყვია თქვენი ქმრის
შესახებ უფრო და უფრო მანალვლებს მით, რომ მე არ
ვიცნობდი მას, და არ შემძელო მასთან კავშირით შემე-
თვისებია ის სიმტკიცე და სიკეთე, რომლებიც, როგორც

¹ იო. ავ. რ. 72. გვ. 560.

როგორც ირკვევა გიორგი დადიანი გატაცებული ტოლსტოველი
იყო. მისი ხელმძღვანელობით დაარსდა ყაბარდოში ტოლსტოველთა
პირველი კოლონია. ის ამ კალონის სულის ჩამდგმელად ითვლე-
ბოდა. საყურადღებოა; რომ გ. დადიანი უკანასკნელ ხანებში თვი-
თონწევ გრძნობდა ტოლსტოის მოძღვრების პრინციპზე მოწყობილი
კოლონის უსუსურობას. ამ კოლონიამ ჯერ კიდვე გ. დადიანის სი-
ცოცხლეშივე დაიწყო რღვევა და მისი სიკვდილის მემდეგ ჩქარა და-
იშალა (იხ. ғილსტოვი—ნარაი 1912 წ. გვ. 11—22).

მე გადმომცეს, მისი ხასიათის თვისებას შეაღვენდა. თუ თქვენ მომჟერთ მისსა და თქვენს შესახებ, და თქვენ შემდეგ განზრახვებზე, დიდად დამავალებთ“. სწერდა დასასრულ ტოლსტოი.

რელიგიურ-სექტანტურ მოძრაობასთან დაკავშირებით შემთხვევითმა და უსიამოვნო ამბებმაც დააკავშირა ლ. ტოლსტოი ქართველებთან. დუხობორების ერთ წყებას ბათომიდან ამერიკისაკენ 1898 წ. აცილებდა ლ. ტოლსტოის უფროისი ვაჟი ანდრეი ტოლსტოი. ტფილისში ყოფნის დროს 1898 წ. ანდრეი გაეცნო ელენე კონსტანტინე გურიელის ასულს, ილია ნაკაშიძის ბიძაშვილს და ხელი მისცა შეულლებისათვის. რუსეთში დაბრუნების შემდეგ ანდრეიმ თავის განზრახვა შესცვალა¹ და 1899 წ. 8 იანვარს დიტერიბისის ქალი შეირთო. განშორებამ მომაკვდინებლად იმოქმედა გურიელზე და ოვოლვერით თავის მოკვლა განიზრახა. ჭრილობა სასიკვდილო არ იყო, მაგრამ გურიელი ველარ გამობრუნდა და ერთი წლის შემდეგ გარდაიცვალა. გურიელის ბავშობის მეგობარმა, ინუნერ ნიკოლოზ ჩოლოვაშვილმა, ამ ამბის შესახებ ლევ. ტოლსტოის მწვავე წერილი გაუგზავნა.²

ლ. ტოლსტოიმ წერილითვე უპასუხა ნიკოლოზ ჩოლოვაშვილს.

„ამ ამბავმა, რომელიც თქვენი წერილით მაცნებეთ, ჩემში აღძრა წამების შეგნების გრძობა, რამაც გამოუსწორებელი ბოროტება გამოიწვია, და რომელშიაც დამნაშავე ჩემთვის მახლობელი ადამიანია.“

¹ სოფიო ანდრეის ასული ტოლსტოი (ლ. ტოლსტოის მეუღლე) შეილის ამ გადაწყვეტილების შესახებ 1898 წ 19 აგვისტოს, თავის დლიურში წერს: „Андрюша писал отца видуманной кавказской невесте и очень этим озабочен“ (об. Дневники вл. 74).

² Л. Толстой—письмо № 189, т. 72.

.... „ჩემი შვილის საქციელი, რომელიც გატაცებული იყო და შემდეგ შეიცვალა, თუმც ბოროტი არაა, მაგრამ მიუტოვებლად უაზრო და ურიგოა, მით, რომ სხვას დაპ-პირდა და ვერ შეასრულა; ამიტომ მას ვერაფერი ვერ გა-ამართლებს, განსაკუთრებით იმ საშინელი შედეგების გა-მო, რომელიც ამ საქციელს მოყვა. მე უჩვენებ მას ოქვენ წერილს და დარწმუნებული ვარ, თუ როგორ სასტიქად დაიტანჯება ის. ვიცი აგრეთვე, რომ ეს ტანჯვა ვერ გა-მოასწორებს და გამოიყიდის ჩადენილ ბოროტებას“. ლ. ტოლსტოი თხოულობს ქრისტიანულად აპატიონ მის შვილს ეს დანაშაული და თანაგრძნობას უცხადებს გურიე-ლის ოჯახს.

როგორც იღია ნაკაშიძე თავის მოგონებაში აღნიშ-ნავს, უკანასკნელ ხანებში ლ. ტოლსტოი წევრ წერილებსა და შეკითხვებს ღებულობდა. კავკასიიდან და კერძოთ საქართველოდან. ეს კავშირი უკანასკნელ წუთამდის არ გაწყვეტილა. 1910 წ. 1 მარტს დღიურში ლ. ტოლსტოი წერს: „საინტერესო წერილებია. უპასუხე კეთილსინდი-სიერად“. ამ ერთერთი საინტერესო წერილის ავტორი, როგორც ირკვევა, იყო სექტანტი ს. კომლაძე¹ 24 მა-რტის დღიურში ლ. ტოლსტოი წერს: „საინტერესო წე-რილებია უპასუხე“ — ამ საყურადღებო წერილების ავ-ტორებია — ტელეგრაფისტი ნიკოლოზ მელიქიშვილი და ვინმე შანშიაშვილი თულილისიდან. ლ. ტოლსტოის თანა-მოაზრე ქართველი მალაქია გიორგის-ძე ბოლქვაძე 1910 — 1911 წ. ერთვიურ უურნალსაც კი სცემდა პეტერ-ბურგში „В засщите человека“-ს სახელწოდებით. რედა-ქტორი ბოლქვაძე ხშირად მიმართავდა ლ. ტოლს-ტოის თანამშრომლობისათვის. უურნალის 1 ნომერი ლ. ტოლსტოის 1910 წლის 20 ივლისს მიუღია, ამავე დღეს

¹ Л. Толстой юб. изд. т. 58 გვ. 247.

გაუგზავნია თავის შენიშვნები რელაქტორ-გამომცმლისათვის, თანაც დასახელდიდ მიუწყოდებია თავის „ცხოვრების გზების“ წინასიტყვაობა. თავის უბის წიგნაკში № 5 ლ. ტოლსტოი იწერს დახსოვნებისათვის „მოველაპარაკო ჩერტკოვს, იმის შესახებ რა მივცი „В. защищуту человека“-ს რელაქტის“ (ტომ. 5გ. გვ. 120 და 615).

ლევ. ტოლსტოის უტოპიურ ქრისტიანული მოძღვრების დიდი გავლენა განიცადა არჩილ ჯორჯაძე დაუახლოვდა ტოლსტოის მიმდევართა ახალშენელებს და მათ შესახებ კიდეც დაბეჭდა წერილი (Совер. вестник"-ში 1898 წ.) „ამ ახალშენს იმ ხანებში ახლოს ვადევნებდი თვალყურს წერს არჩილ ჯორჯაძე. ¹ აქვე ეცნობა არჩილ ჯორჯაძე რუსეთიდან გაღმომვეწილ ცნობილ ტოლსტოველებს. ვ. ჩერტკოვს, პ. ბულანჯეცს, პ. ბირიუკოვს, ხილკავს და სხვ., და ამყარებს მათთან მჭიდრო კავშირს. თავის წერილ-ში („ლევ ტოლსტოი“) არჩილ ჯორჯაძე იძლევა აღნიშნულ პირთა მეტად დამახასიათებელ მხარეებს. დახასიათება იმდენად ზედმიშვინითაა, რომ უბრალო ნაცნობით არ შეიძლება ამდენი დეტალის დაჭერა. მაგალითად: არჩილ ჯორჯაძე სამართლიანად შენიშვნას ვ. ჩერტკოვშე რომ „რამდენადც დაგაკვირდი, მესი გული საბოლოვოდ დამშვიდებული და დაწყნარებული არ იყო“. ²-ცნობილი ტოლსტოველის ვ. ჩერტკოვის ეს ფარული განცდები, როგორც ახლა დადასტურებულია, მხოლოდ მისი უახლოესი მეგობრებისათვის, იყო შესამჩნევი. არჩ. ჯორჯაძის მოვონებას უთუოდ რამდენიმე ახალი შტრიხის შეაქვს ტოლსტოველების დახასიათებებში. უკველია, რომ არჩილ ჯორჯაძე არამც თუ ცნობდა და „თეალყურს აღევნებდა“

¹ თხუზულებანი არჩილ ჯორჯაძისა. წიგნი მესამე. გვ. 93.

² იქვე—103 გვ.

ტოლსტოველების მოძრაობას, არაშედ თანაუგრძობდა და იზიარებდა მას. ეს გარემოება საქმაოდ დადასტურებულია მემუარული ლიტერატურითაც.¹ ცხოვრების ლოლიკაშ დამსხვრია ლ. ტოლსტოის მოძღვრების ქრისტიანულ უტობიური მხარე და ბევრი ტოლსტოველი სხვადასხვა წვრილ ბურჯუაზიულ პარტიებს მიეკედლა. ცნობილი ტოლსტოველი ხილკოვი ესერების პარტიაში შევიდა. არჩილ ჯორჯაძე კი წვრილ ბურჯუაზიულ-აზნაურულ პარტიის—სოც. ფედერალისტების ბელადი გახდა. არჩ. ჯორჯაძის 1910 წელს დაწერილი წერილი ლ. ტოლსტოის შესახებ გვაფიქრებინებს, რომ ის ლ. ტოლსტოის რელიგიურ-მორალური იდეაბის გავლენას შემდეგშიაც საკმაოდ განიცდიდა. ამ წერილში გამოსჭვივის არჩილ ჯორჯაძის დიდი სიმპატია და თანაგრძობა ტოლსტოის მოძღვრების იმ ცუდი მხარეებისა, რაც ასე სასტიკად ამხოლა და გააკრიტიკა ვ. ლენინმა. წერილში იგრძნობა სასომიხდილი და პესიმისტურად განშუობილი სულისკვეთება ისეთი ინტელიგენტის, რომელიც ლ. ტოლსტოის მოძღვრების ცუდ მხარეს ჩატანულებია და „სიკვდილ-სასიცოცხლო სფინქსით“ მასების შევნების დეზორგანიზაციას ახდენს.

1896 წლიდან 1903 წლამდის ლ. ტოლსტოი პერიოდულად მუშაობდა „პავი-მურატზე“. ამ მოთხრობისთვის ლ. ტოლსტოი აგრძელებდა ყოველგვარ მასალას, რადგან ლ. ტოლსტოი იშვიათი სიზუსტით წერდა ისტორიულ თხუზულებებს.

1902 წლ. 25 დეკემბერს ტოლსტოი კორლანოვს სწერდა: „როდესაც მე ისტორიულს ვწერ, მე მიყვარს უკიდურეს წვრილმანებამდე ვიყო სინამდვილესთან ახლო“². საისტო-

¹ ს. ქვარიანი მოგონებები ა. ჯორჯაძეზე

² Г. Бебутов — Л. Н. Толстой и Хаджи Мурат. Эривань, 1928 г.

რთო და საცნობარო შასალების შესახებ ხშირად მიმართ თვედა ლ. ტოლსტოი ტფილისში ს. ესაძეს, ი. ნაკაშიძეს, ს. შულვინს, ი. კორლანოვს და სხვებს.

სახელგანთქმული დიდი მწერლიდან არა მარტო წერილებით, არამედ პირადი ნახვითაც ღებულობდა ბევრი რჩევა-დარიგებას. ლ. ტოლსტოის სანახავად მოდიოდენ ევროპიელებიც და ამერიკელებიც. როგორც ჩანს, ა/კავკასიიდანაც ბევრი ესტუმრა ტოლსტოის. მართალია ტოლსტოველობა მასებში არ შეჭრილა, მაგრამ აქა იქ მის მოძღვრებას ყავდენ მიმღევრები წვრილ-ბურუჟაშიულ ინტელიგენტურ წრეებში და სოფლის ჩამორჩენილ მოსახლეობის ზედა ფენებში. უბრალო ცნობის მოყვარეობის მიზნითაც ბევრი მიდიოდა ლ. ტოლსტოის სანახავად. მნახველთა რიცხვმა განსაკუთრებით 90-წლების დასასრულს იმატა. ხშირად ეს მნახველები უხერხულ მდგომარეობაშიც აყენებდენ დიდ მწერალს. ასეთ მნახველთა დასახასიათებლად საინტერესო ეპიზოდი მოჰყავს ლ. ტოლსტოის ბიოგრაფ 3. ბირიუკოვს—მოქანდაკე ი. გინცურგის მოგონებიდან: „ერთხელ ჩეენ სამუშაო ოთახში შემოვიდა მოსამსახურე და მოახსენა ლევ ნიკოლოზის-ძეს, რომ ვიღაც ქალიშვილებს ტულიდან უნდათ თქვენი ნახვაო.“

— რისთვის—ჰეითხა ლ. ნიკოლოზის-ძემ.

— ისე შეხედვა სურთ—უპასუხა მოსამსახურემ, რომელიც ალბად პირველად არ ახსენებდა მწერალს ასეთი შემთხვევების შესახებ.

— ალბათ ტყუილად მოსულან ტულიდან სახალხო მასწავლებლები—მელანქოლიურად დაუმატა მოსამსახურემ.

— პორ, როგორ მოსაბეჭრებელია ეს—ნაღვლიანად თქვა ლ. ნ.—რას იზამ თხოვე—აი თქვენ ნათავთ ცნობის მოყვარებს; ეს საშინელებაა, როგორ მაწუხებენ მეისინი. იმათ არაფერი არ უნდათ გარდა იმისა, რომ მე შემხედონ—მომმართა მე ლ. ნ.

და რაღაც უხერხულება ვიგრძენი მე—ამბობს მოქან-
და ეკ. რ. გინცბურგი.

„შემოვიდა ოთხი ქალიშვილი და გაჩერდენ კარე-
ბთან“.

— გამარჯობათ,—უთხრა ლ. ნ., საიდან ხართ? —

— ტულიდან—უპასუხეს მათ წყნარად შემკრთალებმა:

— რა გნებავთ ოქვენ, შეიძლება შეკითხვები გაქვთ
ჩემთან?

ქალიშვილები დუმტენ.

— წაგიყითხავთ ოქვენ ჩემი ნაშერები. —

ჰკითხა მათ ლ. ნ.

— ზოგიერთი წაგვიკითხავს—ხმა დაბლა უპასუხა ერთმა
მათგანმა.

— ჩემი მოთხრობები. —

მან დაუსახელა ზოგიერთი.

— „არა. უპასუხეს მათ თითქოს შეშინებულებმა.

— აი მე თქვენ რამოდენიმე მოთხრობას მოგცემთ...

ქალიშვილები გაჩერებული იყვნენ, არ ინძრეოდენ და
თვალები ლ. ნ. ჰქონდათ მიპყრობილი. მე უხერხული
მდგომარეობა ვიგრძენი ამ დაბნეული სტუმრების გამო...
დიდხანს იყვნენ ისინი ასეთ შდგომარეობაში. მე კიდევ
მეშინოდა შეხედვა ლ. ნიკოლოზის-ძისათვის. ბოლოს ლ.

6. თქვა:

— აი, ჩემი მოსამსახურე მოგცემსთ თქვენ ჩემს რამდე-
ნიმე წიგნს, წადით და უთხარით მას, რომ ის შეგირჩი-
ოსთ, რაც მოგეწონებათ ჯერ-ჯერობით ნახვამდის.

ქალიშვილები წყნარად გავიდენ.

— აი, ხომ ხედავთ, როგორ ცნობის მოყვარეები
არიან; ასეთები ხშირად მოდიან ჩემთან—თქვა ლ. ნ. და
თავისუფლად ამოისუნთქა. მოჭარბებულ ცნობის მოყვარე
მნახველებში ბევრი იყო ისეთი, რომელსაც რაღაც იდე-
ურად ტოლსტოისთან თითქოს აკავშირებდა. ლევ ტოლ-

სტოისთან ერთი ასეთი შეხვედრა ჰქონდა პავლე აკობია-
საც. თავის გამოქვეყნებულ მოვონებაში — „შეხვედრა
ლეონ ტოლსტოისთან“ — პავლე აკობია წერს: „მე, საე-
რთოდ, შეგნებული მოწინააღმდეგე ვიყავი ომიანობისა,
რომელსაც აწარმოებდა მოძალადე ხალხი, სხვა ხალხის
დაჩაგვრისა და დამორჩილების მიზნით. სრულიად არ მი-
ნდოდა კუოფილიყავი მონაწილე ამ ბოროტმოქმედებისა“. 1898 წელს ის ჯარში წაუყვანიათ. პ. აკობიას გადაუ-
წყვეტია გაქცევა და კიდევაც გაქცეულა.

„ვიხეტიალე 1899 წლის შემოდგომამდე. ბოლოს გა-
დავწყვიტე, წერს ის, წაესულიყავი, ომიანობის განთქმულ
მოწინააღმდეგე ლეონ ტოლსტოისთან და მიამბნა მისთვის
ჩემი მდგომარეობა.

„1899 წლის ნოემბერში, ოდესიდან მოსკოვამდე მიმა-
ვალ მატარებლით ჩავედი ქალაქ ტულაში. იქნებოდა დი-
ლის 9—10 საათი, მოვნახე წიგნის მაღაზია და ვიკითხე,
თუ სად იყო ამჟამად ლეონ ტოლსტოი. იქ მითხრეს, რომ
იგი ახლა არის თავის სოფელში, რასნაია პოლიანაში.
ამის შემდეგ გამოვიკითხე გზა... და გავწიე ფეხით იასნაია
პოლიანისაკენ... შეადლის სამ საათზე ვიყავი ლეონ ტოლ-
სტოის ფართო ეზოს ჭიშკართან. აგურიდან აშენებული
ოთხკუთხოვანი დიდი სვეტები იდგა მხოლოდ ზედ ჭიშ-
კარი არ იყო ჩამოკიდებული. შიგნით იყო ვრცელი აღგი-
ლი დიდრონი ხეებით. ეს აღგილი მოაგონებდა კაცს მი-
ვიწყებულ უპატრონო ქვეყანას. შორიდან უკავ მოჩანდა
ორ-სართულიანი, თეთრად შელებილი ქვითკირის სახლი“.
საღამოს ეამს ლ. ტოლსტოის მიუღია მნახველი.

„კარებთან შეგვხვდა თვითონ ლ. ნიკოლაევიჩი და მი-
მიპატიუა თავის კაბინეტში, რომელიც ქვედა სართულში
ყოფილა მოთავსებული. შევედით კაბინეტში და სანთე-
ლსაც მოუკიდეს. მიმიპატიუა დასაჯდომათ და დაჯდა
თვითონაც, ჩემ პირდაპირ. ტოლსტოის ზურგის უკან აჭ-

დელტე ჩამოკიდუებული იყო ზელის ხერხი. საუბრის სისწორით გადმოსაცემად პ. აკობიას თავის მოგონებაში მოჰყავს დიალოგი, რომელიც მისსადა .ლ. ნ. შორის გაიმართა:

ლ. ნ. რით შემიძლია გემსახურო.—

პ. ა. მე ვარ ქართველი, დიდი ხანია დაინტერესებული ვარ თქვენით. საგანგებოთ წარმოვედი საქართველოდან, რომ პირადად მენახეთ და მეტქვა თქვენთვის ჩემი მდგომარეობა.

ლ. ნ. თქვენ წაკითხული გაქვთ თუ არა ჩემი წიგნები.—

პ. ა. ღიათ წაკითხული მაქვს, მაგრამ არა ყველა,

ლ. ნ. წაკითხეთ ყველა და მეც იქ მნახავთ".¹

სცენა ტულიდან ჩამოსულ მასწავლებლების შეხვედრას მოგვაგონებს. ცნობის მოყვარე მნახველებთან თავმობეზრებულ ლ. ტოლსტოის არ შეეძლო სხვაგვარად მიელო პ. აკობია, რადგან ასეთი შეხვედრა უფრო სამუშეიმო ექსპონატების დათვალიერების იქნს ატარებს. ამ შეხვედრიდან საყურადღებოა მხოლოდ ერთი დეტალი, რომ ლ. ტოლსტოის უტოპიურ და რეაქციონურ მოძღვრებას, „არა წინააღმდეგ პოროტებს“ თავის თანამოაზრები საქართველოშიაც ჰყავდა.

ამავე მოგონებიდან დასტურდება, რომ ლევ ტოლსტოი საკმაო სიფრთხილეს იჩენს,—არ გადააქციოს თავის სახლი მთავრობის ყველა უკმაყოფილოთა თავშესაფარად, და ამით არ გააძლიეროს უანდარმების, აგენტების, ეჭვები მისი არა კეთილ საიმედობის შესახებ.

მოგონებაში პ. აკობია აღნიშნავს რომ როდესაც მას უნდოდა ეამბნა ლ. ტოლსტოისთვის თავისი მდგომარეობის შესახებ, ლ. ტოლსტოიმ მოსაუბრებს სიტყვა გააწყვეტია და ჰყითხა:

¹ პ. აკობია—შეხვედრა ლეონ ტოლსტოისთან.

(გამოუქვეყნებელი მოგონება)

ლ. 5. სად გაათევთ თქვენ ლამეს? —

პ. ა. (ძლიერ განცვიფრებული ამ მოულოდნელობით) მე ეს არ ვიცი.

ლ. 6. ეს სახლი მე არ მეკუთვნის.

პ. ა. (მე იმ მომენტშივე ავლეჭი და გავემართე წინა კარებისაკენ):

ლ. 6. თქვენ სად აპირებთ წასვლას? —

პ. ა. (ციკად) მე წავალ გლეხებთან.

ლ. 6. პასპორტი გაქცი? —

პ. ა. (ისევ ციკად) არა, მე პასპორტი არა მაქცა.

ლ. 6. გლეხები შენ არ შევიშვებენ.

პ. ა. (ისევ ციკად) მე წავალ ტულაში (მიუუახლოვდი კარებს)

ლ. 6. განა თქვენ ტულიდან ფეხით მოხვედით. —

პ. ა. (ისევ ციკად) დიახ ფეხით მოვედი ტულიდან (და ის იყო უკვე გამოვალე კარები).

ლ. 6. ტყუილად გარჯილხართ! აქ ახლოს მცირე სა-
დგურია.

(ამასობაში მე უკვე გამოვედი გარეთ).

ლეონ ტოლსტოი გამომყვა და მითხრა — „მიყურეთ“ — არ მინდოდა პირის მობრუნება, მაგრამ ეს მეტისმეტი იქნება მეთქი და მოვიხედე. — ხელი გაიშვირა ერთი მიმა-
რთულებით და თქვა:

„ — აი, წახვალთ ამ მიმართულებით, და ეს გზა მიგი-
ყვანთ მცირე სადგურ კოზლოვკამდე“-ო.

III

ლენინმა თავის წერილებში ლ. ტოლსტოის შესახებ
იშვიათი სიცხალით გაარკვია ტოლსტოის მოძღვრების
არსი და ლ. ტოლსტოის დამოკიდებულება 1905 წლის
რევოლუციასთან. „ტოლსტოიმ ასახა ისტორიული თავი-
სებურება რუსეთის პირველი რევოლუციისა. მისი ქალა

და მისი სისუსტე”, შერს ლენინი. „მისი პირით ლაპარაკობდა მთელი ის მრავალმილიონიანი რუსეთის ხალხის მასა, რომელსაც უკვე ეზიზლება თანამედროვე ცხოვრების ბატონები, მაგრამ რომელიც ჯერ კიდევ ვერ მისულა შევნებულ, თანამიმდევრობითს, ბოლომდის მიმყვან ბრძოლამდის“. ლენინი აღნიშნავს რომ ლ. ტოლსტოი, დაუნდობელ და მკაცრ კრიტიკას აწარმოებს ოფიციალური ეკლესის, მემამულების და საერთოდ ბიუროკრატიულ „ჩინოვნიკური“ რეჟიმის წინააღმდეგ. მაგრამ ავავე დროს ის ქადაგებდა: „ნუ ეწინააღმდეგები ბოროტებას“ და მოუწოდებდა ხალხს მოთმინებისაკენ. ეს წინააღმდეგობა ლენინმა გენიალურად ახსნა რუსეთის სოციალ-პოლიტიკურ პირობებთან დაკავშირებით. 1900 წლის რევოლუციის მოსამზადებელ პერიოდში, ლევ ტოლსტოი სასტიკად აკრიტიკებს მეფის რუსეთის იმპერიალისტურ პოლიტიკას, თუმცა, როგორც, ლენინმა ცხალყო, ლ. ტოლსტოის არ ესმოდა რევოლუციის შინაარსი და ამოცანები, და პირიკით გაურბოდა მას.

„Литературное наследство“-ს № 19—21, გამოქვეყნებულია წინასწარი მიმოხილვა ლ. ტოლსტოის დღიურებისა და უბის წიგნაკების 1900—1903 წლების პერიოდში. ამ მიმოხილვით ირკვევა, როგორ სასტიკად ილაშქრებს ლ. ტოლსტოი „ყაჩაღთა ბუდის“—ბიუროკრატიულ სახელმწიფოს წინააღმდეგ, შენიშვნების სახით ლ. ტოლსტოი ხაზავს რეფორმის პროგრამას, სადაც, სხვათა შორის, ყურადღებას იქცევს შემდეგი ადგილი:

,იმპერიალიზმის მისპობა, თვითმართველობა ფინლანდიის, ასტვეიის, პოლონეთის, საქართველოს“.¹ ლ. ტოლსტოის ეს გეგმა ცხადია უტოპიური იყო, მაგრამ საყურადღებოა, რომ პოლონეთის, ფინლანდიისა და საქართველოს თვითმართველობის საკითხი ლ. ტოლსტოიმ იმ-

¹ Литературное наследство 1935 წ. 83. № 19-21.

პერიალიზმის მოსპობასთან დაკავშირა. უწდა ვიფიქროთ, რომ ლ. ტოლსტოის ძალზე ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდა ამ საკითხებზე, მაგრამ დიდი მწერლის სამუშაო გეგმაში ამ საკითხის დასმაც უაღრესად საყურადღებოა. ბოროტებისა და ჩაგვრის მოწინააღმდეგე, ლ. ტოლსტოი, წინააღმდეგი იყო მცირე ხალხის ჩაგვრისა. ამავე დროს საფიქრებელია, რომ ლ. ტოლსტოისთან დაახლოებული ქართველ ბურუუაზიულ ნაციონალისტური ინტელიგენციის წარმომადგენლები, აქეზებუნ მას ნაციონალური საკითხის თავისებურად დაყენებისათვის.

რაღიაკალურად განწყობილმა ინტელიგენციის ერთშა ჯგუფმა, სოც. ფეხურალისტური პარტიის თაოსნობით გადაწყვიტა „პროტესტი“ განეცხადებია საქართველოს რუსეთთან შეერთების 100 წლის თავის აღსანიშნავად გამართულ სადღესასწაულო იუბილესათვის, რომელიც 1901 წელს გაიმართა. როგორც ჩანს, ეს წვრილ ბურუუაზიულ ინტელიგენციური პროტესტი მხოლოდ პროკლამაციით ამოიწურა. თანაგრძნობისათვის ამ წრეს ლ. ტოლსტოისათვისაც მიუმართავს. ამ აშშის ერთ-ერთი ინიციატორი გ. ლასხიშვილი თავის მემუარებში წერს: „გადავწყვიტეთ დავკმაყოფილებულიყავით პროკლამაციით. არჩილმა (არჩილ ჯორჯაძემ. - ვ. ა.) დაწერა მხურვალე პროკლამაცია, ვლ. ლორთქიფანიძემ სადღაც დაბეჭდა და ქალაქს მოვთინეთ. გარდა ამისა, ილიკო ნაკაშიძის შემწეობით დიდი წერილი გაუგზავნეთ ლევ. ტოლსტოის, ავწერეთ საქართველოს მდგომარეობა და ის დამცირება, რომელიც ქართველმა ხალხმა განიცალა. ასი წლის მონობის იუბილეს გადახდის გამო. ვთხოვთ ხმა აღემალლებინა და რუსეთის მოწინავე საზოგადოებისათვის ეცნობებინა, რომ ქართველი ერი და ხალხი არ მონაწილეობდა ამ დღესასწაულში... ტოლსტოისაგან იმავნაკაშიძის შემწეობით პასუხი მივიღეთ:

— დიდათ თანაგიგრძნობთო, მაგრამ ამჟამად თქვენს თხოვნას ვერ ავასრულებ, იქნება შემდეგში მოვახერხო რამეო”。¹

საყურადღებოა, რომ ლ. ტოლსტოისათვის სამუშაო გეგმაში საქართველოს საკითხი სწორედ ამ პერიოდში შეაქვს.

1906 წელს მეველემ (დავით მაქელაძემ) თარგმნა ლ. ტოლსტოის ცნობილი დრამა „Власти тьмы“—„მეუფება წყვდიადისა“ დრამა დაიბეჭდა ქუთაისში 1908 წელს. როგორც ირკვევა, ამავე წელს მთარგმნელს წიგნი გაუგზავნია ლ. ტოლსტოისათვის და მიუწერია წერილი საღაც დაუსვამს საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხი. 1908 წლის 3—აპრილს ლ. ტოლსტოის მდივანი ნ. გუსევი ღლიურში შემდეგს აღნიშნავს: ლ. ნ. მიკარნახა მე შემდევი პასუხი „მეუფება წყვდიადისა“ ქართულ ენაზე მთარგმნელისათვის, რომელმაც მას თარგმანი და წერილი გამოუვზავნა: „ლ. ნ. მალობელია თქვენი, თარგმნისა და წიგნის გამოგზავნისათვის. რაც შეეხება საქართველოს მდგომარეობას, ლ. ნ. მთხოვა გადმომეცა თქვენთვის, რომ ის განსაკუთრებით უკანასკნელ დროს ცხადად ხედავს იმ ბოროტებას, რომელიც წარმოებს დიდი სახელმწიფო ობიექტებს მიერ პატარა ეროვნებათა ჩავტრით. და რომ ლ. ნ. ამ საკითხით დაინტერესებულია და წერს მის შესახებ“² ამ გარემოებაზე მიუთითებს ილ. ნაკაშიძეც თავის მოგონებებში. ამ საკითხს ლ. ტოლსტოი მისი მოძღვრების საერთო ასპექტში აყენებდა, რის გამოც ცხადი უნდა იყოს ამ საკითხშიც ლ. ტოლსტოის გეგმების უტოპიური ხასიათი.

1905 წ. რევოლუციამ აამოძრავა მოხუცი ლ. ტოლსტოი. ლ. ტოლსტოი არ იზიარებდა 1905 წ. რევოლუ-

¹ გ. ლასხიშვილი—შემუარები. გვ. 145.

² Н. Гусев—„Два года с Л. Толстым“, 1928 წ. გვ. 126.

ციურ ბრძოლის მეთოდებს, „მე ვარ ქრისტიანი ანარქისტი და ამიტომ თანაბრად მძღვს თვითმშეყრობელობა და სოციალიზმი, რადგანაც ეს-ორი სავსებით ერთნაირი დესპოტური მთავრობააო“¹, ეუბნება ლ. ტოლსტიო ინტერვიუს დროს „მატენის“ ერთერთ რედაქტორს. ლ. ტოლსტიო 1905 წ. რევოლუციის პერიოდშიაც განაგრძობს თავის რეაქციულ-უტოპიური აზრის ქადაგებას — ბოროტებისათვის წინააღმდევების გაუწეველობას, მაგრამ ამავე დროს სასტიკად ესხმის თავს თვითმშეყრობელობას, რომელიც ჯალათურად ანადგურებს აზვირთებულ მშრომელთა მასებს. რა გამოსავალს მიუთითებდა ლ. ტოლსტიო რევოლუციურად დარაზმულ ხალხს? „ერთად-ერთი საშუალება მთავრობის გასაძევებლად — ეს არის უარის თქმა იმ ბოროტმოქმედებებში მონაწილეობაზე, რომელსაც ისინი სჩადიან, ხოლო მმართველები ხშირად არსებობენ ბოროტმოქმედებათა წყალობითო“².

1905 წელს რევოლუციურმა მოძრაობამ საქართველოში გრანდიოზული ხასიათი მიიღო — ეს მოძრაობა კლასთა ბრძოლის აშკარა ნიშანის ქვეშ მიფიოდა. ლ. ტოლსტიოს ილუზიები რევოლუციის ლოგიკამ დაამსხრია. 1905 წლის დასაწყისშივე რევოლუციურად განწყობილმა გლეხებმა განდევნეს მეფის მთავრობის მოხელეები და თვითონვე იწყეს თავის საქმის მოწესრიგება. შეშინებული მთავრობა პირველ ხანებში ფიქტურ დათმობებზე მიდის და სასტიკ რეაქციას ამზადებს „ბუნტარების“ გასანადგურებლად. თვით-ინიციატივა და დარაზმულობა მეფის მთავრობის მოხელეთა განდევნაში და თავის ცხოვრების მოწესრიგებაში განსაკუთრებით გურულმა გლეხობამ გამოი-

¹ ლიტ. მემკვიდრეობა № 1. ლ. ნ. ტოლსტიო თანამედროვე ამბებზე რუსეთში — გვ. 661—662.

² იქვე — გვ. 652.

ჩინა. მოხუც ტოლსტოის, გურიაში რევოლუციური მოძრაობა — მისმა თანამოაზრებმა აცნობეს. უნდა ვიფიქროთ, რომ ინფორმაცია სწორი არ იყო და ის შელამაზებული იქნა ტოლსტოვრად. როვორც ილია ნაკაშიძისაღმირ წერილში ჩანს, გურიის ამბები ლ. ტოლსტოისთვის უცნობებია ცნობილ ხალხოსანს მ. ყიფიანს, რომელსაც ტოლსტოი საყვარელ ადამიანს უწინდებს.

გურიის ამბებზე ლ. ტოლსტოი ილია ნაკაშიძეს წერდა:¹

„ის ცნობები, რომელიც ყ. გალმოგვცა, ჩემის ფიქრით ძალიან დიდმნიშვნელოვანია და უეჭველათაც უნდა გავაკრინოთ ხალხს ის დიადი ამბავი, რომელიც გურიაში ხდება. თუმც ვიცით, რომ გურულებმა არ იციან, რომ მე ვარსებობ ქვეყანაზე, მაგრამ ძალიან მსურს გადავცე იმათ ის გრძნობები და აზრები, რომელიც ჩემში გამოიწვია მათმა საოცარმა მოლვაშეობამ. თუ ამას საჭიროდ დაინახავთ, გადაეცით: აი, არის ერთი ისეთი მოხუცებული ქცეცი, რომელიც ოცი წელიწადი სულ იმაზე ფიქრობს და წერს, — ხალხის ყველა უბედურება იმისგანაა, რომ ადამიანები თავის საკუთარ ცხოვრების მოწყობას და დახმარე-

¹ წერილის დედანი ინახება ნაკართველოს მუზეუმში (ხელნაწერთა ფონდი № 124).

ეს წერილი გამოქვეყნებულია საბლინის მიერ გამოცემულ ლევ ტოლსტოის თხზულებათა კრებულში (Л. Н. Толстой. Собрание Сочинений, II-ая серия, двадцатый том, издание В. М. Саблинна, Москва—1911. გვ. 110-112).

პირველი და უკანასკნელი აბზაცი (ცნობები მიხ. ყიფიანისა და ნ. ნაკაშიძის შესახებ) გამოტოვებულია, შეიძლება იმ მოსაზრებით, რომ ამ ცნობებს უშუალო კატეტირი არა აქვს გურიის ამბებთან.

ილია ნაკაშიძე ქართულ ენაზე მთლიანად გამოაქვეყნა წერილი წაშლის მიზნით წახაზული ასკოლების გარდა. (ილია ნაკაშიძე, „როგორ გავიცანი ლ. ტოლსტოი“ სახელგამი 1928, გვ. 16-18). წერილის დედანში კი ორი ადგილია წახაზული წაშლის მიზნით:

ბას ელიან სხვისგან, მთავრობისგან და, როცა ხედავენ, რომ მთავრობისაგან არაა არც დახმარება, არც წესიერება, მაშინ იწყებენ მთავრობის კიცხვას და ეპრძვიან მას. მაგრამ არ არის საჭირო, არც ერთი, არც მეორე — არც უნდა ელოდე მთავრობისაგან დახმარებას და წესიერებას და არც უნდა ეპრძოდე მას. მხოლოდ საჭიროა ერთი რამ: სწორედ ის, რაც სურთ იმათ, გურულებს, სახელდობრ: თავისი ცხოვრების ისე მოწყობა, რომ მთავრობა საჭირო არ იყოს. იმისთვის კი, რომ მთავრობა საჭირო არ იყოს, უნდა ისე მოიქცეთ, როგორც ისინი იქცევიან: იცხოვროთ სინიდისის: თანახმად ქრისტიანულად, მოკლედ ღვთისწინიერიად.

თუ შესაძლებელია, გადაეციო იმათ, დიადი სიხარული განიცადა ამ მოხუცებულმა, როცა გაიგო, რომ ის, რაზედაც ფიქრობდა და სწერდა იგი იმდენ წლების განმავლობაში და, რაც სწავლულთ და მათაც, ვინც თავის თავს ბრძენად სთვლიდა, არ ესმით, არც ესმოდათ, — სწორედ ეს თავისთვის, საკუთარი ჭკუით და სინიდისით ათასმა კაცმა გადაწყვიტა, არამედ საქმედაც იქცია და მიჰყავს ისე მტკიცედ და კარგად, რომ მეზობლებიც ემხრობიან მათ.

1. მეორე აბზაცში სიტყვების შემდეგ „а когда видят, что от власти им нет помочи и портятка то начинают осуждать владельцев, бороться против них“ წაშლილია ოთხი სიტყვა „**А что я думаю**“ და შემდეგ დარღვებულია გაგრძელება „**что не надо ни того ни другого..** აზრის სიცხადისათვის წაშლილი ადგილების აღდგენას უთუოდ მნიშვნელობა აქვს.

2. იქვე მეორე აბზაცში დასასრულს დედანში სიტყვების შემდეგ ი ველთ ეთ დელ თ თერდ ი ხორიშ, რო სიტყვა ი ველთ ეთ დელ თ თერდ ი ხორიშ... წახაზულია 15 სიტყვა ი ველთ ეთ დელ თ თერდ ი ხორიშ „**смотри на то, что по Мирскому жизнь их стала беднее**“ ამ წახაზული ადგილის აღდგენას კი საქმაოდ დიდი მნიშვნელობა აქვს იმ შედეგების დასახასიათებლად, რომელიც ტოლსტოის იდეების საფუძველს მოწყობილ საზოგადოებას უნდა მოყოლოდა.

Радоми Слободж Недрдак.
Овеси влаги баладафари зе
зонахинес са амударин борзан
и за бар узаки си май сардаки
и. Они каскундик чист. И зелен
намони ундирана кадиши до
Киричани, и бар обими сардаки
май нор и бар сардаки рипп
са да ани таи узаки обими
уми мадани монтанин ани тао
Сардаки узаки ялома. Один
и мадани и. Они каскундик
и виногради монтани сардаки
зарафш и зеркальник и
надаканш и засади. Да мони
сардаки сардаки засади
вае прашадаки би Чардак
Чардак и би засади земо Тифлис,
иц мони и мони и засади
и засади, ини же засади вони
и засади монтани сардаки
и засади монтани сардаки
и засади монтани сардаки.

ეს ისტორია გვიცხდება
ლიკიაში იმ დროის უკანას ამ
ყველაზე ჩერეალურ დრო
რომ აქ განად მარტი მა
გარეულობის უმრავეს მარტი ა
მარტ დეკადაზე ა მარტ ტიპი
ხორ მოხვე სახლის მხედვები და
ეს ისიც ეტურული დრო იყო
იმაული ა უფრო უფრო
ომ მერიდის მინიჭებულ
ა ჩართული ხელის ამ გადა
არ არ არ მარტი ა მარტ ტიპი
ეტო დრო მდ მარტი ა მარტ ტიპი
მარტი ა მარტ ა მარტ ტიპი
დრო ეს ეტო ა მარტ ა მარტ ტიპი
მარტი ა მარტ ა მარტ ტიპი
დრო დრო დრო დრო დრო დრო დრო

କୁଣ୍ଡଳ ମାତ୍ର ଉପରେ
ବ୍ୟକ୍ତିଗତ ଅନୁଭବ, ଧ୍ୟାନ
ଶ୍ରୀମଦ୍ଭଗବତ ଆନୁଷ୍ଠାନିକ ଓ
କାନ୍ଦିକା, ଏବେ ପ୍ରାଚୀ ଓ ଅନ୍ତର
ମଧ୍ୟ ବିନାନ୍ତି ପ୍ରମାଣିତ
ହୁଏ ନେବରେଣୁ ନେବରେ
ରାଜତେ ନେବରେ ହେଉଥିଲା
କିମ୍ବା, ମେ ନେବରେ କିମ୍ବା
କାହାର ଦେଖିଲା କିମ୍ବା କିମ୍ବା
କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା
କାହାର ଯେତେ କିମ୍ବା କିମ୍ବା
କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା

ତ୍ରୈଲୋକରୁଙ୍କୁ—ଦ୍ୱାରା ନେବରେ କିମ୍ବା

ემი იძოვლე იაბი უსკ
მასტ მა რუმ ა ნებულ
დიდი გარე მოვიდა ა ა
ზი თი მო ია მახარუ უსკ,
თე მოვა გადას. ჩა
უსკ უმ ემი მას ა მო
ჩადას ა დაბაც. ეს რაზ
ხერ არა ემი გედული დიაბ
ასა არა: მომა გადა
დაბაცა, მოქმედება
მორა მასტ გებატ და დი
რამა, არამა აქემ უსკ
ურალა და უსფრაკა
ა დაუსარ უაბი ა და
ჩერალა უსფრაკა
და დაბაცა და უაბი
ა დამარაცა, ა დაკუნა
ა დადაბა. ჩაუს უმ
ემი ა არა, ა დადა

ტოლსტოის ავტოგრაფი — შერილი ილ. ნაკაშიბისიანი.

и иного имена багдады
или ками, замоки бледны
свои мечи огненны и супор
дембъ то супоръ ть либо
и это демъ ть чисто
это зеркало и дают
же демъ и мечи
и при бояхъ лишили
они не оружия есъ
и подъ предъ то все земли
все земли и земли
западные.

Багдадъ земь эмо сильна
жестоки и сильны и сильны
это макиевъ земь земли
багдадъ дембъ непривычны
но землю и землю възьмутъ
земли земли земли земли
и земли земли земли земли
и земли земли земли земли

ବ୍ୟାକ୍ ପାତ୍ରଙ୍ଗଳୁ ପାତ୍ରଙ୍ଗଳୁ ପାତ୍ରଙ୍ଗଳୁ ପାତ୍ରଙ୍ଗଳୁ

Законъ и Дир. о продажах
и Дир. о национализации и Дир.
бензина введенъ въ силу. Възы-
могутъ би продавать имѣющіе
имущества бывш. биржево-кредит-
ныхъ и земельн. външн. фінансовы-
хъ учреждений. Кандидаты
могутъ подавать.

Если они хотятъ быть
заключенными въ тюрьму
или же высланы изъ страны,
Если они хотятъ отъдать
всю свою собственность и имущество
имѣющимъ имѣющими
имущества бывш. биржево-кредит-
ныхъ учреждений.

Приемъ заявокъ начнется 15-го
января 1904 г. Заявки подаются пись-
менно или съ помощью пись-
менной записи. Письменные заявки
должны быть подписаны
личностью заявителя. — Кандидаты
должны представить въ приемную
комиссию:

Семьдесятъ пять тысячъ рублей — Ежегодно 100. Налогъ на имущество.

გადაეცით იმათ, რომ ეს საქმე ისეთი კარგი და ფიდმინშვნელოვანია, რომ საჭიროა ყოველი ძალ-ღონე იხმარონ (სულიერი ძალა, სიწყნარე, გონიერება, შოთმინება) იმისათვის, რომ ბოლომდის გაიტანონ იგი, რომ მაგალითი გახდეს მახლობელ და შორეულ ადამიანებისათვის და იმოქმედონ ღვთის სასუფევლის დასამტკიცებლად არა ძალითა და სიყალბით, არამედ გონიერებითა და სიყვარულით. გადაეცით იმათ, რომ არა მარტო მე, არამედ მრავალი ხალხი შეხარის მათ და მზად არიან, რითაც შესაძლებელი და საჭიროა, ყოველგვარად დაეხმარონ შათ, რომ ჩემ ყველანი დარწმუნებულიცა ვართ, რაკი ასეთი დიადი საქმე დაიწყეს და ბევრი რამ გააკეთეს ამ საქმისათვის, ისინი ხელს ალარ აიღებენ ამაზე და ისევ ამ გზას გაჰყვებიან და ხალხს მაგალითს უჩვენებენ.

გადაეცით იმათ: ეს მოხუცებული ადამიანი ფიქრობს, რომ მთავარი იმათი ძალ-ღონე მიმართული უნდა იქნეს იქითკენ, რომ, როგორც თვითონვე ამბობენ, იცხოვრონ ქრისტიანულად, სინდისის თანახმად, და აასრულონ ერთი და იგივე კანონი როგორც ქრისტიანებისა ისე მაქმადიანებისათვისაც და მსოფლიოს ყველა ადამიანებისათვის. ეს კანონი ისაა, რომ შეიყვარო ყოველი ადამიანი და სხვებს ისე მოექცე, როგორც გინდა, რომ სხვები მოგექცენ. თუ ისინი ასე ღვთისნიერად ცხოვრობენ, ვერავინ ვერაფერს უზამს. ისინი თუ ღმერთთან იქნებიან — ღმერთიც იმათთან იქნება და ვერავინ ხელს ვერ შეუშლის მათ”.

ლ. ტოლსტოის მოლოდინი არ გამართლდა—გურული გლეხები მალე ხელჩართულ ბრძოლაში ჩაებნენ დამსჯელ რაზმების წინააღმდევ. ნასაკირალის ტრაგედია ლ. ტოლსტოის ილუსიების საშინელი მარტი იყო.

ლ. ტოლსტოის გაელენა ქართულ ლიტერატურაზე უთუოდ თვალსაჩინო იყო. მისი ბევრი თხუსულება დაწე-

რისთანავე ითარგმნებოდა ქართულად. ცნობები ლ. ტოლსტიოს „სამწერლო“ და საზოგადოებრივი მოღვაწეობის შესახებ სისტემატურად თავსიდებოდა ქართულ ურნალ გაზეთებში. მისი პატარია წიგნაკები ათასობით ვრცელდებოდა ხალხში. საყურადღებოა, რომ პროვინციებში იბეჭდებოდა ლ. ტოლსტიოს წიგნაკები. თავი რომ დავანებოთ ქუთაისს, სადაც ლ. ტოლსტიოს მრავალი თხუზულება გამოიცა—მისი მოთხრობები—იბეჭდება ბათოშში, სენაკში და სხვაგან.

მაგ. 1896 წ. ახალ სენაკში გამრიცა ლ. ტოლსტიოს „ჩხუბი ერთი კვერცხისათვის“ და იმავე წელს გაიყიდა. ლ. ტოლსტიოს თხუზულებები ლრმად შეიკრა ხალხში. ლ. ტოლსტიოს მოძღვრების კრიტიკულმა მხარემ ობიექტურად უთუოდ დაღებითი როლი ითამაშა თვითმყრობელური რეჟიმის წინააღმდევ მასების. დასარაზმავად. განახლებული სოციალისტური საქართველოს მშრომელი ხალხი და მისი ცხოვრების გამომხატველი საბჭოთა ლიტერატურა უთუოდ დიდის პატივისცემით მოიგონებს უდიდეს მხატვარსა და „სიმართლის მაძიებს“ ლ. ტოლსტიოს და მარქსიზმ-ლენინიზმის მოძღვრების საფუძველზე კრიტიკულად აითვისებს მის უდიდეს ლიტერატურულ მემკვიდრეობას.

ରୂପାଳୀତାକାଳି

ଏ ପାତ୍ରାଳୁ ନୀଳକୃତ୍ୟେ ତାଙ୍କ ଉର୍ତ୍ତମ୍ଭିଲେ ସାମିଳ ଗୁମିଲୁହ୍ୟେପଣ୍ଡକୁଣ୍ଠିତ ମିଳଗଲୁ ନେଇବା ହେଉଥାଏ ଉର୍ମିଲାଦ୍ୱାରା କାହାର କାହାର ନାମାବଳୀରେ ଲାଗିଥାଏ ନାହିଁ ।

პირებელი მათგანი, — რევაზ ერისთავის მოგონება, უშუალოდ არ ეშერა ლევ ტოლსტოის, მიგონებაში ლ. ტოლსტოის სახელიც აქ გვხვდება, მაგრამ ის გამოხატავს იმ სამხედრო ნაწილების მოქმედებას, რომელშიაც ლევ ტოლსტოიც ლებულობდა მონაწილეობას.

მას მინშვნელობა აქვს ლევ ტრლასტოის კავკასიურ ჰერიოდის
მოთხოვნელობათა პროცესის დასადგენადაც, განსაკუთრებით ყუ-
რადღებას იქცევს ზოგიერთი დეტალის შეხვედრა „დღიურებიდან“
„თავდასხმასა და ტყის ჭრასთან“. თარიღები და აღწერის დეტალე-
ბიც ძალიზე უაღმოვდება რევაზ ერქესთავის დღიურებში აღწერილ
ამბავს.

ჰავლე აკობიას მოგონება ერთი ეპიზოდია ცნობისმოყვარე მწამ-
ევლთა შეხვედრების დასასახითობლად ლევ ტოლსტიისთან. ანა-
ლოგიური შეხვედრები დადასტურებულია ლევ ტოლსტიოს
ბიოგრაფების მიერ. ყურადღებას იქცევს ერთი დეტალი, რომ ლ. ტო-
ლსტიო 90-იან წლებში ერიდებოდა საუკუნ შემთხვევით პირებთან
დაახლოვებას და არ უნდოდა მისდამი მეტის მთავრობის მოსელეთა.
უნდობლობის კიდევ უფრო გაორმავება.

6. ნაკაშიძის მოგონება ლევ ტოლსტოის შესახებ საყურადღებო
მრავალ მხრივ, ილია ნაკაშიძესთან ერთად ნ. ნაკაშიძე მრავალჯერ
შეხვედრისა ლევ ტოლსტოის. იმ ხანებში მათთან ერთად ის იზიარებ-
ბდა ლ. ტოლსტოის მოძღვრების ზოგიერთ მხარეს. ლ. ტოლსტოი
უთუოდ განსაკუთრებით გულწრფელი ჰნდა ყოფილიყო მის მოწა-
ფეებთან. ამ მხრივ ნ. ნაკაშიძის მოგონებები ჰყვრ საინტერესო
ცნობას შეიცავს.

აივაზ ესისთავის პავოლურვებელი ღლიური

ავტორი გესახე

წელსა 1853-ს იანვრის 27-ს ძლიერ დავიძარით გროვნიდამ დიდის გზიდამ, მარცხნივ მოვბრუნდით და მთა მთა უგზო უკვლოთ ნოვოიურტში მოვედით. იმდღეს, ორ საათს შემდევ მოსვლისა ბარონ როზინი მოვიდა და მოგვილოურა ბარიატინსკის დენერალ ადიუტანტობა, რომელსაც ჩვენც ერთობ სათითაოდ მიულოცეთ, მაშინვე შამპანსკი გახსნეს, ჯერ თითობ დალია ხელმშიფის სადლევრძელო და შემდევ ჩვენ ბარიატინსკის საღლევრძელო დავლიეთ და ურა შევძახეთ, დიდად მხიარულად იყო კრიაზი; სწორე გითხრათ მეც გულით მეამა, ეს ასეთი ქაცია, რაც მისცენ ყველა შეშვენის. ამავე დროს ზინოვიევსაც პოდპოლკოვნიკობა მიულოცეთ. შემდევ ყველანი თავ-თავის ბინაზე წავედით. იმ ღამეს კონსტანტინე დადიანი, მიხეილ, სვიმონ თუმანოვი და ალექსანდრე დადიანი ერთად ვიდექით, ვახშამი ძალიან მხიარულად გავატარეთ. სვიმონმა ბევრი გვაცინა. ნოვოიურტი ვაკე აღგიღას არის თერგის პირზედ გაღმა, ჩერვილონის სტანცია არის პირდაპირ ერთ ვერსზე.

28 იჭნვარი. დღეს დილით გამოვსწიეთ და მახანიურტში მოვედით. თერგი მარცხნივ დაგვრჩა. მასანიურტში ციხე არის აშენებული და ორი როტა დგას, სუნჯის პირზედ გაღმა პატარა სოფელი არის შერიცებულის ჩეჩინებისა; თუმცა კნიაზეს აზრი ჰქონდა იმავე დროს კურინსკის უკრეპლენიეში მისვლისა, მაგრამ არ შეიძლებოდა, რადგანაც დიდი ბარგი ვვქონდა და გვიან მოვიდნენ. სუნჯაში ცუდი გასასელელი არის. იმ ღამეს, იქ დავრჩით, ჩვენთვის დასადგომათ კაზარმა მოამზადეს, თუმცა სიმყრალე იყო, მაგრამ რა გაეწყობოდა; როგორც იყო გავათენეთ.

29-ს წამოვედით დილით კავალერია და სუბუქად ბარგი წამოიღეს, პეხოტა და ბარგი სუნჯას გამოღმა დავყარეთ; იმ დღეს უცხო დარი დაგვიდგა, მარჯვნივ მხარეს ტყიანი მთა მოსდევს, მარცხნივ თვალ გადაუწვდენელი ტრიალი მინდორი და შორს ლინია მოსჩანს; იმ მინდორზედ ჯოვი და ჯოვი ირმისა დავინახეთ, თუმცა ჩვენი მილიციონერი ჩაჩნები გამოუდგნ, მაგრამ სულაც ვერ მოსცეს, როგორც იყო კურინსკში მოვედით, სადაც ბაკლანვი თავისი ატრიადით დაგვჭვდა, ბარიატინსკიმ ჯარი დაიარა და შემდგომ ციხეში შევედით; ეს ციხე გვერდობს აღვილას არის გაკეთებული და საძაგელი ტალახი სცოდნია; რის ვაი-ვაგლაბით ვიშოვნეთ ერთი სალდათის ოთახი, სადაც მე მიხეილ და თუმანოვი დავბინავდით, ოხ, ამ ოთახის სიმყრალე ეხლაც მახსოვს, მაგრამ კაცს ყველა საძაგლობა მოუთმენია. სალამოზედ ილიკო ჩოლაყავვი მოვიდა ჩვენთან მე დიდათ მიაშა იმის ნახვა. უცხო ბიჭია.

30 იანვარი. დღეს დილით ოთხ საათზედ გამაღვიძეს; ატრიადი ორ კალონაც გამჟყვეს; ერთი კალონა ბაკლანვმა წაიყანა კურინსკიდან მარცხნივ მხარეს მთაზედ ავიდა და იქიდამ ზარბაზნის სროლა დაუწყო, სადაც მიჩიგო აქვთ გამაგრებული, ორ საათს შემდეგ თითონ ბარიატინსკი მეორეს კალონით წამოვედით მარჯვნივ—კურინს—კიდამ მოვბრუნდით, ერთს ტყიანს ღელეს შემოუდექით საშინელი წვრილმანი იყო აქეთ და იქით—შუაზედ კი,—ერთი ვიწრო გზა მიზდევდა სამი ვერსი ამ სახით ვიარეთ და შემდგომ გამოვედით ერთს ველიანს გორაზედ. ამ დღეს სალამოდის ამ აღვილას დავრჩით დატყეს კაფა დაუწყოს. სალამოზედ ისევ კურინსკში ჩავედით.

31 იანვარი. დღეს კურინსკიდამ არსად წავსულვართ კალონა კი იყო ტყის საკაფად.

1 თებერვალი. დღეს პარაკულისი გადიხიდეს 2, 3, 4, თებერვალს ჩვენ კურინსკში გიყავით. კალონა კი ტყის საკაფაგად დაღიოდა. ჩ-თებერვალს კალონა ტყიდამ და-ჰრუნდა თქვეს, ძალიან დიდი ზავალები აქვთ გაკეთებულიო.

6 თებერვალს ორ კალონად გაიყო ჯარი. ჯერ ბაკ-ლანგი წავიდა წინანდელსავე აღგილს და ზარბაზნების სროლა ასტება. კნიაზი და ჩვენ მეორეს კალონათი წამო-შელით ისევ იმავე გზით და ამოველით ხოებ შავდანაკის წევრზედ, სადაც არც ერთი თოფი არ გავარდნილა. აქე-დამ გადაჭხედეთ მთელს ჩანანს, ამ მთაზედ დავდექით ლაგირათ, მიჩივის ხევს გაღმა რმათი ჯარი დგას და თი-თონ შამილაც იქ არის, სალამოზედ წყალზედ ჩავეტით კავალერიით, სადაც თითო ოროლა სროლა გაიმართა; ორჯერ მეც გეც გესროლე.

7 თებერვალი. დღეს დაიწყეს ამ ტყის კაფა, გალმიდამ ზარბაზანს გვესერიან და ჩვენებიც აქედამ პასუხს აძლევენ.

8. დღესაც როგორათაც გუშინ ისე გაიარა დღემ შემ-თხვევა არა ყოფილა რა..

9 თებერვალი.—ტყეს მისდევენ, ჰერიკ ჩვენ სულ ურთს აღგილას ვდგევართ. ყოველ ლამე ზარბაზანს გვეს-ერიან და კარგა ახლო მოჰყევთ.

10 თებერვალი. დღესაც ბევრი შესანიშნავი არა ყო-ფილა რა.

11 თებერვალი. დღეს ბაკლანოდი და მთელი კავალე-რია ჩავედით ძირს მიჩიგის ახლო მიველით ისინიც გალმიდამ მოგვეგბენ ცხენებით. ჩვენ ზარბაზანის სროლა დაუწყეთ ისინიც გვესროდენ, მაგრამ ორის მხრიდანვე ტყუილი ბა-ქი ბუქი იყო. ისევ დავბრუნდით ყველანი—მშვიდობით ჩვენს ლაგირში.

12 თებერვალი. დღესაც ტყესა ჰერიკ სამუშ ხამუშ ისერიან ზარბაზანს. ლამე მოსევნება არ არის.

13, 14 15-ს თებერვალს —ამ სახეო გავატარეთ.

17-ტი ოებერვალი. დღეს ადრე ბაქლანოვი თავისის
კავალერიით სამი ბატალიონი ვარანცოვის პოლკისა წა-
ვიდენ მარცხნივ მხარეს, ბაქლანოვს პქონდა ბრძანება,
რომ მიჩიკს უნდა გასულიყო ზევით ჩეგნიდამ 8 ვერსხედ
შიჩიკსა და გომარაუს შუა ერთი მინდორია — იმ მინდო-
რზედ პქონდათ იმათ საფრები გაკეთებული, და აქ უნდა
გამოსულიყო — ჩეგნც აქედან ჩავედით ძირს თოთხმეტი
ზარბაზანი სულ კარტეჩათ მიუშვეს ამ მიჩიკის პირს, და
საათ ნახევარს თუ ორ საათს საშინელი ზარბაზნის გრეგი-
ნვა იდგა. ჩეგნ მიველით იმ ადგილას, საღაც მიჩიკი და
გონახაუ ერთდება ერთად. ამ დროს ბაქლანოვი იქიდამ
გამოჩნდა, რაც დაინახეს იმათ ჩეგნი ჯარი უკანიდამ მო-
ქეული რაც შეიძლებოდა ერთიანად მოკურცხლეს აქე-
ლანაც. ჩეგნ ჩავეშვით ამ ხევში, მაგრამ ოს რა საშინელი
ხევია. სიგანე ხევისა იქნება 10-საუენი — სიმაღლეც 12-სა-
უენი ასე, რომ კაცს შეზარამს, რის ვაის ვაგლახით ვე-
დით მეორეს მხარეს, აქ მე ცხენი დამიგორდა ასელაში,
მე კი გადმომხტარი ვიყავ, და ისევ დავიჭირე — ცოტად
ფეხზედ კი დამეცა. ჩეგნმა კავალერიამ თხუთმეტი თუ
ოცი კაცი დაჩეხა — სამი ბაირახი წაართვეს, რამდენიმე
ცხენი, თოფები, და ხმლებიც დარჩათ ისინი ერთიანად
გაიქცენ და ჩეგნ ამ გამარჯვებით დავიჭირეთ მიჩიკი.
გორდოლაური დავწევით დაბაჯიურთი. რამდენიმე ნაწილი
ჩეგნი პეხოტის აქ დააყენეს და ჩეგნ ისევ ლაგირში დავ-
ბრუნდით გამარჯვებულნი. მაშინვე შაშპანსკი გაგვიხსნა
კრიაზმა და გადავკარით ბარიატინსკის გამარჯვებისა, ამა-
ლამ ძალიან მოსვენებით ვერძნობ ზარბაზნების სროლას
ჰელარსაიდან კადრულობენ.

18. თებერვალი. დღესაც მოსვენებით ვართ მთელს
დღეს ამ სალამოზე ერმოლოვი მოვიდა ვორონცოვიდან
იმან გვითხრა ელენეს მოსვლა თავის ქალით.

19 თებერვალი. დღეს წავედით და იმათი ზავალები დაკარიკეთ.

20 თებერვალი. ნიკო, მიხაკო და მე ჩირიურთისაკენ გავემგზავრენით, კურინსკიდან მერზედაუს ქვემოდან გავიარეთ იქიდან ხარაფიურტით მივედით. ხარაფიურტიდან ბათაიურტზედ გავიარეთ და კოსტექში მივედით, საღაც ის ღამე იქ გავატარეთ, იქაურს პრისტავთან, რომელიც არის კოზლოვსკი. აი კაცი, რომლის ჭყაც ბურტყლის წონას არ შეიწონს.

მეორე დღეს დილით ადრე ჩირიურთისაკენ გავემგზავრენით სულაკს გავედით სურთანიურტზედ გავიარეთ და მივედით ჩარიოლრთში დრაგუნების შტაბ კვარტირაში, რომელიც ძევს ზედ სულაკის პირზე იქ დავრჩით ვ-მარტამდის, საღაც ეს დღეები ძალიან მხიარულად გავატარეთ.

ჩირურტიდან წამოვედით ვ-მარტს ხარაფიურტში მოვედით, საღაც იმ ღამეს იქ დავრჩით, ხარაფიურტიდან არის კაბარდინსკის პოლკის შტაბ კვარტირა. ოთხს წამოვედით ბაშიურტზედ გამოვიარეთ და ტოსკიუჩიში მოვედით. აქ დგას ხასათ იმის გალავანს რეინის ალაყაფის კარები აბია. აქაურს პრისტავთან მოვედი გვარუდ ბალუევი არის ყიზლანელი.

წუთს შემდეგ კაცი მოვიდა კნიაზი გიბრძანებსო; მე მაშინვე წაველ შევედი კნიაზთან. კონსტანტინე დადიანი და ალექსანდრე ორბელიანი იქ ისსდენ. კნიაზი წამოდგა და მიბრძანა აი ეს ჯვარი მიიღე კარგი საქმისთვის და აფიცრობაზედაც წარგადგენო. გადამეხვია მაკოცა და თავისი ხელით დამკიდა ჯვარი. სწორე გითხრა მე ძალიან მიამა. ნომერი ჩემი ჯვარისა 90530.

(დღიური აქ წყდება)

3. პ რ ბ ი ა ს გ ა მ ი უ ძ ვ ლ ი თ ხ ე ლ ი მ ო გ ი ნ ი ბ ა შ ი ს ვ ლ ა ნ ა.
ლ ე რ ა 5 ტ ი ლ ს ტ ი ლ ი ს თ ა 5.

მე; საერთოდ, შეგნებული მოწინაღმდეგე ვიყავი ომიანობისა, რომელსაც აწარმოებდა მოძალაჲე ხალხი სხვა წალხის დაჩავრის, და დამორჩილების მიზნით. სრულიად არ მინდოდა ვყოფილიყავი მონაწილე ამ ბოროტმოქმედებისა.

ამას გარდა, მე არ შემეძლო მეშსახურა და ერთგული კუოფილიყავი იმპერიალისტურ რუსეთისა, მე არ შემეძლო მიმელო ფიცი რუსეთისადმი ერთგულებისა. ვინაიდან გადაწყვეტილი მქონდა არ წავსულიყავი „სალდათალ“...

მინდოდა საზღვანგარეთ წასვლა, მაგრამ ეს ვერ მოვახერხე.

მშობლებმა იცოდენ ჩემი განზრახვა და ძლიერ სწუნედენ ამის გამო. ის იყო დადგა შემოდგომა 1898 წლისა და მომითხოვეს „სალდათალ“.

უფროსმა ძმამ განაცხადა: მე წავალ პავლეს მაგიერათაო, მაგრამ იგი არ მიიღეს, თვითონ მე ნებაყოფლობით არ ვაპიჩებდი და არც წავედი. —

შემიპყრეს, წამიყვანეს და განვაჭეს თბილისში მყოფ კავკასიის მესამე მსროლელთა ბატალიონში. — ბრძანებებს არ ვასრულებდი. ძლიერ ცუდათ მეპყრობდენ. გადაწყვეტილი მქონდა გაქცევა და კიდევაც გავიქეცი. ვიმალებოდი ხან სამეცნიელოში, ხან ბათონში. მინდოდა საზღვანგარეთ წასვლა, მაგრამ ამისთვის საჭირო არც ნივთიერი საშუალება მომეპოებოდა და არც დამხმარე კაცი.

— ვიხეტიალე 1899 წლის შემოდგომამდე. ბოლოს გადავწყვიტე წავსულიყავი ომიანობის განთქმული მოწინაღმდეგე, ლეონ ტოლსტოისთან და მეამბნა მისთვის ჩემი შდგომარეობა.

1899 წლის ნოემბერში ოდესიდან მოსკოვაშიდე შიძა-
ვალ მატერებლით ჩავედი ქალაქ ტულაში. იქნებოდა დილის
9—10 საათი. მოვნახე წიგნის მაღაზია და ვიკითხე, თუ
სად იყო ამ ფასად ლეონ ტოლსტიო.

იქ მითხრეს, რომ იგი ებლა არის თავის სოფელში,
იასნაია პოლიანაშიო. ამის შემდეგ გამოვიკითხებზა. ვიყიდე
ორი გირვანქა პური, ნახევარი გირვანქა ძეხვი და გავჭიე
ფეხსით იასნაია პოლიანასაკენ.

ჩაცმული კარგად ვიყავი, მხოლოდ პალტო არ მქო-
ნდა. ციონდა. მოთოვილი იყო ოთხ გრჯამდე. გავიარე
რამდენიმე ვერსი და შევუდექი პურის ჭამას. მივდიოდი
და თან ვჭამდი.

— შუალის საში საათზე უკვე ვიყავი ლეონ ტოლსტიოს
ფართო ეზოს ჭიშკართან.

აგურისაგან აშენებული ოთხუთხოვანი დიდი სვეტები
იდგა. მხოლოდ ზედ ჭიშკარი არ იყო ჩამოკიდებული.

შიგნით იყო ვრცელი აღგილი დიდრონი ხეებით. ეს
აღგილი მოვაგონებდა კაცს მივიწყებულ, უპატრონო ჭვე-
ყანას. შორიდან უკვე მოჩანდა ორ-სართულიანი, თეთრად
შელესილი ქვითკირის სახლი.

მივედი სახლთან, მორიდებულად დავაკაკუნე წინა ჭა-
რებზე. არავინ გამომებმაურა. შემოვუარე და მივედი ამ
დიდი სახლის უკან მდგარ მეორე შენობასთან.

ამ შენობის წინა მხარეს ჰქონდა ორი განყოფილება.
შევედი იმ განყოფილებაში, საიდანაც მომესმოდა აღამი-
ანთა ლაპარაკი. იქ იყო რამდენიმე გლეხი და სოფლის
ქალი. მკითხეს თუ რა მინდოდა. — მითხრეს: — მოიცავდე,
მალე მოვა აქ ჭაცი და ის ეტყვის შენ შესახებ ლეონ ნი-
კოლოზის ძესო. მართლა, ცოტა ხნის შემდეგ შემოვიდა
ჭაცი. უნდა ყოფილიყო მდივანი ლეონ ტოლსტიოსა—
უთხარი თუ ვინ ვიყავი და საიდან ვიყავი. მითხრა: —

„ამ უამად საქმე აქვს, კაცის მიღება არ შეუძლია. მოი-
თმინეთ კიდევ ცოტახანსო“.

— მეც ვუპასუხე — კარგი მეფე.

კარები ფართოდ იყო გალებული მურავ განყოფილე-
ბისაკენ და ყველაფერი ჩანდა, თუ რაც ხდებოდა იქ.

ეს იყო მშვენივრად მოწყობილი სამზარეულო. მზარეუ-
ლის საუკეთესო ფორმაში გაშორებილი კაცი ამზადებდა
აქ საჭმელებს. გამახსენდა პრინც მიურატის სამზარეულო
და მზარეული ზუგდილში.

გაიარა რამდენიმე ხანძა და პირველ განყოფილებაში
შდგარ უბრალო მაგიდაზე გააწყვეს: — შავი პური, დაძმა-
რებული კიტრები; მოხარშული კართოფილი, მარილი, კვასი
და რალაც წყალწყალა შეჭამანდი. უთხრეს აქ მყოფი მუშა
ქალებს და რამდენიმე გლეხს ესაღილნათ. ზუშა ქალებმა
მიმიპატიუეს, მაგრამ მე უარი განვაცხადე. ავიღე ერთი
კიტრი და შევჭამე. —

გაიარა ორმა საათმა. სამზარეულოდან დაიწყეს ძვირ-
ფასი საჭმელების გატანა. ჩემ შეკითხვაზე — თუ ვისთვის
იყო დამზადებული ეს ძვირფასი საჭმელები, მიპასუხეს,
რომ ეს საჭმელები მზადდება ლეონ ნიკალაევიჩის ცოლ-
შვილისათვის. თვითონ ლეონ ნიკალაევიჩი ამ საჭმელებს
არ სჭიმს. მისთვის ამზადებენ უბრალო საჭმელებსაო.

— გაიარა კიდევ საათზე მეტმა. უკვე ღამდებოდა. და
ის იყო მოვიდა კაცი და მითხრა: — მობრძანდიო. წამიძღვა
ის კაცი და გავემართეთ სახლის უკანა კარებისაკენ. კარებ-
თან შეგვხვდა თვითონ ლეონ ნიკალაევიჩი და მიმიპატიუა
თავის კაბინეტში, რომელიც ყოფილა მოთავსებული ქვედა
სართულში. შევეღით კაბინეტში და ლამფაზეც მოჟკიდეს.

მიმიპატიუა დასაჯდომად და დაჯდა თვითონაც. დაფ-
ექი. ჩემ პირდაპირ, ტოლსტოის ზურგის უკან კედელზე
ჩამოკიდებული იყო ხელის ხერხი. ეს ძლიერ შეუცხოვა
და ამან ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე.

იმ სცენის სისწორით გადასაცემად, რომელსაც ქონდა აფგილი ჩემ და ტოლსტოის შორის, მე საჭიროთ მიმაჩნია სიტყვა-სიტყვით მოვიყვანო ის დიალოგი, რომელიც გაიმართა ჩვენ შორის:

ლ. 6. რით შემიძლია გემსახუროთ.—

მე: მე ვარ ქართველი. დიდიხანია დაინტერესებული ვარ თქვენით. საგანგებოთ წამოვედი საქართველოდან, რომ პირადად მენახეთ და მეთქვა თქვენთვის ჩემი მდგომარეობა.

ლ. 6. თქვენ წაკითხული გაქვთ თუ არა ჩემი წიგნები?—

მე: დიახ. წაკითხული მაქვს, მაგრამ არა ყველა.

ლ. 6. წაკითხეთ ყველა და მეც იქ მნახავთ.

მე: —ეს—სწორია, მაგრამ თქვენს პიროვნებას აქვს ჩემთვის დიდი მნიშვნელობა და ამიტომა, რომ შეგაწუხეთ. (აქ მე მინდოდა სიტყვის გაგრძელება, და ჩემი მდგომარეობის გადაშლა, მაგრამ შემიწყვიტა სიტყვა და თქვა:)

ლ. 6. სად გაათევთ დღეს თქვენ ღამეს.—

მე: (ძლიერ განცვიფრებული ამ მოულოდნელობით)

— მე ეს არ ვიცი.

ლ. 6. ეს სახლი მე არ მეუტვნის — (მე იმ წუთში ავდექი. და გავემართე წინა კარებისაკენ).

ლ. 6. თქვენ სად აპირებთ წასვლას.—

მე — (ცივად) მე წავალ გლეხებთან.

ლ. 6. ბაშტორთი გაქვთ?—

მე: (ისევ ცივად) არა, ბაშტორთი არა მაქვს.—

ლ. 6. გლეხები შენ არ შეგიშვებენ.

მე: (ისევ ცივად) მე წავალ ტულაში. (მივუახლოვდი ქარებს)

ლ. 6. განა თქვენ ტულიდან ფეხით მოხვედით.—

მე: (ისევ ცივად) დიახ. ფეხით მოვედი ტულიდან. (და ის ის იყო უკვე გამოვალე კარი).

ლ. 6. ტყუილად გარჯილხართ. აქ ახლოს მცირე სა-
დგურია. ამასობაში მე უკვე გამოველ გარეთ.

ლეონ ტოლსტიო გამომყევა და მითხრა: — „მიურეთ“
— არ მინდოდა პირის მობრუნება, მაგრამ ეს მეტის შეტი
იქნება მეთქი და მოვიხედე. — ხელი გაიშვირა ჟრომი მიმა-
რაულებით და თქვა: — აი, ჭახვალთ ამ მიმართულებით,
და ეს გზა მივიყვანთ მცირე სადგური კოზოლოვკამდე“.

გამოვსწიე.

იქითობას, ჭიშკართან მდგარ, ერთერთი დიდი ხის
ფულუროში შევდევი ქალალდში გახვეული პური და ძეხვი.

— დიდხანს ვეძებე ესენი, მაგრამ ველარ ვიპოვნე, —
მშიოდა. მივიღვარ. — თან მეცინება, თან ვბრაზდები და
თანაც ვფიქრობ: — აბა, რამ შეაშინა ეს ერთადერთი,
ძლიერ მსხვილი და ყველაზე უშიშარი რუსი მეთქი.

მოვედი კაზლოვკაში. პურის ყიდვა მინდოდა, მა-
გრამ ვერ ვიშოვნე. სადგურზე იყო თუთხმეტამდე სო-
ფლელი. ერთ ქალს ჰქონდა რაღაც „ლეპეშკა მაკა“.
ვიყიდე ხუთი ცალი შაურად. ორი შევჭამე. არ მომეწონა
და სამი გადავაგდე.

ცოტა ხნის შემდევ მოვიდა ორი ქანდარმი, დაიწყეს
თვალიერება სადგურისა და ადამიანებისა. მე განვირჩე-
ოდი ყველასაგან ყოველისფრით. პალტო არ მქონდა, თო-
რემ. ისე კარგად ვიყავი ჩაცმული. კარგი მაუდის ტუქურკა
და შარვალი. კარგი შავი შლაპა. მაკლე წვერულვაში და
გრძელი თმები.

უანდარმებმა განსაკუთრებული ყურადღებით დაიწყეს
ჩემი თვალიერება. ვიფიქრება: — ესენი უმცველად შემამხხვე-
ვენ ფათერაკს მეუქი, და გამოველ სადგურის დარბაზიდან.

ვითომდა გავისეირნე ტულის მიმართულებით. უანდა-
რმები თვალყურს მადევნებდენ. სეირნობიდან გადაველი
სიარულზე. — სიარულიდან აჩქარებული და ძლიერ ჩქარი
სიარულზე და გავწიე ტულისაკენ. —

ლამეა. — ყინაკს, ლიანდაგის იქით აქეთ ორივე შხარეზე
დაუსარულებელი ტყეებია. ხანდისხან ჩახსენდებიან რუსე-
თული მგლები, მაგრამ გული იმედიანად მაქვს და არ მე-
შინია. შორშორ მანძილზე მშვედებიან ღილ შენობიანი
აღვილები. მივდივარ ძლიერ ჩქარი ნაბიჯებათ და შეუჩე-
რებლად. ბოლოს ის იყო შორიდან გამოჩნდნენ ხშირი
სანთლები. ეს ტულა არის და ტულის სანთლები. — მოდის
ჩემ პირდაპირ ვიღაცი. მომიახლოვდა ოცდაათ ნაბიჯებდე
და დამიძახა. — სტო. — გაფჩერდი. მომიახლოვდა ახლო
და მყიოხა.

— საიდან,

— კაზლოვეკიდან,

— პირველათ ხართ აქა.

— დიახ პირველათ.

— მადლობა შესწირე ლმერითსა.

— რისთვის.

— იმისთვის, რომ ერთი შაურისათვის გამოგჭრიან
ყველს და შაშინ უკანასკნელად იქნები აქა.

— იცოდე ძმაო. არავითარ შემთხვევაში არ იარო აქ
ლამით მარტო.

მე უობარი: დიდათ მადლობელი ვარ ამ დარიგებისა-
თვის და სამაგიეროო გისურვებ ყოველივე სიკეთეს.

ამ შემთხვევამ ფართეთ ამიხსნა მნიშვნელობა იმ ერთი
უცნაური მოვლენისა, რომელსაც ქონდა აღგილი რუსეთში
რკინის გზის სადგურებზე. ყოველგან იყო გაქრული დიდი
ისოებით დაწერილი განცხადებები:

— გაუფრთხილდით ქურდებს.

შეორე დილით მოსკოვში ვიყაფი...

ଓ. କର୍ଣ୍ଣ ଶେଖ

(ବ, ନାଗାଶିଦିଶ ମନ୍ଦିରରେ¹⁾)

1897 ଫୀ. ଜାନ୍ତ ଶେମନ୍ଦଗମିଳିଙ୍କ ପାଲାରୁ ଶ୍ରୀପତି ଗାନ୍ଧୀର ହିସ୍ତିରେ
ଏହିଏ ଓ ଅବାନି ତାଲିପିଯେଲ୍ଲବିତ.

— ନାଗାଶିଦିଶ ଦିନା ଏ ଏରିଲି? — ପାଇତଥା ଦନ୍ତାଶିଲମା.

ଏ ଏରିଲି, ମାଗରାମ ତଥାତଥ ନାଗାଶିଦିଶ ଏରି ଏରିଲି ସାହିତ୍ୟରେ—
ପ୍ରତିବର୍ଷର ମେ.

ଦନ୍ତାଶିଲମା ତାଲିପିଯେଲ୍ଲବି ଲାଲପ୍ରିଣ୍ଟର୍ଗା ହିସ୍ତି ଅବାନିକ୍ଷେତ୍ର
ଏହିଏଶିପ୍, ମନ୍ଦିରର ହିସ୍ତି କାର୍ଯ୍ୟବିତ ତାରିଖବିତର ଦାତ୍ୟରେ ଉଠିବା
କିମ୍ବା ଶେରାମକ୍ରେପ୍ରେଲ୍ଲ ଓ ତଥାତଥ ପାଇଦା.

ଶମି କ୍ଷେତ୍ରରେ ଚିନ ଅଥ ଶେମନ୍ଦଗମିଳିଙ୍କ ହିସ୍ତିରେ
ଶି ହାମନ୍ଦିରର ନିଙ୍ଗଲିକ୍ୟାଲିଶିନ୍ଦ୍ରାନ୍ତି, ପ୍ରତିବିଲିପି ପାଇଦା
ମେଲିମାତ୍ର ମାଶିନ କାର୍ତ୍ତଲୀଙ୍କ ସାମାନ୍ୟରେ ପାଇଦା ଦେବତାରେ
ହାମନ୍ଦିରର ତାନାମଗରନ୍ଦବ୍ରଦ୍ଧିର ଶମରିଲି ଫୁଲି.

ଶିନ୍ଦ୍ରାନ୍ତି ତାରିଖରେ ମନ୍ଦିରରେ ଲାଲପ୍ରିଣ୍ଟର୍ଗା ପାଇଦା
ଓ ମିଳିଲି ପାଇଦା ହାମନ୍ଦିରର ହିସ୍ତି ମେଲିଲିଲେ ପାଇଦା; ତଥାତଥ
ଦା, ପାଇଦାରେ ଶିନ୍ଦ୍ରାନ୍ତି, ରାଜଗାନ୍ଦାତ୍ର ରାଜଶ୍ଵରି ଏରି ପାଇଦା
ପାଇଦା ନିଙ୍ଗଲିକ୍ୟାଲିଶି ପାଇଦାତଥ ଶିନ୍ଦ୍ରାନ୍ତି, ଶିନ୍ଦ୍ରାନ୍ତି ଦାରିଦ୍ର
ଦାରିଦ୍ରବ୍ରଦ୍ଧିର ଶମରିଲି ପାଇଦା—ମିଳିଲି ପାଇଦାରେ ଏହି ପାଇଦା
ପାଇଦା ପାଇଦା ପାଇଦା ପାଇଦା ପାଇଦା ପାଇଦା ପାଇଦା ପାଇଦା ପାଇଦା

ଶିନ୍ଦ୍ରାନ୍ତି ପାଇଦା ପାଇଦା ପାଇଦା ପାଇଦା ପାଇଦା ପାଇଦା ପାଇଦା
ପାଇଦା ପାଇଦା ପାଇଦା ପାଇଦା ପାଇଦା ପାଇଦା ପାଇଦା ପାଇଦା ପାଇଦା ପାଇଦା
ପାଇଦା ପାଇଦା ପାଇଦା ପାଇଦା ପାଇଦା ପାଇଦା ପାଇଦା ପାଇଦା ପାଇଦା ପାଇଦା

¹⁾ ଶିନ୍ଦ୍ରାନ୍ତି ନାଗାଶିଦିଶ ମନ୍ଦିରରେ ପାଇଦା ପାଇଦା ପାଇଦା

საგილობაში მოაღწია სინჯონი და ილიკო დაბტუნი-
ზენენ. მოვიდა ბოქაული და ორივეს გამოუცხადა, რომ
საღამოს 7 საათზე პოლიცემისტერთან გამოცხადებული-
ყვნენ. ერთი პოლიციელი დასტოვა და წავიდა.

საღამოზე პოლიცემეისტერი მასტიცეი ყვირილით შეხვა-
და ორივეს, ღელავდა და დარბოდა თურმე ოთახში. ინ-
გლისელი სინჯონი ძალჩან გაკვირვებული იყო და უთ-
ხრა თარჯიმანს: რაზე ღელავს და ყვირის ეს საპატიო მო-
ხუცი, ეს მავნებელია მისი ხნოვანებისათვის, დაბრძანდეს
და ისე გვითხრასო.

მასტიცეიმ ორივეს გამოუცხადა დაუყონებლივ გასუ-
ლიყვნენ ტფილისიდან: სინჯონი თავის ქვეყანაში ხოლო
ნაკაშიძე ამიერ ქავკასიის ფარგლებიდან. ილიკო რამო-
დენიმე დღის შემდეგ იძულებული იყო გასულიყო ტფი-
ლისიდან. ერთი თუ როი ავის შემდევ მომწერა მოსკო-
ვიდან, რომ ლეჭ ტოლსტოის დახმარებით მოვეწყვე მოს-
კოვში სამსახურში და ჩამოდითო.

1898 წელს თებერვალში ჩვენ ე. ი. მე და ჩემი პა-
ტარა ბავში ჩაფედით მოსკოვში.

გზაში სიხარულით ვოცნებობდი, რომ ვნახავდი ტოლ-
სტოის; მაგრამ როდესაც ჩავეტი მოსკოვში გამზედაობაშ
მიმტყუნა: როგორ უნდა გჩვენებოდი და რა უნდა შეთქვა
უდიდესი მწერლისა და მოაზროვნისათვის.

გაზაფხულზე ტოლსტოი იასნაია პოლიანაში წავიდა.
გავიცანი ტოლსტოის მეგობრები „ტოლსტოველები“,
როგორც ეძასდენ ტოლსტოის მეგობრებს, რაც მათ ყო-
ველოვის სწყინდათ; ისინი ამბობდენ: ჩვენ სექტანტები
არ ვართ, რომ რამე სახელწოდება მივიღოთო.

მართლაც „ტოლსტოველებს“ არავითარი თრგანიზა-
ცია და წესდება არ ჰქონდათ და არაფითარი დადგენი-
ლება არ გამოჰქონდათ საერთო მოქმედების შესახებ.

შემოდგომაზე ტოლსტოი და შისი ოჯახი ჩამოვიდა
მოსკოვში და გადავწყვიტე მენახა ეს დიდი ადამიანი.
მეგობრები და: ილიუკ იცინოდენ, როდესაც გამოვ-
თქაშდი ჩემს შიშს, რომ ამ დიდი ადამიანის დანახვა მე
ისედაც პატარას, კიდევ უფრო დამაპატარავებს და შეი-
ძლება ავტირდე მეთქი. მე მიყვარდა ტოლსტოი, რო-
გორც „ომისა და ზევის“, „ახა კარენინას“, „ბავშობა და
სიყრმის“ და სხვა ნაწერების ავტორი, მაგრამ მე მეში-
ნოდა მისი ფილოსოფიური მოქლვრების. ტოლსტოის მე-
გობრები მეუბნებოდენ, რომ ტოლსტოიმ უარჲყო თავისი
მხატვრული მწერლობა და ახლა მოელ თავის ყურადღე-
ბას რელიგიურ საკითხებს აქცევს. იმათ მოსწონდათ,
უყვარდათ ტოლსტოი ფილოსოფოსი, და მე ვშიშობდი
ჩემი აზრის გამოთქმას. ამ გვარი ფიქრებით გავემართე
ილიკოსთან ერთად „ხამოვნივში“.

სალამოს ჯერ კიდევ სინათლე იყო, როდესაც შევე-
დით ტოლსტოის ხის ფიცრებით შემოფარგლულ დიდ
ეზოში და დავინახე ძევლი ორ სართულიაჭი ხის სახლი,
ზედ მიშენებული ნაწილებით. მე როგორლაც შეღავათი
ვიგრძენი მიშენებული სახლის, უბრალოების დანახვაზე.

შევედით დერეფანში, დერეფნიდან ილიკო ზევით ავი-
და, მე შემიყვანეს ტოლსტოის მეულლის, ხოფიო ანდრიას
ასულის ოთახში. ერთ წუთს კარებში შევჩერდი. ს. ა.
იჯდა მაგიდასთან რალაც ხელსაქმით. უცებ ადგა და
სწრაფი ნაბიჯით მომიახლოვდა, ისე ახლოს დამიდგა-
წინ, რომ გამიკვირდა, შემდეგ დავრწმუნდი, რომ ასეთი
ჩვეულება ჰქონდა, გამომიწოდა ხელი და მიიხრა:

— კნეინა ნაკაშიძე? მობრძანდით, მობრძანდით — დამ-
სვა თავის გვერდით მაგიდასთან და განაგრძო — ლიოვი-
ჩკა ჯერ არ გამოსულა ჩემთან დაჯექით; მე მინდოდა
თქვენი ნახვა. თქვენ იცნობთ ჩემ შვილს ანდრიუშას?

არა?—ერთად ეწოდი ლირსება მისი ის არის, რომელიც
ტოლსტოის შეიღია, დიდი ცნობილი მწერლის, სხვა არა-
ვითარი ლირსება მას არა აქვს, არც კუთა, არც სილამაზე
და მიკეირს რისთვის უყვართ ასე ქალებს. მე ვსღუმდი.

— თქვენ იცნობთ კნიაუნა ელენე გურიელს? — მკითხა მან
თავისებური აჩქარებით.—როგორი ქალია? ლამაზია?

— ამბობთ ლამაზი და საუცხოვოა და მერე რა პპოვა
ლამაზმა და საუცხოვო მშენებელმა ქალმა ჩემ შვილში,
რომ იმის გულისათვის თავს იკლავდა? კარგი რომ არ
მოკვდა. თქვენ წარმოიდგინეთ, ანდრიუშა ისეთი ქარა-
ფშუტაა — იქ რომ კნიაუნა გურიელს გაუკეთა წინადადე-
ბა, აյ ჩამოვიდა და ორი კვირა არ გასულა ო. კ. დი-
ტერიქს გაუკეთა წინადადება და იმას ირთავს ცოლად.
ახლა საქართველოდან სწერენ ანდრიუშას გურიელის ნა-
თესავები, ჩამოდიო, მაგრამ მე არაფრის გულისათვის
არ გაუშვებ.

— რატომ? — უევეეითხე მე.

— იქ მოკლავენ ჩემ შვილს და უნდა გითხრათ მარ-
თალი, რომ ჩემ ქართველები არ მოგვწონს. ჩემი რძალი
ფატი ერისთავი, ჩემი ძმა ბერსის ცოლი, ქართველი იყო
და რა სიკეთე ვნახეთ იმისაგან.

მე მეწყინა ეს თქმა და ვკითხე.

— ლევ ნიკოლოზის-ძეც ასე ფიქრობს მეთქი?

— ლიოვიჩქა — წარმოსთქვა მან უქმაყოფილოდ, — ლიო-
ვიჩქა რა? რა უნდა იფიქროს. ლიოვიჩქა ოდესალაც მარ-
თლა იყო დიდი მწერალი ჭკვიანი, დასწერა ისეთი წიგ-
ნები როგორც „ომი და ზავი“, „ანა კარენინა“ და სხვ.
მაგრამ ახლა კი რაღა არის. აიღეთ თქვენ ახლანდელი
მისი მწერლობა, ისეთი წიგნი დასწერა „ალდგომა“, რომ
ლმერთმა დაიტაროს, ჩემთა უცროსმა ქალმა საშამ ის
წაიკითხოს, მე ვუმალავ და არ ვაძლევ წასაკითხავად.
თქვენ წაიკითხეთ, მოგწონთ „ალდგომა“, — მკითხა მან უცემ.

— ძალიან,—ვუთხარი მე,—რა არის იქ ისეთი, რომ
თქვენ ქალს...—მან ალარ დამამთავრებია.

— კატუშა მასლოვას ცხოვრების აღწერის წაკითხვა,
მექავი ქალის შესახებ არ არის მავნებელი ბავშვისათვის?

მოსამსახურე შემოვიდა და თქვა, რომ ლევ ნიკოლა-
ზოს-ძე ტატიანა ლევის ასულის ოთახშიაო.

— თქვენ უთუოდ ლიოვიჩქას ნახვა გეჩქარებათ, თუ
გნებავთ წაბძანდით,—მითხრა მან.

მძიმე სულიერი განწყობილებით გაეგმართ.

მივდიოდი კიბეებზე და ვფიქრობდი, ვნახავ ახლა გე-
ნიალურ მწერალს, მაღალ, დიდ-წვერიან მეცაცრ ფილო-
სოფოსს, შიში და მოკრძალება ტრიალებდა ჩემ გულში.

ოთახში ჩამოდენიმე კაცი იჯდა, ილიკოც იქ იყო,
შევედი და დავიწყე თვალებით ტოლსტიოს ძებნა. წა-
მოდგა შუა ტახის გამზღარი, მოძრავი მოხუცი, მომეგე-
ბა, ხელი ჩამომართვა, დამაცერდა თავის ნაცრისფერი
წერილი ლრმა გაცინებული თვალებით. არა ის არ ჰგავ-
და იმ მეცაცრ აღამიანს, როგორც მე მყავდა წარმოდ-
გენილი.

— თქვენ უთუოდ ნინო ხართ, —მითხრა მან. იქ
მყოფ ყველას გაეცინა, გაუცირდათ, რომ გამოიცნო
ჩემი სახელი.

— ქართველ ქალებს ხომ უმეტესობას ნინო ჰქვია, —
თქვა მან და დამსვა სავარძელში.

შეხვედრა ისე უბრალო და ყველაფერი ისეთი კეთი-
ლი გულით იყო წარმოთქმელი, რომ რაღაც ნათესაური
განწყობილება ვიგრძენი და შეც გაუცინე, ვიგრძენი,
რომ ამ დიდი ბუნების აღამიანის თვისება სჭორედ უბ-
რალოებაში იყო. თანაგრძნობით გამომეითხა:

— როგორ ხართ, როგორ მოგეწონათ აქაურობა, მო-
გწყვიტეს მშობლიურ შხეს... მე ხომ არ მემდურით, რომ
ილია პეტრეს-ძე გადმოასახლეს. ახლა ჩას პირობთ.?

პატარამ როგორ გადაიტანა შეზაერობა? პასუხი მომისმინა დილი ყურადღებით.

— მაშარ მემდურით? მე ძალიან მიყვარს ილია პეტრეს-ძე მე კი არა ყველას. მან ბევრი რამ გვიამბობონ დუხობორების შესახებ. თქვენ იცნობთ დუხობორებს, იმათ ქალებს: როგორ შთაბეჭდილებას ახდენენ. მართალია, რომ ბავშები თავისი და სხვისი ყველას ერთნაირად უყვარსთ? ილია პეტრეს-ძე ამბობს, რომ ვერ შეატყობ რომელია თავის ბავში და რომელი სხვისიო.

— მერე თქვენ არ დაუჯერეთ ილიკოს? — ვუთხარი მე.

— როგორ არა, მაგრამ კარგი რამის მოსმენა ბევრჯერაც შეიძლება, გაიცინა მან.

შემდეგ ლაპარაკი გადავიდა დუხობორების ცხოვრების შესახებ.

მოვიდა ი. ი. გორგუნვი, გამომცემლობა „პოსტრენიკის“ ხელმძღვანელი, ლაპარაკი გადავიდა პრესაზე.

ყველა მიიწვიეს სასადილო ოთახში ჩაიზე. ჩვენ არ დავრჩით. ტოლსტოიმ გამოგვაცილა კარამლის და მეითა:

— თქვენ იცნობთ ელ. გურიელს. ძალიან მინდოდა იმის შესახებ მელაპარაკა თქვენთან. ამ დღეებში შემოვალ და იქნება როგორმე მოვახერხოთ ანდრიუშას მიერ გაფუჭებული საქმის გამოკეთება.

რამდენიმე დღის შემდეგ მოვიდა ჩვენთან ანდრია ტოლსტოი, ანდრიას მე არ ვიცნობდი, იმის შემდეგ ალარც მინახავს; ძალიან გამაკვირა იმის შეშინებულმა, უშინაარსო სახემ.

— რა საწყენია, რომ ილია პეტრეს-ძე არ არის სახლში, — მითხრა მან. — ალარ ვიცი რა ვქნა. თქვენ ხომ გაიგეთ ჩემი ამბავი? მე მეგონა მაშინ მოყვარდა კნიაუნა, მაგრამ დავრწმუნდი, რომ მე ახლანდელი ჩემი საკონკიურანტი ახლა კი ქართველები მე მომკლავენ.

მე ვუთხარი: რომ ქართველები არ შოგკლავენ, შაგ-
რაშ ასე არ უნდა მოქცეულიყავით მეტქი.

— მართალია, მაგრამ რამექნა როდესაც ასე მეგონა;
რომ მიყვარს. მამაჩემიც. ასე შეუბნება, არ მოგკლავენო.
მირჩია, რომ წავიდე ყველაფერი აუხსნა ელ. გურიელს,
ქარგი ქალია, გაიგებს ყველაფერს და გაპატიებსო, მაგ-
რამ ვერ ვბედავ. ქართველები ისეთი ფიცხები არიან...
აჭ, არა, არ შემიძლია წასვლა. ილია პეტრეს-ძეს ძალიან
ვთხოვ დამეხმაროს ამ საქმეში.

რამდენიმე დღის შემდეგ საღამოს შემოვიდა თვითონ
ლევ ტოლსტოი. მე ისიც იყო ბავშვი დავაწვინე დასა-
ძინებლად, ვცხოვრობდით „ოსტოუნენკაზე“. ჩვენ ძალიან
გავვეხარდა მისი მოსვლა და მე ვუთხარი ბავშვს:

— აი მაკა, ძია ლევ ნიკოლოზის-ძე მოვიდა. აბა შე-
ხედე მეტქი. ლევ ნიკოლოზის-ძეს ძალიან გაუკცირდა,
რომ ასეთი პატარა ბავშვი ქართულად ლაპარაკობს. თქვა,
რომ ქართული ლაპარაკი იშვიათად გაუგონია და უც-
ნაურად ისმინებაო.

— თქვენ წარმოიდგინეთ, ილია პეტრეს-ძევ! თქვენი
მეუღლე ახლა აქ ქალთა უმაღლეს კურსებზე დადის, უმა-
ღლეს განათლებას ლებულობს და მე კი მეგონა, რომ
ქართველი ქალები ჩადრებით იარებოდენ. საქართველოს
ამბავი ახლოს მე ჩვენი ალექსანდრე ნიკიფორეს-ძე დუ-
ნაევის ახალგაზრდა მეგობრისაგან გ. ლაშაშიძისა და
ალ. დიასამიძისაგან გავიგე. უძველესი კულტურის მექონე
ხალხი ყოფილან ქართველები და მე კი ჩემს საქართვე-
ლოში ყოფნის დროს საქმიანდ არ დავინტერესებულვარ
გამეცნო ქართველი ხალხი.

ილიკოს ყოველთვის თან დაქონდა ჯიბით „ვეფხის
ტყაორსნის“ პატარა გამოცემა, მაშინვე ამოილო ჯიბიდან,
წაუკითხა ზა გადაუთარემნა ზოგიერთი ადგილები. „ვაჭ
სოფელო რაშიგან ხარ“.. ტოლსტოი დიდი ყურადღებით

ესმენდა. მოეწონა: „მაგრამ ლმერთი არ ვასწირავს კაცას შენგნით განაწირსა“ — მოეწონა. აგრეთვე „მიეც საჭურ-ჭლი გლახაკთა, ათავისუფლე მონები“. რაც შეეხება ოლე-კე ლომისა სწორია, ძე იყოს თუნდა ხვალია“, მან თქვა: რასაკვირველია ლვის წინაშე, ყველა ერთია ქალიც და მამაკაცც, რომლებიც უნდა ემსახურებოდენ ლვთიური კანონიერების შესრულებასო, მხოლოდ არ მესმის რის-თვის ცდილობენ ქალები გახდენ პოლიციელებად, მსა-ჯულებად და ჯარისკაცებად, რა საჭიროა ამნაირ თანა-წორუფლებიანობა, როდესაც ამ უფლებებზე თვითონ მა-მაკაცებმაც უნდა აიღონ ხელიო.

„ვეტენს. ტყაოსნის“ მხატვრული ღირსების შესახებ, რომელზედაც ილიკომ ალტაცებით ილაპარაკა, ტოლს-ტოიმ სთქვა:

— ოდესმე შემდეგ, თუ მოვასწარი, ილია პეტრეს-ძევ. ახლაკი ბევრი რამ დამჩრია სათქმელი, ისეთი, რაც უსა-თუოდ უნდა ვთქვაო, და ამისთანა ცდუნებებისაგან, რო-გორც მხატვრული მშერლობის საკითხებია თავი უნდა შევიკავო. იმ დროს ტოლსტოი დუხობორების საქმით იყო დაინტერესებული, დიდ მიწერ-მოწერას აწარმოებდა (დუხობორებთან) მეგობრები — ნაცნობებთან. ამავე დროს სწერდა „ჰაჯი მურატს“ და ფიქრობდა „Отец Сергию“-ს დასრულებასაც.

ტოლსტოი ძალიან სწუხდა ამ სალამოს და ამბობდა:

— ჩემი შვილი ანდრიუშა სუსტი ხასიათის კაცია, არაეითარი ლაგამი არა აქვს ამიდებული. ამგვარი ხალხი ბატონურ, უქმ ცხოვრებას ატარებენ. ჭამენ ტკბილ საჭ-მელებს, სძინავთ რამდენიც უნდათ და არ იციან რას მოახმარონ ენერგია. მათ ჰვონიათ მოელი ჭვეყანა მათ-თვის არის გაჩენილი, ქალები, ცხენები, ღვინო, ბანქო და რასაკვირველია, ყოველნაირი დუ ლევტ ვ იილოვ და სხვის ბედნიერებას და უბედურებას არა-რაღ დაგიდევენო.

ჩევენთან შემოვიდა ს. დ. დომიტრიევი პენრი ჯორჯის მთარგმნელი და პოპულიარიზატორი. ნიკოლაევი სწორედ იმ დროს თარგმნიდა „Прогресс и Бедность“-ს, რომელსაც ტოლსტიო დიდად აფასებდა და ძალიან გაეხარდა, როდესაც გაიგო, რომ უკანასკნელ თავებს თარგმნიდა.

პენრი ჯორჯის ყველა ნაწარმოები უნდა გადითარგმნოს სთქვა ტოლსტოიმ, —აი, ილია პეტრეს-ძევ, გადაუდებელი საქმე თქვენთვის. პენრი ჯორჯი უსათუოდ სწყვეტს თანა პეტროვე გარემოებაში მიწის საკითხს. პენრი ჯორჯი უნდა გადაითარგმნოს ყველა ენაზე, ყველა ხალხისათვის და გადათაგმნეთ ქართულად.

ტოლსტოი წავიდა. ილიკო და ნიკოლაევი გაჰყვნენ გასაცილებლად.

ილიკო სამსახურის გამო ისე ხშირად ვერ დაღიოდა ტოლსტოისთან, მაგრამ მაინც, როგორც კი მოიხელებდა ლროს მიღიოდა, მე კი მხოლოდ რამდენიმე კვირის შემდეგ წევდი. ჩევენთან წამოვიდა ერთი ქარხნის მუშა ბულახოვი, რომელიც დიდი თაყვანისმცემელი იყო ტოლსტოის, ვეგეტერიანელი, ტოლსტოის ნახვა ენატრებოდა და მარტო წასკლა ვერ გაეძედა.

მივედით თუ არა პირდაპირ ზევითა სართულში აფევენეს, შევედით პატარა სასტუმროში, იქიდან დიდ სასაღილო ოთახში. მე ძილიან გამაოცა ამ ოთახის სიცარიელებ. დიდი სასაღილო მაგიდისა და როიალის გარდა ძალიან ცოტა ავეჯი იყო, თუ სკამებს არ ჩავთვლით. ლევ ნიკოლოზის-ძე და რამდენიმე მისი მებობარი, ა. ნ. ლუნიევი, ი. ი. გორბუნოვი, მესიქონი გოლდენვეიზერი და სხვები, ისხდნენ მავიღისთან და მხიარულად ლაპარაკობდენ ჩეხოვის შესახებ.

ტოლსტოიმ ამ საღამოს პირველად ნახა ბულაზოფი და გამოჰკითხა ქარხნის მუშების ყოფა-ცხოვრების შესა-

ხებ. ბულაზოვმა უამბო, როგორ ცხოვრობენ ქარხანას-თან საერთო საცხოვრებელში მუშები, ოჯახიანი ცალკე და მარტოხელები. მუშებს ნარები აქვთ, ცოლ-ქმარი თა-ვის შვილებიანად ერთ ლოგინში წევბიან. განსაკუთრე-ბით ქარხანაში ახალგაზრდა ქალების მდგომარეობაა აუ-ტანელიო. ტოლსტიო დიდი ყურადღებით უსმენდა ბუ-ლაზოვს თავის ქნევით.

— ყველა ასე აშბობს ქარხნების შესახებ, — სთქვა ტოლ-სტიომ. მთავრობისათვის, რასაკურველია, ხელსაყრელია მუშები ჰყავდეს ამ მდგომარეობაში შიშის ქვეშ. აი ჩვენ გვერდით პარფიუმერიის ფაბრიკის მუშებიც ამ მდგომა-რეობაში არიან. არავის არა აქვს ნება შევიდეს შიგნით და დაელაპარაკოს მუშებს. არა, ხსნა უსათუოდ გლეხო-ბაშია და სწორედ ღვთის მაძიებელ გლეხობაში, სექტან-ტებში, — სთქვა მან და ლაპარაკი ისევ სექტანტებზე გა-დავიდა. აღარ მახსოვს ვიღაცამ სთქვა, რომ ნალჩიკიდან მოუვიდა სკოროხოდოვის წერილი. სკოროხოდოვი და გიორგი დადიანი ორივე ტოლსტიოს თანამოზიარენი იყვნენ. პოლკოვნიკი გიორგი დადიანი ნამესტნიკის ადიუ-ტანტი იყო. ტოლსტიოს და მისი მეგობრის დ. ხილკო-ვის გავლენით მიატოვა სამხედრო სამსახური და ახლა ცოლშეილიანად ცხოვრობდა ჩრდილო კავკასიაში — სკო-როხოდოვთან ერთად, როგორც უბრალო გლეხი.

ილიკომ ლ. ნ.-ს უამბო დადიანის შესახებ, როგორ ცხოვრობდა კიკეთში საქართველოში გადმოსახლებული დ. ხილკოვი და გ. დადიანი თავიანთი ოჯახებით.

გ. დადიანი შე გავიცანი, როდესაც უკვე ტოლსტიოს თანამოზიარე იყო. ჩვენს ოჯახში დადიოდა. და ყველას უკვირდა ბრწყინვალე ოფიცერი, რომელიც ნამესტნიკის ბალებზე და საღამიებზე ისე მხიარულად ატარებდა დრას, როგორ გადაიქა უბრალო გლეხად. ერთხელ მან იუმორისტულად გვიამბო, როგორ სცემენ პატივს არა

ადამიანს, არამედ მის პასპორტს. ერთხელ, რომელიღაც სადგურზე, როდესაც გიორგი ვაგონში აპირებდა შესვლას, თურმე არ შეუშეს, უთხრეს, რომ შენისთანა ტყავ-პუშიანი ხალხისათვის სულ უკანა ვაგონშია და იქ წალიო. გიორგი ამბობდა, რომ მე არ დავუთმე და მაინც დავაპირე შესვლაო. იძულებული გახდენ ეანდარმისთვის დაეძახათო. ეანდარმმა კისერში წამავლო ხელიო და მიმათრევდაო. უთხარი თავი დამანებე, თორებ შენთვის არ ივარგებს მეტქი. რომ არაფერი გამივიდა, მაშინ განზე გავიხმე უანდარმი, ამოვილე ჩემი პასპორტი და ვაჩვენე. წაიკითხა თუ არა, დავარდა ძირს, დაიჩოქა და მევედრებოდა—მაპატიე თქვენთ ბრწყინვალებავ, მაპატიეო, ძლივს ავაყენე.

— დადიანი არ მინახავს,—თქვა ტოლსტოიმ—ძალიან კი მინდა მისი ნახვა, თუ მოვაწიარი უსათუოდ წავალ კავკასიაში და ვინახულებ. შემდეგ ლაპარაკი გადავიდა კრინიცის კომუნაზე და თორმეტ საათამდის აღარ შეწყვეტილა. 12 საათზე ტოლსტოი ადგა. ყველანი გამოვემ-შვიდობეთ.

სოფიო ანდრიას ასული და ეკ. ადოლფის ასული მეგობრები იუვნენ და როდესაც შეიკრიბებოდენ თავიანთ ქმრების საყვედლურებს ლაპარაკობდენ. ერთ ამგვარ ლაპარაკს შევესწარი ღუნაევის ოჯახში. ღუნაევის ცოლი შესჩიოდა როგორი მძიმე ცხოვრება უხდება მას ოჯახში.

სოფიო ანდრიას ასული ჩიოდა, რომ მას ლიოვიჩეანისათის მეოხებით არასოდეს აღამიანური ცხოვრება არ ჰქონია.

— ავიღოთ თუნდა ის დრო, როდესაც ლიოვიჩეანი მომიუვანა იასნაია პოლიანაში. არ დაიჯერებო, ასე მეგონა, ბოსელში მიმიუვანა მექქი. ერთ უბრალო ტახტე ეკო თხელი ლეიბი, შინ დამზადებული რუხი ტილოს ზეჭარი ჰქონდა გადაფარებული. ნაჭრის საბანი ეხურა და თავს

ქვეშ მეშის ბალიში ედვარ მე როგორც მივედი მაშინვე
 დავდგი ჩემი მზითევის კარგი საწოლები. პოლანდიური
 წმინდა ტილოს ზეწრები გავშალე, როგორც ჩემთვის ისე
 მისთვის, აბრეშუმის საბნები დავხურე, ბუმბულის ბალ-
 შები დავაწყვე, საწოლების წინ პატარა ნოხები დავაგე.
 როდესაც ლევ ნიკოლოზის-ძე შემოვიდა ოთახში და დაი-
 ნახა ეს, ძალიან ეწყინა, თავისი ნოხი და ბალიში აიღო
 და იქით გადადვა და ისევ მეშის ბალიში დაიდვა. მე
 დავიცადე და, როდესაც გავიდა, ისევ ისე დავდევი ბა-
 ლიშებიც და ნოხიც დავაგე. შემოვიდა ოუ არა ლ. ნ.
 გაჯავრდა, ნოხი აიღო გარედ გადააგდო, გაბრაზებული
 წავიდა და კარგა ხანს აღარ შემოსულა. მე ისევ დავაგვი
 ნოხი და როდესაც შემოვიდა და ნოხი ისევ თავის ადა-
 გილას ხახა, გაბრაზდა და გადააფურითხა, მაგრამ ნოხი
 კი თავის ადგილას დასტოვა. ბალიშს ლამლამობით მაინც
 შეშისას იღებდა დიდი ხნის განმავლობაში, მაგრამ მერე
 ძალიან შეეჩინა და ახლა წმინდა ტილოს საცვლებს და
 აბრეშუმის წინდებს ატარებს. რაც შეეხება ივეჯის შექ-
 ნას, ამაზე ლაპარაკიც არ ლირს. არასოდეს არ შქონია
 საშუალება, რომ ხეირიანი შემომექტანა სახლში, ყოველ-
 თვის მრაზობდა.

ერთხელ შეეხებით ტოლსტოის ქუჩაში ილიკო და მე,
 გზაში დავეწიეთ. მე პირველად ვერცე ვიცანი. ძველი
 ბალტი ეცვა და ძველი რბილი ქუდი ეხურა. გრძელი
 თეთრი წვერი ბალტოში ჰქონდა ჩატანებული და ყელზე
 რაღაც ფერადი ყელსახვევი ეხვია. ძალიან ესიამოვნა, რომ
 წამოვეწიეთ. შეიარულიდ შიდიოდა ყოყოჩად.

— ილია პეტრეს-ძევ ჩეგნა საქმე ეწყობა. დუხობორე-
 ბისა გადასახლება ჭანადაში საბოლოოდ გამორკვეულია;
 როგორც მომდის შერწლება ჩეგნი შეფოტრუბისაგან. პი-
 რობები ჭალვია.

ამ ლაპტერავის დროს კარგა მოშორებით შლფლელი დავინახეთ, იდგა და ქუჩის მეორე მხარეს აპირებდა ვა დასვლას. უცებ ტოლსტოი შეჩერდა:

— გადაგვიჭრის თუ არა ხუცუსი გზას, გადაგვიჭრის თუ არა?

შლფლელი შეყოყმანდა, მოტრიალდა და გაბრუნდა უკან.

— კაი ნიშანი.— სთვეა სიცილით ტოლსტოიმ. ჩენც გაგვეცინა.

— იცით ნინა იოსების ასულო, ეს ძეელი ჩეეულებაა მონადირის. ყოველი მონადირე დაინახავს თუ არა შლფლელს, ან კურდლელს, უსათუოდ ჩაუთქვამს, გადაჭრის თუ არა გზასო. თქვენ ვერ წარმოიდგენთ, ილია პეტრეს-ძევ, რა-მდენი მონადირე ბრუნდება ნადირობიდან ხოლმე, თუ კურდლელმა გადაურჩინა გზაშე. აი მეც ბებერი მონადირე ვარ.— დააბოლავა მან სიცილით.

ამის შემდეგ ტოლსტოი ალარ მინახავს 1901 წლამდის, რადგანაც მოსკოვის ჰაერს ვერ ვიტანდი, ავად გავა-ხდი და ზეფანულობით—ზამთრობით მოვდიოდი საქართველოში, და მხოლოდ მარტიდან ივნისმდის და აგვისტოს უკანასკნელ რიცხვებიდან ოქტომბრის გასვლამდე ვცხოვრობდი მოსკოვში. ტოლსტოი გაზაფხულობით ჩა-ლიან აღარ მიღიოდა იასნაია პოლიანაში და შემოდგომაშე ძალიან გვიან ბრუნდებოდა მოსკოვში. მე როგორც მახსოვე ჩეენ ვიყავით გაზაფხულშე მოსკოვში.

დიდ ოთახში, სადაც ჩვენ შეგვიყვანეს, ბევრი ხალხი იყო: ტოლსტოის ასული ტატიანა, ვილაც კიდევ ახალგაზრდა ქალები, პროფ. ჩიჩერინი, რამოდენიმე ტოლსტოის მეგობარი, ტამბოვიდან ჩამოსული გლეხი და გლეხი სიმონოვი და სხ. სოფიო ანდრიას ასული არ ყოფილა.

ტოლსტოი უოტახნით გავიდა და სემიონოვს წერილი გამოუტანა მისი მოხსრობის შესახებ, რომლითაც ჩეკო-მენდაციას უკეთებდა. სემიონოვს ტოლსტოი ძალიან აფა-

სებდა. აშბობდა, რომ ის სწურს სწორად იმათ ცხრვრებაზე და ისე რაც მართლა აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს, იმათზე ვრჩც დიდი უმეტესობაა. ჩემი ძველი ნაწერები კი ეხება ხალხის ისეთ ნაწილს, რომლის ცხოვრების შესახებ წერა და მოსმენა არც კი საჭირო... მაგრამ მეც მწერალს მექანიზმან.

— ოოჰ, ლევ. ნიკოლოზის-ქევ, თქვენ თუ მწერალი არ ხართ, მაში ვიღაა მწერალი, — მოისმა ჩიჩერინის და სხვების ხმებიც.

ლევ ტოლსტოიმ გაიღიმა.

— იცით, მე კიდევ გავიმეორებ, რომ მწერლობა არაა ისე ძნელი საქმე, საამისოდ საჭიროა ერთგვარი „ნახალობა“, და ჩანს მე არ მაკლდა ეს „ნახალობა“.

ლაპარაკი გადავიდა ხელოვნებაზე. ლაპარაკობდენ ტოლსტოის წიგნზე „ხელოვნების შესახებ“. ამ ლაპარაკში ტამბოველშა გლეხშაც და საყურებიანშა ქალებშაც კი მიიღეს მონაწილეობა. საოცარი თვისება ჰქონდა ტოლსტოის:

იცოდა ისეთი კითხვების დასმა ლაპარაკის დროს, რომ ყველა დამსწრეთა შუარის პოულობდა გამოძახილს. ერთშუალების არ სწყლებოდა საინტერესო ლაპარაკი. მასსოვან ამ საღამოს, როდესაც რამოდენიმე წუთით გავიდა სემიონოვისათვის სარეკომენდაციო წერილის გამოსატანად, მთელი საზოგადოება დასუმდა. ჯგუფ-ჯგუფად დაიყო და როდესაც დაბრუნდა ის გამოცოცხლდა.

ლევ ნიკოლოზის-ქემ გვიაშპო, როგორ მოვიდა მასთან ერთო ახალგაზრდა კაცი და ჩევა სთხოეს. ამ ახალგაზრდას რამოდენიმე ათასი მანათი ვალი დასდებოდა. ახლა კველაფერი მობეზრებოლა და გადაეწყვიტა. ტოლსტოის საფუძველის ეკითხა, რა ცხოვრებისათვის მოეკიდა ხელი: საღმე-კომუნაში შესულიყო, თუ ცალკე დაეწყო გლეხური ცხოვრება.

ტოლსტოიმ სთქვა.

— მე ვურჩიე, ჯერ ვალი გადაეხადა და შემდეგ დაიწყო ახალი ცხოვრება.

— მერე მან რა თქვა? — ჰკითხა უცებ ტამპოველმა.

— მგონია არ მოეშონა, — შიუგო ტოლსტოიმა.

— რასაკვირველია ვალის გადახდა ბატონს გაუძნელ-დებოდა — წარმოსთქვა სერიოზულად ტამპოველმა.

ყველას გაეცინა.

12 საათი შესრულდა, ყველანი გამოეემშვიდობება და წავედით.

ამის შემდეგ ტოლსტოი მე აღარ მინახავს 1903 წლა-მდის. მართალია 1902 წელს მე მოვჯობინდი და ზამთარ-ზაფხულს მოსკოვში დაერჩი, იასნაია პოლიანას ახლო სოფ. ოვსიანიკოვოში ვცხოვრობდი ზაფხულში, მაგრამ ლ. ტოლსტოი ავაღმყოფობის გამო მთელი ზაფხული ყი-რიმში იყო და ზამთარიც იასნაია პოლიანაში გაატარა.

როდესაც ილიკო გაღაასხლეს ამიერკავკასიიდან, არა-ვითარი ვადა არ ჰქონდა აღნიშნული. მოსკოვში დაჟყო ხუთი წელიწადი. ამ დროს განმაკლობაში მხოლოდ 1901 წელს ერთი თვით ჩამოვიდა საჭართველოში და, მიუხე-დავად იმისა, რომ ტოლსტოი და მისი მეგობრები გუ-ლით უყვარდა და მათ მსოფლიშედველობას იზიარებდა, ძალიან ემძიმებოდა ციი ხანგრძლივ თოვლით დაფარულ მოსკოვში უშხოდ ცხოვრება. ამბობდენ, ნებართვა უნდა ითხოვოთ და შეიძლება დაგაბრუნონ საქართველო-შიო. ნებართვის თხოვნა ილიკოს არ უნდოდა და გადავ-წყვიტეთ უნებართოი წამოვსულიყავით.

1903 წელს თებერვლის დამლევს გამოვსწიეთ ტფი-ლისში. გადაწყვეტილი გვქონდა შეგვეარა იასნაია პოლი-ანაში ტოლსტოის გამოსამშვიდობებლად, იასნაია პო-ლიანაში, საღაც ტოლსტოი მთელ ზამთარ ცხოვრობდა ავაღმყოფობის შემდეგ ყირიმილან დაბრუნებული.

გადმოვსტით საღურა კაზლოვკაზე, დავიჭირეთ მარ-ხილი და გავსწიეთ იასნაია პოლიანაში.

გავიარეთ იასნაია პოლიანას კოშკებიანი ჭიშკრები, ხეოვანი და გავჩერდით ძველი სახლის კარებთან. ავედით ზევით, მთელი ოჯახი თავმოყრილი იყო. ის ის იყო საღილი გაეთავებიათ და სუფრაც აელაგებიათ.

ტოლსტიოც და სოფიო ანდრიას ასულიც ალექსიანად შეგვხვდენ. მან გაგვაცნო. თავის შვილები. უფროსი შვილი ილია, რომ შევხედე, ლევ ნიკოლოზის-ძე მეგონა ისე ჰგავდა მამის. უკვე ჭილარა გრძელ წვერიანი, სახის მოყვანილობით მხოლოდ უფრო სქელი და მხარ-ბეჭიანი იყო, მეორე შვილი ლევ ლევის-ძე კი გამხდარი, სუსტი, მაღალი კაცი იყო და სულ არ ჰგავდა თავისიანებს.

მაშინვე მაგიდასთან დაგვსვეს და ვეგეტერიანული სადილი მოგვიტანეს. ტოლსტიო მიუჯდა ჩვენ ბავშვს გვერდით და სადილის დროს „სულ ელაპარაკებოდა და აცინებდა. როდესაც კომპოტი მოუტანეს ტოლსტოიმ ჩქარ-ჩქარა ჰქითხა:

- მაკა კომპოტი მოგწონს?, კარგია, ცუდია, კარგია?.
ბავშვა პასუხი ვერ მოასწორო.
- ჰო, არა, ჰო, არა.—უთხრა მან.
- აი სონია,—უთხრა მან სოფიო ანდრიას ასულს სიცილით—შენი კომპოტი არ მოეწონა მაკას.
- არა, არა, მომეწონა, უთხრა სწრაფად მაკამ.
- აი ხედავ მოეწონა,—უთხრა ს. ა. ას. და მიუჯდა კუთხის დიდ მაგიდას ხელსაჭმით ხელში. შინა ოთახიდან გამოვიდა კიდევ ორი მოხუცი ქალი. ერთი მოლოზანი იყო. ლევ ნიკოლოზის-ძემ გამაცნო თავის და.
- ილია პეტრეს-ძეს ხომ იცნობ, ეს მისი მეუღლეა,—უთხრა მას ტოლსტოიმ.
- აჲ, რა კარგია, რომ კავკასიელი ქალი ვნახე,—თქვა მან.—დაბძანდით დამელაპარაკეთ. თქვენ იცით მე ლიუბოჩქა ვარ ლიოვიჩქამ რომ ამწერა „ბავშობაში და სიყრმეში“, ხომ გაქვთ წაკითხული.

ლაპარაკის მანერით ძალიან ჰგავდა ტოლსტოის.

— საუცხოვო წიგნებს სწერდა უწინ ლიოვიჩა,—განა-
გრძო მან,—ახლა სულ მისთვის ვლოცულობ. სარწმუნოე-
ბას გადაუდგა, მაგრამ რას ვამბობ, იქნება თქვენც მისი
მიმღევარი ხართ?. თქვენთვისაც ვილოცებ.

ტოლსტოი ილიკოს ელაპარაკებოდა. ბავშიც ტოლ-
სტოისთან იდგა.

— დიალ, უსათუოდ გესტუმრებით საქართველოში.
ვნახავ საქართველოს მხეს. ავღები და ჭამოვალ. აი რო-
გორ მოვიქცევი—ამბობდა სიცილით ლევ ნიკოლოზის-ძე,
აი სონია, უთხრა მან ცოლს,—ილია ბეტრეს-ძე მეპატი?
ჯება თავის ქვეყანაში.

— მე აღარ მეპატიუება?

— თქვენც, რასაკვირველია, — უთხრა ილიკომ.

— ახლა უკვე გვინდოა. ჭამოვიდეს მარტო ლევ ნიკო-
ლოზის-ძე თქვა მან, თუმცა ხუმრობით, როგორც მომქ-
ჩვენა უქმაყოფილოდ.

— ახლავე ჩაი იქნება—სთქვა სოფ. ან. ასულმა.

შემოიტანეს ჩაი. ისევე მოიყარა ყველამ თავი.

— წაიკითხე მენშიკოვის წერილი პაპა,—ჰკითხა ლევ.
ლევის-ძემ მამას.

ტოლსტოი შეიიჭმუხვნა:

— წავიკითხე, შესამჩნევად იცვლება,— სთქვა მან,— თან-
დათან უარყოფს იმას რაც უწინ სწამდა.

ყველანი შემოუსხდით სუფრას.

მე ლევ ლევის-ძის გვერდით ვიჯექი, ჩვენს პირდაპირ
იჯდა ლევ ნიკოლოზის-ძე, ჩვენი ბავში, ილიკო და სხ.

ტოლსტოის მოუტანეს წერილების გროვა. მან მაშინ-
ვე დაიწყო გახსნა. ზოგს რომ გახსნიდა წაიკითხავდა ერთ-
ორ სტრიქონს და გადადებდა იქით, ზოგს კი ამბობდა.

— ეს უსათუოდ უნდა წავიკითხო.

— ყველაფერი ეს კომედია,— მითხრა ლევ ლევის-ძემ.

ძალიან ღვარძლიანად ლაპარაკობდა ლევ ლევის-ჭე, ეტყობოდა მამის წინააღმდეგ იყო განშუობილი.

ჩვენი წასვლის დრო მოვიდა. მარხილმა მოგვაყითხა მოვეშვილეთ და წამოვდექით. გამომშვიდობებისას ილიკოს აკოცა და უთხრა:

— უსათუოდ, უსათუოდ გესტუმრებით თქვენ ვჰიან საქართველოში. როდესაც კიბეზე მოვლიოდით, მოვგრძნელი, ლევ ნიკოლოზის-ძე იდგა მაღლა და კიბის თავზე, ფერმქრთალი, მაგრამ ნათელი გაცინებული თვალებით.

— ავდგები და წამოვალ თქვენთან. — გავიგონე მასი უკანასკნელი სიტყვები და გამახსენდა მისი სიტყვები, — რომ ადამიანებს უნდა უხაროდეს ერთსა და იმავე დროს რომ ცხოვრობენ ამ ქვეყნად, ერთმანეთი უყვარდეთ და ხელი-ხელ ჩაკიდებული განვლონ ცხოვრების გზაო.

ჩამოვედით ტფილისში.

1903 წ. დაიბეჭდა ჩემია პირველი მოთხრობა. მე არ შემეძლო არ მიმელო მონაწილეობა ადგილობრივ ცხოვრებაში, უურნალ-გაზეთებში თანამშრომლობა, საბავშო უურნალის დაარსების საქმე, რეატრი და სხვა. 1905 წ. რევოლუციურ მოძრაობასთან დაკავშირებით გურიაში მთავრობამ გაგზავნა სულთან კრიმიტერი იმ მოძრაობის მიზეზის გამოსარკვევად, რომელმაც გურიაში იჩინა თავი. გურიაში ხალხი გაიციცა: არ დაღიოდა არც პოლიციაში, არც სასამართლოში. მთავრობის დაწესებულებანი დაურიელდა და გაუშმდა. ქურდობა, ჩავილი და დავიდარაბა მოისპო ხალხში. ამ მოძრაობის შესახებ ილიკომ მისწერა ტოლსტოის, წერილი წაულო ცნობილმა ხალხოსანმა მიშო ყიფიანმა, რომელიც ლენინგრადში მიჰიოდა. მიშო ყიფიანი აღტაცებული იყო ტოლსტოის შესველრით, მისივე ხელით გამოუგზავნა ტოლსტოიმ წერილი ვურულებისათვის. ეს წერილი წაუკითხა ილიკომ გურულებს მიტინგებზე, წერილმა საკმაოდ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მაშინ გურულ გლეხობაზე.

Digitized by srujanika@gmail.com

କ୍ଷାର୍ପିତାଶିଳ୍ପୀଙ୍କ ନିର୍ମିତିଗୁଡ଼ିକ, ଲ୍ଲ. ତୀରଣ୍ଣାଶ୍ରମିଳିଲେ କ୍ଷାର୍ପାଶିଳ୍ପୀଙ୍କ ଗାମିନ୍ଦ୍ରାଜାରେତ୍ତା, ଲ୍ଲ. ତୀରଣ୍ଣାଶ୍ରମିଳିଲେଶିଲେ, ତୃତୀୟିଲିଲିଲେ ଶାତର୍ମପ୍ରଦୀଲ୍ଲବଦ୍ଧାନି, ଲ୍ଲ. ତୀରଣ୍ଣାଶ୍ରମିଳିଲେ ରାମବନ୍ଦ୍ରିଯିଲିଲେ ଏହିର୍ମାତ୍ରିଯିଲେ ଚିନ୍ମାଳମିଲ୍ଲାକ୍, ରଖିଲିଲେ ଶିଳ୍ପୀଙ୍କରେତ୍ତା ସାତ୍ର୍ଯେଷ୍ଟିଲେ ଲ୍ଲ. ତୀରଣ୍ଣାଶ୍ରମିଳିଲେ କ୍ଷାର୍ପାଶିଳ୍ପୀଙ୍କ ପ୍ରେରଣାଲ୍ଲିଲେ ତଥ୍ୟାଲ୍ଲାହେବିଲେ ଶିଳ୍ପୀଙ୍କରେତ୍ତା ସାତ୍ର୍ଯେଷ୍ଟିଲେ, ତୀରଣ୍ଣାଶ୍ରମିଳିଲେ ପିଠ୍ଟିଲ୍ଲାହେବିଲେ ମହାରାଜାରେତ୍ତା.

II. ლ. ტოლსტიო 80 წელზე. ბასუნი ტფილისელ ქალიშვილებს.
დუხაბორები და ტოლსტოველები კავკასიაში. ჩლია ნაკაშიძე და
ლევ ტოლსტიო. ტალისტოველი გიორგი ალექსანდრეს-ძე დადიანი.
ლ. ტოლსტიოს წერილი ნიკოლოზ ჩოლოვაშვილთან. ქართული
ტოლსტოველები.


III. ლ. ტოლსტიო და ოკულუციონური მოძრაობა რუსეთში.
ლ. ტოლსტიო და საქართველოს საკითხი. ლ. ტოლსტიოს წერილი
გურულებთან. ლ. ტოლსტიოს თხზულებანი ქართულად.

ଦ୍ୱାରା

1. რევ. ერისთავის გამოცემულებული დღიურები.
 2. 3. აკობია—შეხვედრა ლ. ტოლსტოისთან.
 3. 5. ნაშმიდის—მოგონება ლ. ტოლსტოიზე.



Библиотека
Государственного Университета



Библиотека

В. Адатави
ЛЕВ ТОЛСТЫЙ И ГРУЗИЯ

Из Тифлисского Государственного Университета
Тифлис 1936,